

# როგორ უმკლავდებიან საქართველოში ბავშვები და მათი ოჯახები ღინანსური კრიზისის ეპიპაზღენას?

---

საქართველოს მოსახლეობის  
კეთილდღეობის კვლევა, 2009 წელი

გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წამომადგენლობა

იორკის უნივერსიტეტი

2010 წლის აპრილი



წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობა გლობალური ეკონომიკური კრიზისის კონტექსტში. ანგარიშში მოყვანილია სიღარიბის და კეთილდღეობის ძირითადი ინდიკატორების სიღრმისეული ანალიზი მოსახლეობის კეთილდღეობის 2009 წლის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. კეთილდღეობა გაანალიზებულია სხვადასხვა ასპექტების მიხედვით, როგორცაა შინამეურნეობების მოხმარება, მატერიალური დეპრივაცია და სუბიექტური შეხედულებები. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია მოხდეს ბავშვთა და ზოგადად მოსახლეობის კეთილდღეობის შესაძლო გაუარესების იდენტიფიცირება, რაც დაეხმარება ხელისუფლებასა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს ადეკვატური საპასუხო ღონისძიებების შემუშავებაში.

ანგარიში მომზადდა იორკის უნივერსიტეტის სოციალური პოლიტიკის კვლევების ცენტრის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით. ანგარიშის მთავარი ავტორები არიან დოქტორი მეგ ჰიუბი (იორკის უნივერსიტეტი), პროფესორი ჯონათან ბრედშოუ (იორკის უნივერსიტეტი) და დიმიტრი გუგუშვილი (გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა). კვლევის დიზაინი, შერჩევა და მონაცემების შეწონვა განახორციელა მამუკა ნადარეიშვილმა. სავსელე სამუშაოები ჩაატარა სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტმა (ISSA).

## 1. რეზიუმე

- 1.1 2009 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა დაუკვეთა ეროვნული მასშტაბის პანელური კვლევა, რათა შეეფასებინა **ფინანსური კრიზისის გავლენა საქართველოს ბავშვებსა და მათ ოჯახებზე**. კვლევის პირველი რაუნდის ფარგლებში, რომელიც მაის-ივლისში ჩატარდა, გამოკვლეულ იქნა შინამეურნეობების კეთილდღეობის ძირითადი ინდიკატორები, როგორცაა შემოსავლები, მოხმარება, დასაქმება და არსებობის წყაროები, საცხოვრებელი პირობები, მატერიალური და სუბიექტური კეთილდღეობა, აგრეთვე კომუნალური და სოციალური სერვისების და სოციალური ბენეფიტების ხელმისაწვდომობა. ასევე გამოკვლეულ იქნა ის სტრატეგიები, რომლებსაც შინამეურნეობები მიმართავენ გლობალური კრიზისის უარყოფით შედეგებთან გასამკლავებლად.
- 1.2 კვლევის ფარგლებში 4808 შინამეურნეობა იქნა გამოითხული და მისი შედეგები **ქვეყნის მასშტაბით რეპრეზენტატიულია**. სამომხმარებლო სიღარიბის გასაზომად გამოყენებულ იქნა სამი ზღვარი – სიღარიბის ოფიციალური ზღვარი – 89.7 ლარი თვეში ერთ სულზე (მედიანური ხარჯების 60%); უკიდურესი სიღარიბის ზღვარი – 61.1 ლარი თვეში ერთ სულზე (დღეში ერთ სულზე 1.25 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი); ზოგადი სიღარიბის ზღვარი – 122.2 ლარი თვეში ერთ სულზე (დღეში ერთ სულზე 2.5 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი). სადაც შესაძლებელი იყო, ანალიზი ჩატარდა შემდეგ ჭრილებში: სოფელი/ქალაქი, ასაკობრივი ჯგუფები, ქალთა განათლების სტატუსი და საშემოსავლო/სამოხმარებლო ჯგუფები.
- 1.3 საქართველოს შინამეურნეობების თითქმის მეოთხედი სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ამ დარბ შინამეურნეობებში **საქართველოს ბავშვების 28 პროცენტი ცხოვრობს**.
- 1.4 **ცხოვრების დონებს** შორის განსხვავებები სხვადასხვა ადგილმდებარეობებსა და მოსახლეობის ჯგუფებს შორის მნიშვნელოვან უთანასწორობაზე მიანიშნებს. ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობები კეთილდღეობის თითქმის ყველა ასპექტის მიხედვით გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან. აჭარაში ოფიციალური სიღარიბის ყველაზე დაბალი დონეა ქვეყანაში (13%), ხოლო ყველაზე დარბი რეგიონი მცხეთა-მთიანეთია (37%). სიღარიბის ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ ის შინამეურნეობები იმყოფებიან, რომლებსაც რეგულარული შემოსავლის მქონე წევრი არ ჰყავთ, არ ფლობენ მიწას, ცხოვრობენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, არ შედეგებიან მხოლოდ პენსიონერებისგან და ჰყავთ სამი ან მეტი ბავშვი. სიღარიბის დონე უფრო მაღალია იმ შინამეურნეობებში, სადაც ქალებს განათლების უფრო დაბალი დონე აქვთ, განსკუთრებით სოფლად.

- 1.5 დასაქმებას სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს – შინამეურნეობაში რეგულარული შრომითი შემოსავლის მქონე პირის ყოლა უკიდურესი და ოფიციალური სიღარიბის დონეებს ორჯერ ამცირებს. თუმცა, დასაქმება ვერ აღმოფხვრის სიღარიბის რისკს, ვინაიდან იმ შინამეურნეობების 20 პროცენტი, რომლებსაც ერთი მაინც დასაქმებული წევრი ჰყავთ, სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ იმყოფება. გარდა ამისა, შინამეურნეობების 20 პროცენტს არც დასაქმებული წევრები ჰყავს და არც მიწის ნაკვეთს ფლობს.
- 1.6 შინამეურნეობების დაახლოებით 10 პროცენტისათვის ხელმისაწვდომი არ არის წყალი, გათბობა და სანიტარული პირობები, ხოლო 63 პროცენტისათვის მიუწვდომელია ამ კომუნალურ სერვისთაგან ერთ-ერთი. სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების სამი მეოთხედისათვის კომუნალურ სერვისთაგან ერთ-ერთი მიუწვდომელია. ეს შინამეურნეობები ასევე იმყოფებიან მატერიალური დეპრივაციის (7 საოჯახო ნივთიდან 5-ის არქონა) ორჯერ უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე ის შინამეურნეობები, რომლებიც სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ზემოთ არიან.
- 1.7 გამოკითხული შინამეურნეობების 40 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ არ შეუძლიათ საკუთარი თავის უზრუნველყოფა საკმარისი საკვებით ან ისე ცუდად იკვებებიან, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ამ შინამეურნეობებში ბავშვების 37 პროცენტი და პენსიონერების 45 პროცენტი ცხოვრობს. მოსახლეობის მხოლოდ ერთი მეხუთედთან ერთ მეთხედამდე ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომლებიც აცხადებენ, რომ იკმაყოფილებენ სასურსათო და არასასურსათო მოთხოვნილებებს.
- 1.8 პენსიები სიღარიბის შემცირების ეფექტური მექანიზმია. პენსიების გარეშე პენსიონერთა ნახევარზე მეტი სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდებოდა. პენსიონერებთან შედარებით ბავშვები არაპროპორციულად ნაკლებად სარგებლობენ სოციალური ტრანსფერებით, რადგან არ არსებობს სპეციალური ბენეფიტი ბავშვებისათვის. მთავარ საოჯახო ბენეფიტს – მისამართულ სოციალურ დახმარებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს იმ შინამეურნეობებზე, რომლებიც მას იღებენ, მაგრამ ამ ბენეფიტს სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობათა მხოლოდ 20 პროცენტი იღებს. სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების ერთი მესამედი არავითარი სახის სოციალურ დახმარებას არ იღებს.
- 1.6 შინამეურნეობების თითქმის 60 პროცენტში 2008-9 წლების განმავლობაში ერთ ადამიანს მაინც დასჭირდა სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტი, რომლის საფასურის გადახდაც შინამეურნეობამ ვერ შეძლო. შინამეურნეობების უღარიბესი მეხუთედისათვის ეს მაჩვენებელი 75 პროცენტს აღემატება. სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსურ ბარიერებს სოფლად შინამეურნეობების უფრო მაღალი პროცენტი განიცდის, ვიდრე ქალაქად.
- 1.7 შინამეურნეობების უმდიდრესი მეხუთედი სამედიცინო მომსახურებაზე თითქმის ათჯერ უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე უღარიბესი მეხუთედი. უფრო ღარიბი შინამეურნეობებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე და

- მედიკამენტებზე ჯიბიდან გადახდილი თანხა შესაძლოა კატასტროფულად მაღალი იყოს. შინამეურნეობების თითქმის ერთი მესამედისათვის სამედიცინო ხარჯები არასასურსათო ხარჯების ერთ მეოთხედს აღემატება
- 1.8 საქართველოს მოსახლეობის ერთ მეოთხედზე ნაკლებია მოცული სამედიცინო დაზღვევის რაიმე ფორმით, ქალაქად კი ეს მაჩვენებელი ერთ მეხუთედზე ქვემოთ ეცემა. უფასო სამედიცინო დაზღვევა შინამეურნეობების უღარიბეს მეხუთედშია კონცენტრირებული, მაგრამ ამ ჯგუფის შინამეურნეობებიდანაც კი მხოლოდ ერთი მეხუთედია მოცული.
- 1.9 უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს შინამეურნეობების ნახევარის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. უღარიბესი შინამეურნეობები ორჯერ უფრო მწვავედ განიცდიან კრიზისის შედეგებს, ვიდრე უმდიდრესი შინამეურნეობები; ბანკებისადმი, ლომბარდებისადმი და კერძო გამსესხებლებისადმი მათი ვალების მოცულობა იზრდება. შინამეურნეობების უმეტესობას, რომელთაც კრიზისი შეეხო, არავითარი დამატებითი სახსრები არ გააჩნდა და არც დახმარება მიუღია სახელმწიფო ან არაფორმალური წყაროებიდან. შინამეურნეობების უღარიბესი მეხუთედის 95 პროცენტზე მეტმა საკვების მოხმარება შეამცირა ან უფრო იაფი სურსათის შექმნა დაიწყო, მაშინ როცა იგივე ქმედებებს უმდიდრესი შინამეურნეობების მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტმა მიმართა.
- 1.10 ბედის ირონიით, მიუხედავად იმისა, რომ ვალების გასტუმრება ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა შინამეურნეობების თითქმის ორი მესამედის მიერ, ვალის აღება კვლავაც იქცა რთულ პერიოდში თავის გატანის ერთ-ერთ საშუალებად. გასული წლის განმავლობაში შინამეურნეობების 36-მა პროცენტმა აიღო ვალი. უღარიბესი შინამეურნეობების ნახევარზე მეტს მიაჩნია, რომ მომავალ წელს მათი მინიმალური საჭიროებების ვერ-დაკმაყოფილების რისკი მაღალი ან ძალიან მაღალია, სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ პესიმისტური განწყობა უფრო ღარიბ შინამეურნეობებში უფრო მკვეთრადაა გამოხატული.

## 2. წინასტორია

2009 წელი გლობალური ეკონომიკის ღრმა რეცესიით გამოირჩეოდა, რომელიც თავისი მასშტაბით უპრეცედენტოა 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ. ფინანსური კრიზისი სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში და თითქმის ყველა ქვეყანაზე იქონია ნეგატიური გავლენა. საქართველოში ფინანსური კრიზისის გავლენას თან ერთვის 2008 წლის რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის უარყოფითი შედეგები და პოლიტიკური დაძაბულობა, რაც შედეგად მოჰყვა ქართული ოპოზიციის მიერ 2009 წლის აპრილ-ივლისში თბილისის ცენტრში ორგანიზებულ მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს .

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეკონომიკური და სხვა სახის კრიზისები ყველაზე ნეგატიურად ღარიბი და მოწყვლადი მოსახლეობის მდგომარეობაზე აისახება. მწირი რესურსების და ქონების გამო მოსახლეობის ამ ჯგუფებს უფრო ნაკლები საშუალება აქვთ გაუმკლავდნენ კრიზისით გამოწვეულ პრობლემებს. წინა რეგიონული კრიზისების დროს მოპოვებული ემპირიული მტკიცებულებები აჩვენებენ, რომ, როგორც წესი, ბავშვთა მდგომარეობის გაუარესება ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე უფრო მასშტაბურია. არასაკმარისი კვებით გამოწვეული ბავშვთა სიკვდილიანობის მატემა, ზრდაში ჩამორჩენის და კახექსიის მატემა, აგრეთვე სკოლის ნაადრევი მიტოვება ის პრობლემებია, რომლებიც ხშირია ეკონომიკური კრიზისის დროს. უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესება ისე სწრაფად ვერ ხერხდება მაშინაც კი, როცა ეკონომიკა ზრდის ჩვეულ ტემპს უბრუნდება.

კრიზისის შედეგად საქართველოში ბავშვთა მდგომარეობის გაუარესების პოტენციური რისკიდან გამომდინარე, გაეროს ბავშვთა ფონდმა დაუკვეთა ეროვნული მასშტაბის მოსახლეობის კეთილდღეობის პანელური კვლევა, რათა შეეფასებინა გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე. კვლევის ძირითადი მიზნებია სიდრმისეულად იქნეს შესწავლილი, თუ როგორ აისახება კრიზისი საქართველოს ბავშვებზე და მათ ოჯახებზე, აგრეთვე მოხდეს იმ ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც დაუყოვნებელ ღონისძიებებს საჭიროებენ. ამ მიზნით კვლევა აკვირდება შინამეურნეობების კეთილდღეობის ძირითადი ინდიკატორების დინამიკას 2009-2010 წლების განმავლობაში. ის ასევე შეისწავლის, თუ რა სახის სტრატეგიებს მიმართავენ შინამეურნეობები გლობალური სიტუაციის გაუარესებასთან გასამკლავებლად. წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა კვლევის პირველი რაუნდის შედეგებს, რომელიც 2009 წლის მაის-ივლისში ჩატარდა.

## 2.1 საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები

2003-2007 წლებში საქართველოს ეკონომიკამ შთამბეჭდავი ზრდა განიცადა. ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკა წელიწადში საშუალოდ 9.7 პროცენტით იზრდებოდა. ეს ტემპი შენარჩუნებულ იქნა 2008 წლის მეორე ნახევრამდე – ამ წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ქართული ეკონომიკა 7.9 პროცენტით გაიზარდა. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტისთანავე მშპ-მა კლება დაიწყო; შესაბამისად წლიური ზრდის მაჩვენებელი 2.3 პროცენტამდე შემცირდა. საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2009 წელს საქართველოს მშპ 4 პროცენტით შემცირდა.

საქართველოში ფინანსურ კრიზისს თან ერთვის რუსეთის ფედერაციასთან 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის და ოპოზიციის მიერ თბილისის ცენტრში ორგანიზებული ქუჩის მასობრივი საპროტესტო გამოსვლების უარყოფითი შედეგები. რუსეთის ფედერაციასთან ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური სამხედრო კონფლიქტის შედეგად 138,000 ადამიანი გახდა იძულებული საკუთარი სახლი მიეტოვებინა. კონფლიქტიდან 18 თვის შემდეგ დაახლოებით 32,000 ადამიანი კვლავაც ვერ ბრუნდება საკუთარ სახლში, ხოლო ათასობით ადამიანს, ვინც მოახერხა დაბრუნება, ქონება და შემოსავლის წყაროები განადგურებული დახვდა. პოლიტიკურმა დაძაბულობამ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პიკს 2009 წლის აპრილ-ივლისში მიაღწია, როდესაც ოპოზიციამ მოახდინა ათეულობით ათასი საკუთარი მომხრის მობილიზება და თბილისის ცენტრის პარალიზება 100-ზე მეტი დღის განმავლობაში.

კრიზისამდე არსებული ეკონომიკური ზრდა განპირობებული იყო მთავრობის ლიბერალური ეკონომიკური რეფორმებით. 2004 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით ამბიციური ეკონომიკური რეფორმის გატარება დაიწყო, რომელიც მიზნად ეკონომიკის ლიბერალიზაციას ისახავდა. რეფორმების პაკეტი მოიცავდა მასიურ პრივატიზაციას, დერეგულაციას, გადასახადების რაოდენობის და განაკვეთების შემცირებას, ვაჭრობის ლიბერალიზაციას და სახელმწიფო სექტორის შემცირებას. ამ რეფორმების შედეგად საქართველო მეოთხე ადგილზეა შრომის ბაზრის რეგულაციების მოქნილობის მხრივ, მეოთხე ადგილზეა საგადასახადო ტვირთის სიმცირის მხრივ<sup>1</sup> და 11-ე პოზიციას იკავებს ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში. საქართველომ ასევე მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით (32-ე პოზიცია 2009 წელს, 2005 წლის 99-ე პოზიციასთან შედარებით)<sup>2</sup> და საერთაშორისო გამჭვირვალობის ორგანიზაციის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით (66-ე პოზიცია 2009 წელს, 2003 წლის 124-ე პოზიციასთან შედარებით)<sup>3</sup>.

ეკონომიკურ ზრდას თან არ მოყოლია უმუშევრობის შემცირება. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, 2003-2008 წლებში დასაქმებულ ადამიანთა აბსოლუტური

<sup>1</sup>Forbes (2009) *Tax Misery and Reform Index*, available at:

<http://www.forbes.com/global/2009/0413/034-tax-misery-reform-index.html>

<sup>2</sup> <http://www.heritage.org/Index/Ranking.aspx>

<sup>3</sup> [http://www.transparency.org/policy\\_research/surveys\\_indices/cpi/2009/cpi\\_2009\\_table](http://www.transparency.org/policy_research/surveys_indices/cpi/2009/cpi_2009_table)

რაოდენობა 213,000-ით შემცირდა.<sup>4</sup> საქართველოს უმუშევრობის მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი, ხოლო შრომით ბაზარში მონაწილეობის და დასაქმების მაჩვენებლები გაცილებით დაბალია.<sup>5</sup> თვითდასაქმებულია ყველა დასაქმებულის 64 პროცენტი (1 მილიონ ადამიანზე მეტი). თვითდასაქმებულების დიდი უმრავლესობა მცირე ზომის გლეხურ მეურნეობებშია დასაქმებული. უმუშევრობა ქალაქად (28.8%) ოთხჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად (7.1%), რაც იმით აიხსნება, რომ სოფლად მცხოვრები ყველა ადამიანი, რომელსაც მიწის ნაკვეთს ფლობს, ავტომატურად ითვლება დასაქმებულად.

კრიზის დაწყებისთანავე იმატა უმუშევრობამ – 2008 წლის ბოლოსათვის უმუშევრობის მაჩვენებელი 3.2 პროცენტული ერთეულით გაიზარდა - 13.3 პროცენტიდან (2007 წ.) 16.5 პროცენტამდე.<sup>6</sup> ქალები და მამაკაცები თანაბრად დაზარალდნენ – ქალთა უმუშევრობა 3.5 პროცენტული ერთეულით გაიზარდა, ხოლო მამაკაცთა – 2.9 პროცენტული ერთეულით. ქალაქის მცხოვრებლები უფრო დაზარალდნენ, ვიდრე სოფლის – 2008 წელს უმუშევრობა ქალაქად 5 პროცენტული ერთეულით გაიზარდა, სოფლად კი მხოლოდ 1.7 პროცენტული ერთეულით.

კრიზისის დაწყებამდე შთამბეჭდავი ეკონომიკური მიღწევების მიუხედავად, სიღარიბის დაძლევა საქართველოსათვის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის მეხუთედზე მეტი (22.1%) სიღარიბეში ცხოვრობს, ხოლო მეათედი (9.4%) – უკიდურეს სიღარიბეში. ანალოგიურ შეფასებას აკეთებს მსოფლიო ბანკი – 2008 წელს ჩატარებულმა საქართველოს სიღარიბის შეფასებამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 23.7 პროცენტი ღარიბი იყო, ხოლო 9.3 პროცენტი – უკიდურესად ღარიბი.<sup>7</sup> 2003-2008 წლებში შედარებადი ოფიციალური მონაცემების არარსებობის გამო რთულია სიღარიბის რეალური დინამიკის შეფასება ამ პერიოდის განმავლობაში.<sup>8</sup> თუმცა 2005-2008 წლებისათვის არსებული მონაცემები ზოგადი სიღარიბის მცირე კლებას (2%) და უკიდურესი სიღარიბის კიდევ უფრო მცირე მასშტაბის კლებას (0.6%) აჩვენებს.

<sup>4</sup> საქსტატი (2010) *დასაქმება და უმუშევრობა*, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)

<sup>5</sup> მსოფლიო ბანკი (2008) *საქართველოს სიღარიბის შეფასება*, გვ.73

<sup>6</sup> საქსტატი (2010) *დასაქმება და უმუშევრობა*, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)

<sup>7</sup> 2008 წელს მსოფლიო ბანკმა ჩატარა საქართველოს სიღარიბის შეფასება ცხოვრების დონის საზომი კვლევის (LSMS) და შინამეურნეობების ბიუჯეტის კვლევების შედეგების საფუძველზე. ამ შეფასებაში გამოყენებულ იქნა აბსოლუტური სიღარიბის ორი ზღვარი – 47.1 ლარი თვეში ერთ სულზე უკიდურესი სიღარიბისათვის და 71.6 ლარი ზოგადი სიღარიბისათვის.

<sup>8</sup> სტატისტიკის სამსახური რეგულარულად ცვლის სიღარიბის გაანგარიშების მეთოდოლოგიას. ამჟამად იგი აქვეყნებს ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლებს – გაანგარიშებულს მედიანური შემოსავლის 60 პროცენტის მიმართ ზოგადი სიღარიბისათვის და მედიანური შემოსავლის 40 პროცენტის მიმართ უკიდურესი სიღარიბისათვის.

ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლები საქართველოში საგანგაშოა. იმავე LSMS-ის მონაცემების და სიღარიბის ზღვრების გამოყენებით გაეროს ბავშვთა ფონდმა 2008 წელს ჩაატარა საქართველოს ბავშვთა სიღარიბის კვლევა. კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა. ბავშვების 28 პროცენტი ღარიბ შინამეურნეობებში ცხოვრობს, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი მთელი მოსახლეობისათვის 23.7 პროცენტია.<sup>9</sup> კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ბავშვთა სიღარიბე არ შემოიფარგლება რომელიმე მოწყველადი ჯგუფით (მაგ. იძულებით გადაადგილებული პირები, ან შინამეურნეობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვით), არამედ საყოველთაო პრობლემას წარმოადგენს. სიღარიბის მაჩვენებლები ყველაზე მაღალია იმ ბავშვებს შორის, რომელთა მშობლებიც უმუშევრები არიან – თუ ბავშვის მშობლებიდან არცერთი არ მუშაობს, მისთვის სიღარიბის რისკი 92 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს მთავრობა აქტიურ ზომებს იღებს ფინანსური კრიზისის სიმწვავის შესარბილებლად. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკური აქტივობის შემცირების პირობებში კრიზისის უარყოფითი ეფექტების შესარბილებლად საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ფისკალური სტიმულირების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის სტიმულირებას დამატებითი რესურსების ინექციის გზით. პაკეტის ღირებულება 2.2 მილიარდ ლარს შეადგენს (2009 წლის მშპ-ის 13%). პაკეტით გათვალისწინებულია 1.45 მილიარდი ლარი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, 500 მილიონი ლარი დონორი ორგანიზაციების მიერ დასახარჯად, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადების მთლიანი მოცულობის 250 მილიონი ლარით შემცირება.

ეკონომიკის შენელების მიუხედავად მთავრობამ გაზარდა სოციალური ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი სახელმწიფო ხარჯები შემცირდა როგორც აბსოლუტურ, ისე რეალურ გამოხატულებაში – 2008 წლის 5.5 მილიარდი ლარიდან 5.2 მილიარდ ლარამდე 2009 წელს – ხარჯები ჯანდაცვაზე, სოციალურ დაცვაზე, განათლებაზე და იძულებით გადაადგილებულ პირებზე 1.9 მილიარდი ლარიდან 2.2 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, ძირითადად თავდაცვის ხარჯების შემცირების ხარჯზე.<sup>10</sup> ეს აისახა მთლიან ხარჯებში სოციალური ხარჯების წილის მნიშვნელოვან ზრდაში – 34.7 პროცენტიდან 42.3 პროცენტამდე. მიუხედავად ამისა, საქართველოს სოციალური ხარჯები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალია – სოციალურ დაცვაზე ხარჯება მშპ-ს 4.1 პროცენტი, განათლებაზე – 2.8 პროცენტი, ხოლო ჯანდაცვაზე – 1.6 პროცენტი.<sup>11</sup>

საერთაშორისო დონორების დახმარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამმაგი კრიზისის უარყოფითი ეფექტების შემსუბუქებაში. 2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელის კონფერენციაზე დონორმა ქვეყნებმა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა საქართველოს (საჯარო და კერძო სექტორებს) 2008-

<sup>9</sup> იუნისეფი (2008) *საქართველოს ბავშვთა სიღარიბის კვლევა*, [http://www.unicef.org/georgia/resources\\_6521.html](http://www.unicef.org/georgia/resources_6521.html)

<sup>10</sup> ავტორის გაანგარიშებები ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

<sup>11</sup> UNICEF (2009), *Innocenti Social Monitor 2009 - Child Well-Being at a Crossroads: Evolving Challenges in Central and Eastern Europe and the Commonwealth of Independent States*

2011 წლების განმავლობაში 4.5 მილიარდი დოლარი აღუთქვეს აგვისტოს მოვლენების შედეგების აღმოსაფხვრელად. ეს თანხა საქართველოს 2009 წლის პროგნოზირებული მშპ-ს 35 პროცენტს შეადგენს. თუმცა თავდაპირველად ეს დახმარება სამხედრო კონფლიქტის უარყოფითი შედეგების შესარბილებლად იყო გამოყოფილი, მან უდავოდ შეუწყო ხელი ფინანსური კრიზისის ეფექტების შემსუბუქებასაც.

საქართველოს ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, კრიზისი უარყოფითი ზეგავლენას ძირითადად უცხოური კაპიტალის და ფულადი გზავნილების ნაკადების, აგრეთვე საქსპორტო შემოსავლების შემცირების გზით ახდენს. არსებული ადმინისტრაციული მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განახევრდა - 2008 წლის 1,564 მილიონი დოლარიდან 759 მილიონ დოლარამდე 2009 წელს,<sup>12</sup> უცხოეთიდან ფულადი გზავნილები 1,002 მილიონი დოლარიდან 841 მილიონ დოლარამდე შემცირდა,<sup>13</sup> ხოლო საქსპორტო შემოსავლები იმავე პერიოდის განმავლობაში 1,496 მილიონიდან 1,135 მილიონ დოლარამდე შემცირდა.<sup>14</sup> სხვა განვითარებადი ეკონომიკებისაგან განსხვავებით საქართველოს ნაკლებად ემუქრება უცხოური დახმარების შემცირების რისკი, ვინაიდან დონორმა ქვეყნებმა და ორგანიზაციებმა უკვე გამოუყვეს 4.5 მილიარდიანი დახმარება, რომლის დიდი ნაწილიც უკვე მიღებულია. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიადწია შეთანხმებას არსებული 750 მილიონი დოლარიანი საკრედიტო ხაზის (stand-by-arrangement) 420 მილიონი დოლარით გაზრდის შესახებ.

შინამეურნეობების დონეზე კრიზისის უარყოფითი ზეგავლენის მთავარი არხები შესაძლოა იყოს ზრდადი უმუშევრობა, ფინანსურ სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემცირება. ჯერჯერობით ხელისუფლებამ წარმატებით შეინარჩუნა და გაზარდა სოციალური ხარჯები როგორც აბსოლუტურ, ისე ფარდობით გამოხატულებაში. მიუხედავად ამისა, სოციალური უსაფრთხოების ქსელი და სახელმწიფო სერვისების უმეტესობა ძალზე მცირერიცხოვანი ჯგუფებისათვის არის განკუთვნილი.

## 2.2 კვლევის მეთოდოლოგია

### *მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა*

კვლევა მოიცავს მთელ საქართველოს (საქართველოს ხელისუფლების კონტროლს გარეთ მყოფი ტერიტორიების გამოკლებით) და წარმოადგენს პანელურ კვლევას, რომელიც ერთწლიანი ინტერვალით ორ ეტაპის ჩატარებას ითვალისწინებს. ორივე ეტაპზე ორი სახის კვლევის ინსტრუმენტარი იქნება გამოყენებული: ა) სტრუქტურირებული კითხვარი პირისპირ გამოკითხვისათვის; და ბ) დღიურის ტიპის კითხვარი, რომელიც შინამეურნეობებმა პირისპირ გამოკითხვის შემდგომი ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეავსონ. კითხვარები

<sup>12</sup> საქსტატი (2010), *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები*,

<http://geostat.ge/?action=wnews&lang=geo&npid=11>

<sup>13</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი (2010) *ფულადი გზავნილები უცხოეთიდან თვეების მიხედვით*, <http://nbg.gov.ge/index.php?m=306>

<sup>14</sup> საქსტატი (2010), *სავარეო ვაჭრობა*,

[http://geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=137&lang=eng](http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=137&lang=eng)

საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტს იკვლევს. მათში ჩართულია კითხვები შინამეურნეობის ქონების, შემოსავლის და მოხმარების, დასაქმების და სხვა საარსებო წყაროების, სასურსათო უსაფრთხოების, სამედიცინო, განათლების და სოციალურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის, აგრეთვე შინამეურნეობების მიერ კრიზისის ზეგავლენის შესამსუბუქებლად გამოყენებული სტრატეგიების შესახებ. კვლევის პირველი ეტაპი 2009 წლის მაის-ივლისში ჩატარდა; შემდეგი ეტაპის ჩატარება ერთი წლის თავზე იგეგმება. საველე სამუშაოები შესრულდა ადგილობრივი კვლევითი ორგანიზაციის – **სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტის** მიერ. კვლევის მონაცემების ანალიზი შეასრულა მკვლევარების ჯგუფმა **იორკის უნივერსიტეტიდან** (დიდი ბრიტანეთი).

*კვლევის შერჩევა*

კვლევისათვის გამოყენებული შერჩევა შედგებოდა იმ შინამეურნეობებისაგან, რომლებიც მონაწილეობდნენ 2008 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ ჩატარებულ შინამეურნეობათა ინტეგრირებულ კვლევაში (შიკ). შიკ-ის შერჩევის დიზაინი წარმოადგენს ორსაფეხურიან კლასტერულ შერჩევას წინასწარი სტრატეგიული კვლით. სტრატეგიული კვლით გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმები: რეგიონები, დასახლებული პუნქტის ზომა და სიმაღლე ზღვის დონიდან (მთა/ბარი). საქსტატმა კვლევის ჩამატარებელ ორგანიზაციას დიდსულოვნად მიაწოდა 6758 შინამეურნეობის მისამართი, რათა გამოკითხულიყო დაახლოებით 6000 შინამეურნეობა. ინტერვიუები წარმატებით ჩატარდა 4808 შინამეურნეობაში, შესაბამისად გამოპასუხების მაჩვენებელია 71 პროცენტი შეადგინა (ცხრილი 2.1). მისამართების 13 პროცენტში ინტერვიუებებს არავინ დახვდა, ხოლო 7 პროცენტში ინტერვიუზე უარი განაცხადა (დიაგრამა 2.1). გამოუპასუხებლობის სხვა შემთხვევებში მითითებულ მისამართზე არავინ ცხოვრობდა, ან პასუხის მიღება შეუძლებელი იყო შინამეურნეობის წევრების გარდაიცვალების, საცხოვრებლად სხვაგან გადასვლის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო.

4808 გამოკითხული შინამეურნეობიდან 162 შემთხვევაში კვირის განმავლობაში დანახარჯების და საკვების მოხმარების შესახებ დღიურის შევსება ვერ მოხერხდა, რის გამოც ამ შინამეურნეობების მოხმარების მაჩვენებელი ვერ იქნა გაანგარიშებული. შესაბამისად, სამომხმარებლო ხარჯების და სხვა მონათესავე საკითხების ანალიზი 4646 შინამეურნეობის მონაცემებს ეფუძნება.


**ცხრილი 2.1: გამოპასუხების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით**

რეგიონი	დაგეგმილი მისამართების რაოდენობა	შეესებული კითხვარების რაოდენობა	გამოპასუხების მაჩვენებელი (%)
თბილისი	1335	544	40.7 <sup>a</sup>
აჭარა	503	293	58.3 <sup>a</sup>
იმერეთი, რაჭა	1176	928	78.9
შიდა ქართლი	468	393	84.0

ქვემო ქართლი	756	656	86.8
სამცხე-ჯავახეთი	378	319	84.4
სამეგრელო, სვანეთი	606	428	70.6
გურია	378	325	62.4
კახეთი	780	629	80.6
მცხეთა-მთიანეთი	378	293	77.5
<b>სულ</b>	<b>6758</b>	<b>4808</b>	<b>71.1</b>

<sup>a</sup> გამოკვლევების დაბალი მაჩვენებლები თბილისში და აჭარაში კვლევის ჩატარების პერიოდითაა განპირობებული. ზაფხულის სეზონზე თბილისის მცხოვრებთა დიდი ნაწილი გადის ქალაქიდან მაღალი ტემპერატურის გამო. ამავე პერიოდში აჭარაში ბევრი შინამეურნეობა ზღვისპირა ადგილებში მიდის სეზონური სამუშაოსათვის.

დიაგრამა 2.1 ინტერვიუს არჩატარების მიზეზები



კვლევის ზოგიერთი შეკითხვა შინამეურნეობებს შეეხებოდა, ზოგიერთი კი ინდივიდებს. ერთ შინამეურნეობაში გამოკითხული ინდივიდების რაოდენობა 14-ს

არ აღემატებოდა. მთლიანობაში, 17,372 ინდივიდმა გასცა სხვადასხვა სახის კითხვებს პასუხი, თუმცა ყველა ინდივიდს ყველა შეკითხვისათვის არ უპასუხია.

*მონაცემთა შეწონვა*

მონაცემთა შეწონვისათვის მომზადდა ორი ცვლადი – ერთი 4808 შინამეურნეობისათვის, რომელთაც შეავსეს, როგორც ძირითადი კითხვარი, ისე დღიური, ხოლო მეორე – 4646 შინამეურნეობისათვის, რომელთაც მხოლოდ ძირითადი კითხვარი შეავსეს. წონები კორექტირებას უკეთებს გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობას, რათა შერჩევამ აღექვატურად ასახოს შინამეურნეობების განაწილება რეგიონების მიხედვით .

*შემოსავლები და ხარჯები ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე*

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ზომის და შემადგენლობის მქონე შინამეურნეობების ერთმანეთთან შედარება, წინამდებარე ანგარიშის შესაბამის ნაწილებში შემოსავლები და დანახარჯები ერთ ექვივალენტურ მოზრდილზეა გაანგარიშებული. გაანგარიშებისათვის გამოყენებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული შკალა. თავდაპირველად ცხრილ 2.2-ში მოყვანილი კოეფიციენტების მიხედვით თითოეული შინამეურნეობისათვის გამოითვლება მასში ექვივალენტური მოზრდილების რაოდენობა.

**ცხრილი 2.2: შინამეურნეობაში ექვივალენტური მოზრდილების რაოდენობის გაანგარიშებისათვის გამოყენებული შკალა**

ასაკი	სქესი	ექვივალენტური მოზრდილის კოეფიციენტი
<8		0.64
>=8 და <16		1
>=16 და <65	მამაკაცი	1
>=16 და <60	ქალი	0.84
>=65	მამაკაცი	0.88
>=60	ქალი	0.76

იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს უფრო დიდი ზომის შინამეურნეობებში მასშტაბის ეკონომიის ეფექტი, შემდეგ ეტაპზე ხდება ექვივალენტური მოზრდილების რაოდენობის  $\alpha$  ხარისხში აყვანა; ერთსულიანი ოჯახისათვის  $\alpha = 1$ , ხოლო ერთზე მეტი წევრიანი შინამეურნეობებისათვის  $\alpha = 0.8$ .

### *შედარება სხვა მონაცემებთან*

მოსახლეობის კეთილდღეობის პანელური კვლევა შემუშავებულია კეთილდღეობის ინდიკატორების დინამიკის გასაზომად, რაც ერთი წლის ინტერვალით კვლევის ორი ეტაპის ჩატარებას ითვალისწინებს. 2009 წელს ჩატარებული პირველი ეტაპი საბაზისო ფუნქციას ასრულებს. საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის შესახებ წინა წლებში საკმაო რაოდენობის მონაცემები არსებობს (მაგ. იუნისეფის მიერ 2007 წელს ჩატარებული საქართველოში ბავშვთა სიღარიბის კვლევა, მსოფლიო ბანკის მიერ 2009 წ. ჩატარებული საქართველოში სიღარიბის შეფასება). ამ კვლევების შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენება ამდიდრებს ანალიზს და საშუალებას იძლევა კეთილდღეობის დინამიკა დროის უფრო ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში იქნეს შესწავლილი. თუმცა არის გარკვეული შეზღუდვებიც შედარებების კუთხით. ეს გამოწვეულია მონაცემთა დეზაგრეგირების სხვადასხვა დონით, აგრეთვე ანალიზის საბაზისო ერთეულად ხან ინდივიდების და ხან შინამეურნეობების გამოყენებით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის წინამდებარე კვლევა შინამეურნეობების მოხმარების შესწავლის დეტალურობის მხრივ უნიკალურია.

### 3. კეთილდღეობის პროფილი

#### 3.1 შინამეურნეობის საშუალო შემოსავლები

შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი 322 ლარს შეადგენს. საშუალო თვიური შემოსავალი ორჯერ უფრო მაღალია ქალაქად (428 ლარი), ვიდრე სოფლად (212 ლარი). ცხრილი 3.1 გვჩვენებს, რომ ეს განსხვავება ძირითადად ქალაქად არსებული მაღალი სახელფასო შემოსავლებითაა გამოწვეული. თუმცა ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობების შემოსავლები ყველა სხვა წყაროდანაც უფრო მაღალია, სოციალური ტრანსფერებიდან მიღებული შემოსავლების გამოკლებით.

**ცხრილი 3.1. შინამეურნეობების საშუალო თვიური ფულადი შემოსავლები (ლარი) წყაროს მიხედვით (მოსახლეობის კეთილდღეობის 2009 წლის კვლევა)**

	ქალაქად	სოფლად	სულ (n=4808)
<b>შემოსავლის წყარო</b>	<b>427.98</b>	<b>212.0240</b>	<b>321.7664</b>
ხელფასები	251.9	58.0	156.5
თვითდასაქმება	64.9	37.0	51.1
სოციალური ტრანსფერები	63.4	86.0	74.5
კერძო ტრანსფერები	12.0	3.9	8.0
ქონების გაქირავება	2.5	0.5	1.5
უცხოეთიდან ფულადი გზავნილები	11.6	4.1	7.9
სხვა წყაროები	21.8	22.6	22.2

თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლები მოიცავს კერძო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს და შინაური ცხოველების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების (რძე, კვერცხი, ყველი, კარაქი და მატყლი) გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს. ისინი ასევე მოიცავს სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქტების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს, როგორცაა ღვინო, არაყი, ზეთი, ფქვილი და ხილი. სოციალური ტრანსფერები მოიცავს პენსიებს და საპენსიო დანამატებს, სოციალურ დახმარებას მოწყვლადი ოჯახებისათვის, აგრეთვე დახმარებებს მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, უღებამო ობლებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის და მარტოხელა პენსიონერებისათვის. ზოგიერთი შინამეურნეობა ასევე იღებს იძულებით

გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილ დახმარებას ან პრევენციის და რეინტეგრაციის შემწეობას. კერძო ტრანსფერებში შედის ალიმენტები, სტიპენდიები და ფულადი დახმარება საქართველოში მცხოვრები ნათესავებისაგან და მეგობრებისგან. უცხოეთიდან ფულადი გზავნილები მოიცავს ფულად დახმარებას საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისაგან და მეგობრებისგან.

*შინამეურნეობების შემოსავლები ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე (ეემ) ადგილმდებარეობის მიხედვით*

**საქართველოში საშუალო თვიური შემოსავალი ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე 139.7 ლარს შეადგენს.** მნიშვნელოვანია განსხვავება სოფლად და ქალაქად მცხოვრებ შინამეურნეობების შემოსავლებს შორის. ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობების შემოსავლები საშუალოდ თითქმის ორჯერ აღემატება სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების შემოსავლებს. ასევე მნიშვნელოვანია ადგილმდებარეობის სიმაღლე ზღვის დონიდან – ბარში შემოსავლები უფრო მაღალია (ცხრილი 3.2). ეს უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობების 98 პროცენტი ბარში ცხოვრობს.

**ცხრილი 3.2. შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლები (ლარი ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე) გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით**

ადგილმდებარეობა	n	საშუალო თვიური შემოსავალი (ექვივალენტური მოზრდილზე)	t	მნიშვნელოვნობის დონე.
ქალაქად	2443	182.5	17.4	***
სოფლად	2365	95.4		
ბარი	4366	143.8	7.1	***
მაღალმთიანეთი	442	99.3		
სულ	4808	139.7		

\*\*\* p<0.001; \*\*p<0.01; \* p<0.05

ლორენცის მრუდი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს უთანასწორობის დონეს. რაც უფრო დაშორებულია მრუდი დიაგონალიდან, მით უფრო მაღალია უთანასწორობა. ჯინის კოეფიციენტი, რომელიც გაინგარიშება, როგორც გაორმაგებული ფართობი მრუდსა და დიაგონალს შორის, იღებს 0-ის ტოლ მნიშვნელობას სრული თანასწორობის შემთხვევაში და 1-ის ტოლ მნიშვნელობას მაქსიმალური უთანასწორობის შემთხვევაში. შემოსავლები ქალაქად თითქმის ორჯერ უფრო მაღალია ვიდრე სოფლად, მაგრამ უთანასწორობა ორივე შემთხვევაში მაღალია – ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა შესაბამისად 0.47-ის და 0.46-ის ტოლია.

ასევე მნიშვნელოვანია განსხვავებები ექვივალენტურ შემოსავლებს შორის სხვადასხვა ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით. თბილისში საშუალო

შემოსავალი 211 ლარია, რაც ორჯერ აღემატება ორ ყველაზე დაბალშემოსავლიანი რეგიონის, გურიის (90 ლარი) და სამეგრელოს (94 ლარი) საშუალო შემოსავლებს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ცხრილი 3.3-ის მიხედვით უთანასწორობა თბილისში მაღალია (ჯინის კოეფიციენტი 0.50-ს უდრის)

**ცხრილი 3.3. შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი (ლარი ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე) რეგიონების მიხედვით**

რეგიონი	საშუალო შემოსავალი (ლარი ექვივალენტურ მოზრდილზე)	ჯინის კოეფიციენტი
თბილისი	211.0	0.50
აჭარა	141.3	0.46
იმერეთი, რაჭა	120.7	0.43
კახეთი	117.5	0.46
შიდა ქართლი	115.5	0.47
მცხეთა-მთიანეთი	113.0	0.47
ქვემო ქართლი	109.2	0.48
სამცხე-ჯავახეთი	102.0	0.54
სამეგრელო	94.5	0.46
გურია	90.9	0.43
<b>სულ (n=4808)</b>	<b>139.7</b>	<b>0.48</b>

**3.2 შინამეურნეობების საშუალო მოხმარება**

შინამეურნეობების მთლიანი საშუალო თვიური მოხმარება საქართველოში შეადგენს 442 ლარს და უფრო მაღალია ქალაქად (515 ლარი), ვიდრე სოფლად. არაფულადი მოხმარების გამო, განსაკუთრებით სოფლად, მოხმარების მანკვებლები ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე შემოსავლების. საშუალო თვიური შემოსავალი – 322 ლარი შეადგენს შინამეურნეობის მთლიანი მოხმარების 73 პროცენტს. ქალაქად შემოსავალი საშუალოდ უდრის მოხმარების 83 პროცენტს, ხოლო სოფლად – მხოლოდ 58 პროცენტს. მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული საქართველოს სიღარიბის შეფასების ანგარიში<sup>15</sup> აჩვენებს, რომ 2007 წელს შემოსავალი შეადგენდა მთლიანი მოხმარების 77 პროცენტს, 85

<sup>15</sup> მსოფლიო ბანკი (2009) საქართველოს სიღარიბის შეფასების კვლევა, გვ. 48

პროცენტს ქალაქად და 65 პროცენტს სოფლად. ეს იმის მანიშნებელია, რომ არაფულადი მოხმარების წილი საქართველოში სოფლად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქალაქად.

*მოხმარება კატეგორიების მიხედვით*

ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობები მოხმარების ყველა კატეგორიაზე უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე სოფლად მცხოვრებნი, შინ კვების გარდა (ცხრილი 3.4). საშუალო სასურსათო ხარჯები მსგავსია ქალაქად (187 ლარი) და სოფლად (188 ლარი), მაგრამ ეს ქალაქის შინამეურნეობების მოხმარების მხოლოდ 36 პროცენტს შეადგენს, ხოლო სოფლისას – 52 პროცენტს.

**ცხრილი 3.4: შინამეურნეობების საშუალო თვიური მოხმარება კატეგორიების მიხედვით ქალაქად და სოფლად**

მოხმარების კატეგორია	ქალაქად ან სოფლად		
	ქალაქი	სოფელი	სულ
შინ კვება	170.7	182.4	176.4
ხარჯები ხანგრძლივი მოხმარების ნივთებზე	196.3	107.0	152.4
ხარჯები განათლებაზე	27.7	6.9	17.5
ხარჯები ჯანდაცვაზე	53.5	37.5	45.6
ხარჯები ოჯახს გარეთ კვებაზე	16.5	6.1	11.4
მიმდინარე არასასურსათო ხარჯები	51.0	24.9	38.1
<b>მთლიანი თვიური მოხმარება (n=4646)</b>	<b>515.7</b>	<b>364.9</b>	<b>441.5</b>

*შინამეურნეობების მოხმარება ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე ადგილმდებარეობის მიხედვით*


ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით სოფლად მცხოვრები შინამეურნეობები ყოველთვიურად მაინც უფრო მეტს ხარჯავენ შინ კვებაზე (80 ლარი), ვიდრე ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობები (74 ლარი), მაგრამ გაცილებით ნაკლებს განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ოჯახს გარეთ კვებაზე და არასასურსათო პროდუქტებზე (ცხრილი 3.5).

უთანასწორობა დანახარჯების მიხედვით მნიშვნელოვნად ( $p < 0.05$ ) მაღალია ქალაქად (ჯინის კოეფიციენტი = 0.40) ვიდრე სოფლად (ჯინის კოეფიციენტი = 0.36).

**ცხრილი 3.5: შინამეურნეობების საშუალო თვიური მოხმარების სტრუქტურა ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით კატეგორიების მიხედვით ქალაქად და სოფლად.**

	ქალაქი		სოფელი		სულ	
	ლარი	%	ლარი	%	ლარი	%
შინ კვება	73.9	33.3	79.9	50.6	76.9	40.4
ხარჯები ხანგრძლივი მოხმარების ნივთებზე	85.3	38.4	45.7	28.9	65.8	34.5
ხარჯები განათლებაზე	10.0	4.5	2.1	1.3	6.1	3.2
ხარჯები ჯანდაცვაზე	23.7	10.7	17.9	11.3	20.9	11.0
ხარჯები ოჯახს გარეთ კვებაზე	7.8	3.5	2.4	1.5	5.2	2.7
მიმდინარე არასასურსათო ხარჯები	21.2	9.6	10.0	6.4	15.7	8.2
მთლიანი თვიური ხარჯები (n=4646)	221.9	100.0	158.0	100.0	190.6	100.0

**დიაგრამა 3.5: უთანასწორობა შინამეურნეობების ექვივალენტურ ხარჯებში ქალაქად და სოფლად**



მთლიანი თვიური მოხმარება ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით ყველაზე მაღალია თბილისში – საშუალოდ 247 ლარი. გურიას და მცხეთა-

მთიანეთს ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ – შესაბამისად 145 ლარი და 140 ლარი თვეში (ცხრილი 3.6). მიუხედავად ამისა, გურია არის რეგიონი, სადაც ხარჯები ყველაზე თანაბრად არის გადანაწილებული (ჯინის კოეფიციენტი = 0.27), ხოლო მცხეთა-მთიანეთში უთანასწორობის მაჩვენებელი (0.40) უახლოვდება თბილისისას (0.45)

**ცხრილი 3.6: შინამეურნეობების საშუალო თვიური მოხმარება ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე რეგიონების მიხედვით**

რეგიონი	მთლიანი თვიური მოხმარება	ჯინის კოეფიციენტი
თბილისი	247.1	0.45
აჭარა	201.6	0.34
შიდა ქართლი	190.4	0.35
კახეთი	187.3	0.40
სამეგრელო	170.6	0.35
ქვემო ქართლი	163.2	0.38
იმერეთი, რაჭა	157.4	0.36
სამცხე-ჯავახეთი	151.0	0.38
გურია	144.8	0.27
მცხეთა-მთიანეთი	140.3	0.40
სულ (n=4646)	190.6	0.38

## 4. კეთილდღეობის ასპექტები

კეთილდღეობის ერთი ყოველსმომცველი რაოდენობრივი ინდიკატორი არ არსებობს.<sup>16</sup> თუმცა შესაძლებელია კეთილდღეობის სხვადასხვა კომპონენტების გაზომვა.<sup>17</sup> წინამდებარე ანგარიშში საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას ჩვენ სხვადასხვა კუთხით განვიხილავთ შინამეურნეობების მოხმარების და მატერიალური დეპრივაციის დონეების და ნაირსახეობების შესწავლის გზით. ჩვენ ვაანალიზებთ, თუ რამდენად მიაჩნიათ ადამიანებს, რომ მათ შეუძლიათ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილება და რა სახის სირთულეებს აწყდებიან წყლით, სანიტარული პირობებით და გათბობით უზრუნველყოფის მხრივ. ჩვენ ასევე ვაანალიზებთ კეთილდღეობის სოციალურ ასპექტს განათლების, დასაქმების, ჯანდაცვის, სოციალური დახმარების და ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის შეფასების გზით.

### (4a) სამომხმარებლო სიღარიბე

#### *სიღარიბის ზღვრები*

ამ თავში მოხმარების მაჩვენებლის როლში ჩვენ ვიყენებთ შინამეურნეობების საშუალო მთლიან ექვივალენტურ ხარჯებს. მოხმარების ამ მაჩვენებელს ჩვენ სიღარიბის სამ სხვადასხვა ზღვარს ვადარებთ. შინამეურნეობა ღარიბად ითვლება, თუ მისი მოხმარების მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე რომელიმე ამ ზღვართაგანი.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ნებისმიერი სიღარიბის ზღვარი პირობითია და ასახავს სიღარიბის იმ დონეს, რომელიც, როგორც ეს გარე დამკვირვებლებს და არა თვითონ ღარიბებს წარმოუდგენიათ, გარკვეული ზომების მიღებას საჭიროებს. თუმცა სამომხმარებლო სიღარიბის გაზომვის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის იძლევა დროის სხვადასხვა მონაკვეთში შედარების საშუალებას. 2007 წელს მსოფლიო ბანკმა გაიანგარიშა, რომ საქართველოში 2 260 კალორიის ენერგეტიკული ღირებულების მქონე საკვების მისაღებად ინდივიდს თვეში 47.1 ლარი სჭირდებოდა. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, რომელიც უფრო რეალურად ითვალისწინებდა საქართველოში ცივ ზამთრებს და შესაბამის დამატებით

<sup>16</sup> იხილეთ მაგ. Bradshaw, J., & Mayhew, E. (Eds.) (2005). In 'The well-being of children in the UK' (Second edition), London: Save the Children.

<sup>17</sup> კეთილდღეობის საზომი სხვა ინსტრუმენტები ძირითადად ორიენტირებულია ათასწლეულის განვითარების მიზნებზე. ასეთი სახის ინსტრუმენტებია მაგალითად მულტი-ინდიკატორული კლასტერული კვლევა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა, დემოგრაფიული და ჯანმრთელობის კვლევა.

საბაზისო საჭიროებებს, გამოყენებული იქნა ორჯერ უფრო მაღალი ზღვარი (94.2 ლარი).

ამ ანგარიშში ჩვენ ვიყენებთ საქსტატის მიერ შემოთავაზებულ ოფიციალურ ზღვარს – 89.7 ლარი თვეში (2009 წელს მედიანური მოხმარების 60 პროცენტი). გარდა ამისა, უკიდურესი სიღარიბის ზღვრად ჩვენ ვიყენებთ 61.1 ლარს თვეში (მსოფლიო ბანკის მიხედვით კალორიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო 1.25 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი დღეში). ჩვენმა ანალიზმა მესამე თავში (ცხრილი 3.4) აჩვენა, რომ სოფლადაც კი შინამეურნეობის მთლიანი ხარჯები ორჯერ აღემატება სასურსათო ხარჯებს. შესაბამისად ჩვენ გამოვიყენეთ ზოგადი სიღარიბის ზღვარი 122.2 ლარი თვეში (დღეში 2.5 ა.შ.შ. დოლარის ეკვივალენტი 2009 წლის მაისი-ივლისის გაცვლითი კურსის მიხედვით). სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი (მოსახლეობის სიღარიბის დონე) უკავშირდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების პროცენტულ მაჩვენებელს (შინამეურნეობების სიღარიბის დონე). სიღარიბის სიღრმე არის სიღარიბის ზღვრის საშუალო პროცენტული წილი, რომლითაც უნდა გაიზარდოს მოხმარება, რათა ღარიბი შინამეურნეობები სიღარიბის ზღვარს ზემოთ აღმოჩნდნენ.

**ჩანართი 4.1 საქართველოში ჩატარებულ სიღარიბის სხვადასხვა კვლევებში გამოყენებული სიღარიბის ზღვრები**

- სიღარიბის ოფიციალური ზღვარი საქსტატის მონაცემებით (2009) 89.7 ლარი თვეში ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე (მედიანური მოხმარების 60 პროცენტი)
- მსოფლიო ბანკის სიღარიბის შეფასებაში გამოყენებული უკიდურესი სიღარიბის ზღვარი (2009) – 47.1 ლარი თვეში ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე (2 260 კალორიის შემცველი საკვების მისაღებად საჭირო თანხაზე დაყრდნობით)
- მსოფლიო ბანკის სიღარიბის შეფასებაში გამოყენებული ზოგადი სიღარიბის ზღვარი (2009) 71.6 ლარი თვეში ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე (2 260 კალორიის მოხმარებას პლიუს არასასურსათო ხარჯები)
- მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში გამოყენებული უკიდურესი სიღარიბის ზღვარი (2009) – 61.1 ლარი თვეში ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე (ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე დღეში 1.25 დოლარის ეკვივალენტი ლარში 2009 წლის მაის-ივლისის გაცვლითი კურსის მიხედვით)
- მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში გამოყენებული ზოგადი სიღარიბის ზღვარი (2009) – 122.2 ლარი თვეში ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე (ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე დღეში 2.5 დოლარის ეკვივალენტი ლარში 2009 წლის მაის-ივლისის გაცვლითი კურსის მიხედვით)

შინამეურნეობების დაახლოებით ერთი მეოთხედი, რაც ბავშვების 28 პროცენტს მოიცავს, 89.7 ლარიანი სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ იმყოფება (ცხრილი 4.1). ყველაზე დაბალი ზღვრის (61.1 ლარი) მიმართ შინამეურნეობების ცხრა პროცენტი და მოსახლეობის ათი პროცენტი ცხოვრობს სიღარიბეში. უფრო რეალისტური ზოგადი სიღარიბის ზღვრის მიხედვით შინამეურნეობების 41 პროცენტზე მეტი და მოსახლეობის თითქმის 45 პროცენტი ღარიბია.

**ცხრილი 4.1: სიღარიბის სხვადასხვა ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების, მოსახლეობის და ბავშვთა პროცენტული წილები (სამომხმარებლო სიღარიბე)**

სიღარიბის ზღვარი	ლარი	საზომი ერთეული	მოსახლეობის კეთილდღეობის 2009 წლის კვლევა
უკიდურესი	61.1	შინამეურნეობების %	8.9
		მოსახლეობის %	9.9
		ბავშვების %	11.5
ოფიციალური	89.7	შინამეურნეობების %	23.7
		მოსახლეობის %	25.7
		ბავშვების %	28.4
ზოგადი	122.2	შინამეურნეობების %	41.5
		მოსახლეობის %	44.8
		ბავშვების %	49.0

### ადგილმდებარეობის გავლენა

#### სოფელი და ქალაქი

უკიდურეს სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების პროცენტული წილი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ქალაქად და სოფლად. მაგრამ, ოფიციალური და ზოგადი სიღარიბის დონეები მნიშვნელოვნად უფრო მაღალია სოფლად, და ეს განსხვავება იზრდება სიღარიბის ზღვრის ზრდის კვალობაზე. ზოგად სიღარიბეში სოფლის შინამეურნეობების 48 პროცენტი იმყოფება, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი ქალაქის შინამეურნეობებისათვის 35 პროცენტს უდრის (ცხრილები 4.2ა, 4.2ბ და 4.2 გ). მეორეს მხრივ, სიღარიბის საშუალო სიღრმე სიღარიბის სამივე ზღვრის მიხედვით ქალაქად უფრო მაღალია, რაც მიანიშნებს, რომ ღარიბები ქალაქად უფრო ღარიბები არიან, ვიდრე სოფლად.

რეგიონები

სიღარიბის სამივე ზღვრის მიმართ შინამეურნეობების და მოსახლეობის სიღარიბის ყველაზე მაღალი დონეები გვხვდება მცხეთა-მთიანეთში, ხოლო ყველაზე დაბალი – აჭარაში (ცხრილები 4.2ა და 4.2გ). მცხეთა-მთიანეთი არის ასევე რეგიონი, სადაც შინამეურნეობების საშუალო თვიური ექვივალენტური ხარჯები ყველაზე დაბალია (იხილე თავი 3, ხარჯები).

**ცხრილი 4.2ა: უკიდურესი სიღარიბის (სიღარიბის ზღვარი = 61.1 ლარს) მაჩვენებლები ადგილმდებარეობის მიხედვით**

ადგილმდებარეობა (n=4646)	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელობის დონე.	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის საშუალო სიღრმე (%)
ქალაქი	8.6	არამნიშვნელოვანია	9.4	33.9
სოფელი	9.3		10.5	26.5
თბილისი	11.8	***	12.1	36.2
აჭარა	1.1		1.6	11.2
გურია	2.6		3.6	15.7
იმერეთი, რაჭა	9.7		11.2	24.2
კახეთი	9.4		10.0	23.3
მცხეთა-მთიანეთი	13.8		15.8	28.5
ქვემო ქართლი	8.4		9.8	27.9
სამცხე-ჯავახეთი	8.3		8.9	23.8
სამეგრელო	7.6		9.9	31.0
შიდა ქართლი	8.3		10.0	38.9
<b>სულ</b>	<b>8.9</b>		<b>9.9</b>	<b>30.1</b>

**ცხრილი 4.2ბ: ოფიციალური სიღარიბის (სიღარიბის ზღვარი = 89.7 ლარს) მაჩვენებლები ადგილმდებარეობის მიხედვით**

ადგილმდებარეობა (n=4646)	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის საშუალო სიღრმე (%)
--------------------------	-------------------------------------	----------------------------	--------------------------------	------------------------------

ქალაქი	19.9	***	20.1	32.6
სოფელი	27.7		31.5	26.5
თბილისი	20.6	***	19.9	38.9
აჭარა	12.7		15.5	15.8
გურია	23.7		32.7	17.3
იმერეთი, რაჭა	28.5		30.8	26.1
კახეთი	25.1		27.3	27.0
მცხეთა-მთიანეთი	37.1		39.8	28.2
ქვემო ქართლი	27.5		31.3	25.8
სამცხე-ჯავახეთი	27.1		31.2	24.6
სამეგრელო	24.4		28.6	28.6
შიდა ქართლი	19.9		22.6	33.3
<b>სულ</b>	<b>23.8</b>		<b>25.7</b>	<b>29.1</b>

ცხრილი 4.2გ: ზოგადი სიღარიბის (სიღარიბის ზღვარი = 122.2 ლარს) მაჩვენებლები ადგილმდებარეობის მიხედვით

ადგილმდებარეობა (n=4646)	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის საშუალო სიღრმე (%)
ქალაქი	34.9	***	36.1	34.7
სოფელი	48.3		53.7	32.2
თბილისი	33.7	***	33.6	38.8
აჭარა	31.2		38.2	23.3
გურია	50.3		61.8	25.7
იმერეთი, რაჭა	48.9		53.6	32.4
კახეთი	42.8		45.8	33.3
მცხეთა-მთიანეთი	59.5		62.5	34.0
ქვემო ქართლი	49.2		54.9	31.9
სამცხე-ჯავახეთი	50.2		55.8	30.1
სამეგრელო	42.1		46.0	33.0
შიდა ქართლი	32.1		35.7	36.2

სულ	41.5	44.8	33.2
-----	------	------	------

*შინამეურნეობის ტიპი*

ბავშვიანი შინამეურნეობები

შინამეურნეობებში, რომლებშიც 16 წლამდე ბავშვები ცხოვრობენ, შინამეურნეობების და მოსახლეობების სიღარიბის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უფრო მაღალია სიღარიბის სამივე ზღვრის მიმართ.<sup>18</sup> განსხვავება იზრდება ბავშვების რაოდენობის მატებასთან ერთად. სიღარიბის სიღრმე ასე მკვეთრად გამოხატულ კანონზომიერებას არ ამჟღავნებს, (ცხრილები 4.3ა, 4.3ბ და 4.3გ).

სიღარიბის ზოგადი ზღვრის მიმართ ერთ ან მეტ ბავშვიანი შინამეურნეობების 44 პროცენტი სიღარიბეში ცხოვრობს. ეს მაჩვენებელი 60 პროცენტამდე იზრდება იმ შინამეურნეობებისათვის, რომლებსაც სამი ან მეტი ბავშვი ჰყავთ.

**ცხრილი 4.3ა: უკიდურესი სიღარიბის (სიღარიბის ზღვარი = 61.1 ლარს) მაჩვენებლები შინამეურნეობებში ბავშვების რაოდენობის მიხედვით**

შინამეურნეობის ტიპი (n=4646)	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	χ <sup>2</sup> მნიშვნელოვნობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის საშუალო სიღრმე (%)
ბავშვების გარეშე	7.8	**	8.2	31.2
ბავშვიანი	10.5		11.2	29.0
ბავშვების გარეშე	7.8	***	8.2	31.2
1 ან ორი ბავშვი	9.8		10.4	31.1
3 ან მეტი ბავშვი	16.0		15.0	19.7
<b>სულ</b>	<b>8.9</b>		<b>9.9</b>	<b>30.1</b>

**ცხრილი 4.3ბ: ოფიციალური სიღარიბის (სიღარიბის ზღვარი = 89.7 ლარს) მაჩვენებლები შინამეურნეობებში ბავშვების რაოდენობის მიხედვით**

შინამეურნეობის ტიპი (n=4646)	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	χ <sup>2</sup> მნიშვნელოვნობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის საშუალო სიღრმე (%)
ბავშვების გარეშე	7.8	**	8.2	31.2
ბავშვიანი	10.5		11.2	29.0
ბავშვების გარეშე	7.8	***	8.2	31.2
1 ან ორი ბავშვი	9.8		10.4	31.1
3 ან მეტი ბავშვი	16.0		15.0	19.7
<b>სულ</b>	<b>8.9</b>		<b>9.9</b>	<b>30.1</b>

<sup>18</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია ბავშვს განსაზღვრავს, როგორც ინდივიდს 18 წლამდე (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 1). თუმცა ამ ანგარიშში 16 წელს ზემოთ აღმნიშნები განიხილებიან როგორც მოზრდილები, საქსტატის მიერ შინამეურნეობაში ექვივალენტური მოზრდილთა რაოდენობის გაანგარიშებისათვის გამოყენებული ზღვრის შესაბამისად. ანალოგიური განსაზღვრება იქნა გამოყენებული მსოფლიო ბანკის მიერ 2008 წელს ჩატარებულ საქართველოში სიღარიბის შეფასების კვლევაში

ბავშვების გარეშე	21.5	***	22.8	28.9
ბავშვიანი	26.8		27.9	29.3
ბავშვების გარეშე	21.5	***	22.8	28.9
1 ან ორი ბავშვი	25.4		26.3	29.4
3 ან მეტი ბავშვი	36.7		35.2	29.0
<b>სულ</b>	<b>18.3</b>		<b>25.7</b>	<b>29.1</b>

ცხრილი 4.3გ: ზოგადი სიღარიბის (სიღარიბის ზღვარი = 122.2 ლარი) მაჩვენებლები შინამეურნეობებში ბავშვების რაოდენობის მიხედვით

შინამეურნეობის ტიპი (n=4646)	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის საშუალო სიღრმე (%)
ბავშვების გარეშე	38.3	***	40.5	32.8
ბავშვიანი	46.0		47.9	33.8
ბავშვების გარეშე	38.3	***	40.5	32.8
1 ან ორი ბავშვი	44.2		45.5	33.6
3 და მეტი ბავშვი	59.1		59.3	34.7
<b>სულ</b>	<b>41.5</b>		<b>44.8</b>	<b>33.2</b>

ბავშვთა სიღარიბის დონე – ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ყველა ბავშვის პროცენტული წილი სიღარიბის სხვადასხვა ზღვრების მიმართ ვარირებს 11,5 პროცენტიდან 49 პროცენტამდე (ცხრილი 4.5). ნებისმიერი ზღვრის მიმართ ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების პროცენტული რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი მთელი მოსახლეობისათვის და გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე პენსიონერების შემთხვევაში.

#### პენსიონერთა შინამეურნეობები

საქართველოში საპენსიო ასაკი მამაკაცთათვის 65, ქალთათვის კი 60 წელს შეადგენს. შინამეურნეობების ნახევარზე მეტში (52%) არის მინიმუმ ერთი პენსიონერი და ბავშვიანი შინამეურნეობების 41 პროცენტში არის ერთი ან მეტი პენსიონერი. 2010 წლის იანვრის მონაცემებით 838,493 ადამიანი (მოსახლეობის 20.5%) იღებდა პენსიას.<sup>19</sup> სიღარიბის დონეები ერთმნიშვნელოვნად დაბალია იმ

<sup>19</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო (2010), *პენსიონერთა ერთიანი სააღრიცხვო ბაზა*, <http://www.ssa.gov.ge/index.php?id=820>,

შინამეურნეობებში, რომლებიც მხოლოდ პენსიონერებისგან შედგება. ეს მიმანიშნებელია იმისა, რომ სოციალური ტრანსფერები პენსიონერებისათვის უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვა ჯგუფებისათვის (ცხრილი 4.4ა, 4.4ბ და 4.4გ).

**ცხრილი 4.4ა: უკიდურესი სიღარიბის (სიღარიბის ზღვარი = 61.1 ლარს) მაჩვენებლები მხოლოდ პენსიონერთაგან შემდგარი და დანარჩენი შინამეურნეობებისათვის**

შინამეურნეობის ტიპი (n=4646)	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის საშუალო სიღრმე (%)
შინამეურნეობები არაპენსიონერი წევრით	9.5	*	10.2	29.8
მარტოხელა პენსიონერი	6.2		6.3	29.5
ერთზე მეტი პენსიონერი	6.0		5.9	37.4
<b>სულ</b>	<b>8.9</b>		<b>9.9</b>	<b>30.1</b>

**ცხრილი 4.4ბ: ოფიციალური სიღარიბის (სიღარიბის ზღვარი = 89.7 ლარს) მაჩვენებლები მხოლოდ პენსიონერთაგან შემდგარი და დანარჩენი შინამეურნეობებისათვის**

შინამეურნეობის ტიპი (n=4646)	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის საშუალო სიღრმე (%)
შინამეურნეობები არაპენსიონერი წევრით	24.5	*	26.1	29.5
მარტოხელა პენსიონერი	18.8		18.8	27.0
ერთზე მეტი პენსიონერი	21.1		20.7	26.1
<b>სულ</b>	<b>18.3</b>		<b>25.7</b>	<b>29.1</b>

**ცხრილი 4.4: ზოგადი სიღარიბის (სიღარიბის ზღვარი = 122.2 ლარს) მაჩვენებლები მხოლოდ პენსიონერთაგან შემდგარი და დანარჩენი შინამეურნეობებისათვის**

შინამეურნეობის ტიპი (n=4646)	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	χ <sup>2</sup> მნიშვნელოვნობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის საშუალო სიღრმე (%)
შინამეურნეობები არაპენსიონერი წევრით	42.6	**	45.4	33.5
მარტოხელა პენსიონერი	34.0		34.0	32.4
ერთზე მეტი პენსიონერი	38.3		38.1	31.2
<b>სულ</b>	<b>41.5</b>		<b>44.8</b>	<b>33.2</b>

**ცხრილი 4.5: სიღარიბის დონეები ბავშვებისათვის და პენსიონერებისათვის (4646 შინამეურნეობა)**

ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები (%)	სიღარიბის ზღვარი		
	უკიდურესი (< 61.1 ლარზე)	ოფიციალური (< 89.7 ლარზე)	ზოგადი (< 122.2 ლარზე)
ბავშვები	11.5	28.4	49.0
პენსიონერები	7.3	22.2	41.7
მთელი მოსახლეობა	9.9	25.7	44.8

*განათლება*

შინამეურნეობაში ქალის განათლების დაბალი მაჩვენებელი სიღარიბის უფრო მაღალ დონეებთანაა კორელირებული. შინამეურნეობებთან, რომლებშიც 15 წელზე მეტი ასაკის მქონე არცერთ ქალს არ აქვს მიღებული საშუალო განათლება, 13.2 პროცენტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ეს ღარიბი შინამეურნეობები მოიცავენ ყველაზე ნაკლები განათლების მქონე ჯგუფის 15,8 პროცენტს. კავშირი ქალთა განათლების დონესა და სიღარიბეს შორის უფრო ნათლად იკვეთება სიღარიბის ზღვრის მატების კვალობაზე. ქალთა განათლების დონის მატებასთან ერთად ოფიციალური და ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი როგორც შინამეურნეობების, ისე მოსახლეობის პროცენტული წილები მკვეთრად კლებულობს.

განათლების საბაზისო დონეების შესაბამისი სიღარიბის სიღრმეები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ უკიდურეს სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობებისათვის სიღარიბის სიღრმე მკვეთრად იზრდება, თუ შინამეურნეობაში ერთ ქალს მაინც აქვს უმაღლესი განათლება (ცხრილები 4.6ა, 4.6ბ და 4.6გ).

**ცხრილი 4.6ა: უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები (სიღარიბის ზღვარი = 61.1 ლარს) შინამეურნეობაში ქალთა განათლების დონის მიხედვით.**

	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელოვნობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის სიღრმე (საშუალო %)
ქალთა განათლების უმაღლესი დონე:				
არავითარი	13.2	***	15.8	28.5
საშუალო	12.7		14.3	28.5
პროფესიული	8.4		8.7	24.3
უმაღლესი	5.5		6.6	37.2
<b>სულ (n=4449)</b>	<b>9.0</b>		<b>9.9</b>	<b>29.7</b>

**ცხრილი 4.6ბ: ოფიციალური სიღარიბის მაჩვენებლები (სიღარიბის ზღვარი = 89.7 ლარს) მაჩვენებლები შინამეურნეობაში ქალთა განათლების დონის მიხედვით**

	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელოვნობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის სიღრმე (საშუალო %)
ქალთა განათლების უმაღლესი დონე:				
არავითარი	33.0	***	37.2	28.6
საშუალო	32.6		36.2	29.3
პროფესიული	25.5		27.7	26.4
უმაღლესი	13.5		15.4	31.9
<b>სულ (n=4449)</b>	<b>23.8</b>		<b>25.7</b>	<b>29.1</b>

**ცხრილი 4.6: ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლები (სიღარიბის ზღვარი = 122.2 ლარს) მაჩვენებლები შინამეურნეობაში ქალთა განათლების დონის მიხედვით**

	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის სიღრმე (საშუალო %)
ქალთა განათლების დონე:				
არავითარი	53.5	***	60.3	35.5
საშუალო	52.7		57.6	35.1
პროფესიული	45.0		49.4	31.6
უმაღლესი	28.0		30.8	31.0
<b>სულ (n=4449)</b>	<b>41.6</b>		<b>44.8</b>	<b>33.2</b>

**დასაქმება**

2009 წლის კეთილდღეობის კვლევა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, იყო თუ არა შინამეურნეობების 15 წელზე მეტი ასაკის რომელიმე წევრი (ან 15 წელზე ნაკლები ასაკისა, თუ მუშაობდა) დაკავებული რაიმე საქმიანობით (თუნდაც ერთი საათის განმავლობაში) ინტერვიუს წინა კვირის განმავლობაში. ჩვენ გამოვიყენეთ ეს მონაცემები შინამეურნეობების დასაქმების სტატუსის სამი სხვადასხვა მაჩვენებლის შესაქმნელად. პირველი მაჩვენებელი გვიჩვენებს, მუშაობს თუ არა შინამეურნეობების რომელიმე წევრი კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში ხელფასზე ან გამომუშავებაზე, ან თვითდასაქმებულია ვაჭრობით, რაიმე ხელობით ან სხვა პროფესიული საქმიანობით. ასეთი ადამიანები ითვლებიან *მუდმივი შემოსავლის მქონეებად*. მეორე მაჩვენებელი მოიცავს მუდმივი შემოსავლის მქონეებს და ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ საკუთარ მიწაზე, უვლიან საქონელს, ასრულებენ სოფლის მეურნეობის სხვა სამუშაოებს ან აქვთ დროებითი სამუშაო ფულადი ან არა-ფულადი ანაზღაურებით. ასეთ ადამიანებს ვუწოდებთ დასაქმებულებს, მიუხედავად იმისა რეგულარულად იღებენ თუ არა ისინი ფულად ანაზღაურებას. მესამე საზომის მიხედვით ითვლება რომ შინამეურნეობაში არის დასაქმებული წევრი, თუკი შინამეურნეობის ერთი წევრი მაინც ან დასაქმებულია, ან მიწის ნაკვეთს ფლობს, მიუხედავად იმისა, ამუშავებს თუ არა ამ ნაკვეთს. ცხრილი 4.7 გვიჩვენებს შინამეურნეობების სისშირეებს სამივე კატეგორიაში. ამ მაჩვენებლებიდან არცერთი არ წარმოადგენს უმუშევრობის მაჩვენებელს, ანუ პროცენტულ წილს ადამიანებისა, რომლებიც არ მუშაობენ.

**ცხრილი 4.7: შინამეურნეობების დასაქმების სტატუსი სამი სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით (n =4646)**

შინამეურნეობის ტიპი	შინამეურნეობების %	შინამეურნეობების რაოდენობა
მუდმივი შემოსავლის მქონე წევრის გარეშე	60.5	2809
დასაქმებული წევრის გარეშე	42.2	1962
როგორც დასაქმებული, ისე მიწის მფლობელი წევრის გარეშე	19.4	903

იმ შინამეურნეობათა შორის, რომლებშიც ერთი წევრი მაინც არის დასაქმებული ერთ-ერთი ზემოაღწერილი კრიტერიუმის მიხედვით, სიღარიბის დონე უფრო დაბალია, ვიდრე იმ შინამეურნეობათა შორის, რომლებშიც არავინ არის დასაქმებული (ცხრილები 4.8ა, 4.8ბ და 4.8გ). შინამეურნეობაში მუდმივი შემოსავლის მქონე წევრის ყოლა ანახევრებს უკიდურესი და ოფიციალური სიღარიბის დონეებს.

ეს ცხრილები სიფრთხილით უნდა იქნეს ინტერპრეტირებული დასაქმების სტატუსის ზემომოყვანილი განსაზღვრებების გამო. მაშინ, როდესაც კითხვები დასაქმების შესახებ შეეხებოდა მხოლოდ ინტერვიუს წინა კვირას, სიღარიბის შეფასება ეფუძნება კითხვებს, რომელიც შეეხებოდა მოხმარებას წინა წლის (ჯანდაცვა, განათლება, გრძელვადიანი არასასურსათო ხარჯები) ან წინა კვირის განმავლობაში (სასურსათო ხარჯები შინ და გარეთ ან მიმდინარე არასასურსათო ხარჯები). შინამეურნეობას შეიძლება არ ჰყავდეს წევრი, რომელიც რაიმე ფორმით იყო დასაქმებული წინა კვირის განმავლობაში და შესაბამისად ჩაითვალოს არა-დასაქმებულ შინამეურნეობად. მაგრამ შესაძლოა, რომ ამ შინამეურნეობის ერთი ან რამდენიმე წევრი დასაქმებული იყო წლის რომელიმე სხვა მონაკვეთში და შესაბამისად შინამეურნეობას მოხმარების უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდეს, ვიდრე მისი დასაქმების სტატუსიდან გამომდინარე არის მოსალოდნელი. მაგალითად, იმ შინამეურნეობების 87 პროცენტი, რომლებშიც არც დასაქმებულთა და არც მიწის მფლობელი, უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ზემოთ იმყოფება და მათ ექვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით თვეში საშუალოდ 114 ლარი შემოსავალი აქვთ (მედიანური შემოსავალი 101 ლარის ტოლია). კითხვები შემოსავლის შესახებ მოიცავს წინა თვეს (მუდმივი შემოსავალი) და წელს (არა-რეგულარული შემოსავალი), შესაბამისად მოსალოდნელია, რომ ზოგიერთ ამ შინამეურნეობაში იყვნენ დასაქმებული წევრები, რომლებიც წლის განმავლობაში იყვნენ დასაქმებულნი, მაგრამ არა გამოკითხვის წინა კვირაში.

**ცხრილი 4.8ა: უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები (სიღარიბის ზღვარი = 61.1 ლარს) შინამეურნეობების დასაქმების სტატუსის სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.**

	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელოვნობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის სიღრმე (საშუალო %)	t მნიშვნელოვნობის დონე
ერთი მაინც მუდმივი შემოსავლის მქონე წევრით	5.4	***	6.0	32.8	არამნიშვნელოვანია
მუდმივი შემოსავლის მქონე წევრის გარეშე	11.3		13.2	29.3	
ერთი მაინც დასაქმებული წევრით	7.0	***	8.0	29.8	არამნიშვნელოვანია
დასაქმებული წევრის გარეშე	11.6		13.5	30.4	
ერთი მაინც დასაქმებული ან მიწის მფლობელი წევრით	8.0	***	8.7	28.9	არამნიშვნელოვანია
როგორც დასაქმებული, ისე მიწის მფლობელი წევრის გარეშე	12.9		16.8	33.4	
<b>სულ (n=4646)</b>	<b>8.9</b>		<b>9.9</b>	<b>30.1</b>	

**ცხრილი 4.8ბ: ოფიციალური სიღარიბის მაჩვენებლები (სიღარიბის ზღვარი = 89.7 ლარს) შინამეურნეობების დასაქმების სტატუსის სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.**

	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელოვნობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის სიღრმე (საშუალო %)	t მნიშვნელოვნობის დონე
ერთი მაინც მუდმივი შემოსავლის მქონე წევრით	14.1	***	15.3	29.6	არამნიშვნელოვანია
მუდმივი	30.0		34.5	29.0	

შემოსავლის მქონე წევრის გარეშე					
ერთი მაინც დასაქმებული წევრით	19.9	***	21.9	27.8	არამნიშვნელოვანია
დასაქმებული წევრის გარეშე	28.9		32.7	30.3	
ან მიწის მფლობელი წევრით					
ერთი მაინც დასაქმებული ან მიწის მფლობელი წევრით	22.3	***	24.4	27.8	***
როგორც დასაქმებული, ისე მიწის მფლობელი წევრის გარეშე	29.6		33.4	33.2	
<b>სულ (n=4449)</b>	<b>23.7</b>		<b>25.7</b>	<b>29.1</b>	

**ცხრილი 4.8გ: ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლები (სიღარიბის ზღვარი = 122.2 ლარი) შინამეურნეობების დასაქმების სტატუსის სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით**

	შინამეურნეობების სიღარიბის დონე (%)	$\chi^2$ მნიშვნელობის დონე	მოსახლეობის სიღარიბის დონე (%)	სიღარიბის სიღრმე (საშუალო %)	t მნიშვნელოვნობის დონე
ერთი მაინც მუდმივი შემოსავლის მქონე წევრით	27.7	***	29.8	30.5	**
მუდმივი შემოსავლის მქონე წევრის გარეშე	50.5		57.4	34.2	
ან წევრით					
ერთი მაინც დასაქმებული წევრით	35.7	***	38.6	31.8	**
დასაქმებული წევრის გარეშე	49.4		56.1	34.7	

ერთი მაინც დასაქმებულ ი ან მიწის მფლობელი წევრით	40.2	***	43.5	31.9	***
როგორც დასაქმებულ ი, ისე მიწის მფლობელი წევრის გარეშე	46.9		52.1	38.0	
<b>სულ (n=4449)</b>	<b>41.5</b>		<b>44.8</b>	<b>33.2</b>	

**(4ბ) მატერიალური დეპრივაცია**

*შინამეურნეობაში ხანგრძლივი მოხმარების საგნები*  
 მატერიალური დეპრივაცია ამ შემთხვევაში იზომება შინამეურნეობაში გარკვეული ხანგრძლივი მოხმარების საგნების არქონით. ანალიზში გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ხანგრძლივი მოხმარების საგნები: ავტომობილი, მობილური ტელეფონი, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი, მაცივარი, მტვერსასრუტი და უთო (ცხრილი 4.9).

**ცხრილი 4.9. შინამეურნეობებში ზოგიერთი ხანგრძლივი მოხმარების საგნების არქონა (n=4808)**

	შინამეურნეობების %, რომლებსაც არ აქვთ	მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
მტვერსასრუტი	79.3	77.5	76.6	81.8
ავტომობილი	78.7	73.9	70.8	81.3
სარეცხი მანქანა	67.7	64.0	60.9	71.4
მაცივარი	42.8	40.0	40.5	44.9
მობილური ტელეფონი	34.9	27.3	22.7	43.2
უთო	15.1	13.0	13.2	17.4
ტელევიზორი	8.7	5.8	4.4	10.2

პენსიონერების რაოდენობა არაპროპორციულად დიდია იმ შინამეურნეობებში, რომლებსაც არ აქვთ რომელიმე ამ საგანთაგანი, განსაკუთრებით მობილური ტელეფონები და ტელევიზორები. ჩვენ შინამეურნეობას ვთვლით მატერიალურად დეპრივირებულად, თუ მას არ გააჩნია ჩამოთვლილი საგნებიდან ხუთი. ცხრილი 4.10 გვიჩვენებს, რომ ამ საზომის მიხედვით შინამეურნეობების 27,2 პროცენტი მატერიალურ დეპრივაციას განიცდის და დეპრივაციის მაჩვენებელი უფრო მაღალია პენსიონერებისათვის (32,6%), ვიდრე ბავშვებისათვის (20,9%), ან მთელი მოსახლეობისათვის (22,3%).

**ცხრილი 4.10: შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებსაც არ გააჩნიათ ცალკეული ხანგრძლივი მოხმარების საგნები. გამუქებულ უჯრედები გვიჩვენებს შინამეურნეობებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ხუთი ან მეტი ნივთი (n = 4808).**

საგნების რაოდენობა, რომელიც შინამეურნეობას არ გააჩნია	შინამეურნეობების % რომლებსაც არ გააჩნიათ საგნების შესაბამისი რაოდენობა	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
0	6.8	8.5	10.0	5.6
1	13.6	15.3	16.1	11.3
2	14.1	15.8	15.8	13.5
3	17.8	19.0	19.3	16.5
4	20.4	19.1	17.9	20.4
5	16.1	14.7	14.7	18.9
6	8.0	5.9	5.1	9.8
7	3.1	1.7	1.1	3.9

*საცხოვრებელი პირობები*

ცხრილი 4.11 გვიჩვენებს, რომ საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული პრობლემებიდან ყველაზე უფრო ხშირია ჭერიდან წყლის ჩამოსვლა, ნესტიანი საცხოვრებელი და დაზიანებული სახურავი, კედლები და იატაკი.

**ცხრილი 4.11: შინამეურნეობების მიერ დასახელებული კომუნალური პრობლემები (n=4808).**

	შინამეურნეობათა % რომელიც განიცდის ამ პრობლემას	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
დაზიანებული სახურავი, რომლიდანაც წყალი უონავს	40.2	40.4	43.0	43.2
დაზიანებული კედლები ან იატაკი	39.1	39.1	40.3	40.7
მიწის იატაკი	13.7	13.3	13.9	14.9
ნესტიანი საცხოვრებელი	40.9	41.6	43.1	43.6
ჩამტვრეული მინები	19.8	19.8	20.3	21.6
არასაკმარისი განათება	10.4	10.6	11.6	10.7
ხმაური	10.7	10.1	10.2	9.9
საცხოვრებელი ძალიან პატარაა	27.6	33.8	39.2	24.7

მიიჩნევა, რომ შინამეურნეობა განიცდის საცხოვრებელი პირობების მხრივ დეპრივაციას, თუკი ის სიაში მითითებულთაგან ორ სერიოზულ საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებულ პრობლემას მაინც განიცდის და ინტერვიუერის მიერ დადასტურებულია, რომ საცხოვრებლის მდგომარეობა არის ცუდი ან ძალიან ცუდი (ცხრილი 4.12).

**ცხრილი 4.12: შინამეურნეობები და მოსახლეობის ჯგუფები, რომლებიც საცხოვრებელი პირობების მხრივ დეპრივაციას განიცდიან (n=4808).**

შინამეურნეობების % რომლებიც განიცდიან საცხოვრებელი პირობების მხრივ დეპრივაციას	მთელი მოსახლეობის % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
27.6	26.5	27.5	28.9

ორმაგი მატერიალური დეპრივაცია

შინამეურნეობების 15 პროცენტი განიცდის ორმაგ მატერიალურ დეპრივაციას, რაც გამოიხატება ხანგრძლივი მოხმარების საგნების არქონასა და ცუდ საცხოვრებელ პირობებში. ამ შინამეურნეობებში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 12,7 პროცენტი, ბავშვების 13 პროცენტი და პენსიონერების 17,7 პროცენტი.

**(4გ) სუბიექტური სიღარიბე**

სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებელი შინამეურნეობების თვით-შეფასებას ემყარება. ითვლება, რომ შინამეურნეობა სუბიექტურ სიღარიბეს განიცდის, თუ იგი აცხადებს, რომ არ შეუძლია საკუთარი თავის უზრუნველყოფა საკმარისი საკვებით, ან მიაჩნია, რომ ისე ცუდად იკვებებიან, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

ამ კრიტერიუმის მიხედვით შინამეურნეობების 40 პროცენტი სუბიექტურად ღარიბია. ეს შინამეურნეობები მოიცავს მთელი მოსახლეობის 37 პროცენტს, ბავშვების 37 პროცენტს და პენსიონერების 45 პროცენტს.

**ცხრილი 4.13: შინამეურნეობის მიერ თვითშეფასება იმისა, თუ რამდენად შეუძლიათ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილება (n=4687).**

	შინამეურ- ნეობების %	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეო- ბებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
ადვილად ვიკმაყოფილებთ ყოველდღიურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნულებებს	0.9	0.9	1.0	0.9
მეტწილად ვიკმაყოფილებთ ყოველდღიურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნულებებს	21.4	22.2	22.4	16.0
ჩვენი შემოსავალი (არაფულადის ჩათვლით) მხოლოდ საკვებზე გვყოფნის	37.5	39.1	39.6	38.2
ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარი თავის უზრუნველყოფა საკმარისი საკვებითაც კი	30.5	29.0	28.2	34.3
იმდენად ცუდად ვიკვებებით, რომ ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება	9.7	8.8	8.8	10.6

2007 წელს ჩატარებული ცხოვრების დონის საზომი კვლევის (LSMS) მონაცემებზე დაყრდნობით მსოფლიო ბანკმა 2008 წელს მოახდინა სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებლების კატეგორიზაცია, როგორც ეს მითითებულია ცხრილში 4.14. იმ ადამიანების პროცენტული წილი, რომლებიც უკიდურესად ღარიბად კლასიფიცირებულ შინამეურნეობებში ცხოვრობენ, 9,8-დან 2009 წელს 8,8 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა, ამ პერიოდის განმავლობაში ღარიბი და ძალიან ღარიბი კატეგორიის შინამეურნეობებში მცხოვრები ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი უფრო მკვეთრად გაიზარდა 59,8-დან 68,1 პროცენტამდე.

**ცხრილი 4.14: საკუთარი კეთილდღეობის სუბიექტური შეფასების მაჩვენებლების დინამიკა 2007 (LSMS) და 2009 წლებს შორის (WMS).**

მსოფლიო ბანკის (2008) კატეგორია	კითხვარის პასუხი	შინამეურნეობების % (2009)	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში (2009)	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში (2007)
კარგი	ადვილად ვიკმაყოფილებთ ყოველდღიურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნულებებს	0.9	0.9	2.7
საშუალო	მეტწილად ვიკმაყოფილებთ ყოველდღიურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნულებებს	21.4	22.2	27.8
ღარიბი	ჩვენი შემოსავალი (არაფულადის ჩათვლით) მხოლოდ საკვებზე გვეყოფნის	37.5	39.1	34.9
ძალიან ღარიბი	ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარი თავის უზრუნველყოფა საკმარისი საკვებითაც კი	30.5	29.0	24.9
უკიდურესად ღარიბი	იმდენად ცუდად ვიკვებებით, რომ ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხე	9.7	8.8	9.8

ემუქრება

2009 წელს ძირითადად პრობლემად შინამეურნეობები ყველაზე ხშირად უმუშევრობას ასახელებდნენ (36%), აგრეთვე მედიკამენტების შექენასთან ან სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებს (32% ერთად აღებულნი). მსოფლიო ბანკის მონაცემებით ანალოგიური ტენდენცია იყო 2007 წელსაც (ცხრილი 4.15). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შიმშილის ან არასაკმარისი კვების პრობლემებში მყოფ შინამეურნეობებში მცხოვრები ადამიანების პროცენტული წილი მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო უმუშევრობასა და სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შექენასთან დაკავშირებული პრობლემები გაიზარდა.

რასაკვირველია სხვადასხვა ტიპის შინამეურნეობებს სხვადასხვა სახის პრობლემები აწუხებთ. მხოლოდ პენსიონერებისაგან შემდგარი შინამეურნეობების 70 პროცენტისათვის მედიკამენტების შექენა და სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდა ძირითად პრობლემას წარმოადგენდა. სხვა ტიპის შინამეურნეობებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 24 პროცენტს შეადგენს, ხოლო 43 პროცენტი ძირითად პრობლემად უმუშევრობას მიიჩნევს.

შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთათვისაც ვალის ან საბანკო კრედიტის გადახდა იყო ძირითადი პრობლემა, ორჯერ უფრო მაღალია ბავშვიან შინამეურნეობებში (9%) ვიდრე შინამეურნეობებში, რომლებსაც ბავშვი არ ყავთ (4%).

ცხრილი 4.15: შინამეურნეობების მიერ დასახელებული ძირითადი პრობლემები

პრობლემა	შინამეურნეობების %	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში (მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2009)	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში (LSMS 2007)	ყველა ბავშვის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში (მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2009)	ყველა პენსიონერის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში (მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2009)
უმუშევრობა	36.3	42.2	37.4	42.6	26.1
მედიკამენტების შექენა	17.5	13.3	11.2	9.9	25.7
სამედიცინო მომსახურება	14.3	12.5	8.2	10.1	19.5

საცხოვრებელი პირობები <sup>20</sup>	9.3	9.3	9.7	11.6	7.5
შემშლილი ან არაადეკვატური კვება	8.1	7.3	17.7	8.2	9.0
ვალების ან საბანკო კრედიტის დაფარვა	5.8	7.2	5.8	9.3	4.2
კომუნალური გადასახადები	5.7	5.0	6.9	4.6	5.8
დასვენება და გართობა	1.7	1.8	0.9	2.0	1.3
ტანსაცმლის შექენა	0.5	0.7	0.6	0.8	0.5
ავეჯი	0.4	0.4	0.6	0.5	0.2
სასკოლო ნივთების შექენა	0.3	0.4	1.0	0.5	0.1
<b>სულ</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>
<b>შემთხვევების რაოდენობა</b>	<b>4624</b>	<b>16899</b>		<b>3258</b>	<b>3228</b>

#### (4დ) სოციალური გარიყულობა

კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვრა სოციალური გარიყულობის ხუთი ასპექტი:

- ა. არასრული განათლება განისაზღვრა როგორც შემთხვევა, როდესაც შინამეურნეობის რომელიმე წევრი ისურვებდა დამატებით განათლებას, ან შინამეურნეობაში არ არის 15 წელზე მეტი ასაკის წევრი, რომელსაც საშუალო განათლება მაინც გააჩნია.

<sup>20</sup> “საცხოვრებელი პირობები” არ არის ნახსენები მსოფლიო ბანკის 2008 წლის ანგარიშში, მაგრამ ციფრი 9.7 ასახავს პროცენტულ წილს იმ ადამიანებისა, რომლებიც ცხოვრობენ შინამეურნეობებში, რომელთაც ძირითად პრობლემად “საცხოვრებელის არაკომფორტულობა” დაასახელეს.

- ბ. დაუსაქმებლობა ან მიწის არქონა განისაზღვრა როგორც შემთხვევა, როდესაც შინამეურნეობის არცერთი წევრი არ ფლობს მიწის ნაკვეთს და 15 წელზე მეტი ასაკის არცერთი წევრი არ იყო რაიმე ფორმით დასაქმებული გამოკითხვის წინა კვირაში.
- ც. სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობა განისაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის რომელიმე წევრს გასული ერთი წლის განმავლობაში დასჭირდა სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები და ვერ მიიღო ფულის არქონის გამო.
- დ. სესხის ან კრედიტის მიუწვდომლობა განისაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში შინამეურნეობის რომელიმე წევრმა უშედეგოდ სცადა ფულის სესხება ბანკიდან, ლომბარდიდან ან კერძო გამსესხებლისაგან.
- ე. სოციალური დახმარების მიუწვდომლობა განისაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობამ მოითხოვა სოციალური დახმარება, მაგრამ ვერ მიიღო ან ნაწილობრივ მიიღო.

ცხრილი 4.16 გვიჩვენებს პროცენტულ წილებს შინამეურნეობებისა, რომლებიც სოციალური გარიყულობის ამა თუ იმ ასპექტს განიცდიან, აგრეთვე ამ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის, ბავშვების და პენსიონერების პროცენტულ წილებს. თითქმის არცერთი შინამეურნეობა არ განიცდის გარიყულობის ხუთივე ასპექტს.

**ცხრილი 4.16. შინამეურნეობები და ადამიანები, რომლებიც განიცდიან სოციალური გარიყულობის სხვადასხვა ასპექტებს (n=4808).**

	შინამეურნეობების % რომელიც განიცდის ამ პრობლემას	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
არასრული განათლება	19.9	22.4	28.8	19.2
დაუსაქმებლობა ან მიწის არქონა	19.9	15.6	15.2	21.5
ჯანდაცვის მომსახურების მიუწვდომლობა	58.6	58.1	56.6	63.8
სესხის ან კრედიტის მიუწვდომლობა	4.3	5.1	5.7	2.8
სოციალური დახმარების მიუწვდომლობა	19.9	19.5	19.1	21.3

შინამეურნეობას სოციალურად გარიყული ვუწოდეთ, თუ ის განიცდის გარიყულობის სულ ცოტა სამ სხვადასხვა ასპექტს. ამ კატეგორიაში ხვდება შინამეურნეობების 8 პროცენტზე მეტი, მთელი მოსახლეობის 8,1 პროცენტი, ბავშვების 8,5 პროცენტი და პენსიონერების 8,5 პროცენტი (ცხრილი 4.17).

ცხრილი 4.17: შინამეურნეობები და ადამიანები, რომლებიც სოციალური გარიყულობის რამდენიმე ასპექტს განიცდიან (n=4808)

სოციალურ გარიყულობასთან დაკავშირებული პრობლემების რაოდენობა	შინამეურნეობების %	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
0	24.5	25.3	23.7	19.8
1	38.1	38.0	37.2	40.9
2	28.8	28.6	30.6	30.9
3	7.5	7.1	7.1	7.8
4	1.1	1.0	1.4	0.7

#### (4ე) კომუნალური სერვისების მიუწვდომლობა

ითვლება, რომ შინამეურნეობისათვის კომუნალური სერვისები მიუწვდომელია, თუ მისთვის პრობლემას წარმოადგენს წყლის, სანიტარული პირობების ან გათბობის მისაწვდომობა.

- ა. წყალი: შინამეურნეობას აქვს პრობლემები წყლით უზრუნველყოფის მხრივ, თუ მას არ მიეწოდება ცივი წყალი, ან წყალი არ არის შეყვანილი საცხოვრებელში.
- ბ. სანიტარული პირობები: შინამეურნეობას აქვს პრობლემები სანიტარული პირობების მხრივ, თუ არ აქვს კანალიზაციის სისტემა ან აბაზანა.
- გ. გათბობა: შინამეურნეობას აქვს პრობლემები გათბობის მხრივ, თუ საცხოვრებელი პრაქტიკულად არ გამთბარა წინა ზამთრის განმავლობაში, ან წლიური დანახარჯი სათბობ საშუალებებზე აღემატებოდა შინამეურნეობის მთლიანი წლიური ხარჯების 10 პროცენტს.

ცხრილი 4.18 გვიჩვენებს, თუ რამდენ შინამეურნეობას ჰქონდა პრობლემები საბაზისო საჭიროებების (წყლის, სანიტარული პირობების და გათბობის) უზრუნველყოფის მხრივ.

ცხრილი 4.18: შინამეურნეობები და ადამიანები, რომლებსაც აქვთ პრობლემები კომუნალური სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით (n = 4808).

	შინამეურნეობების % რომელიც განიცდის ამ პრობლემას	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
წყალი	48.4	48.0	47.5	53.9
სანიტარული პირობები	56.4	56.7	56.2	62.9
გათბობა	17.7	14.4	12.4	20.1

შინამეურნეობების თითქმის 10 პროცენტს აქვს პრობლემები წყლის, სანიტარული პირობების და გათბობის ხელმისაწვდომობის კუთხით, ხოლო 63 პროცენტს ხელი არ მიუწვდებოდა ამ კომუნალური სერვისებიდან ერთ-ერთზე მაინც (ცხრილი 4.19).

ცხრილი 4.19: შინამეურნეობები და ადამიანები რომლებიც განიცდიან რამდენიმე კომუნალური სერვისის ხელმისაწვდომობის პრობლემას (N = 4808).

კომუნალური სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების რაოდენობა	შინამეურნეობების % რომელიც განიცდის ამ პრობლემას	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
0	37.3	38.5	39.7	31.2
1	12.6	11.7	11.1	12.7
2	40.6	42.0	42.4	44.1
3	9.6	7.7	6.7	12.0

**(4ე) სიღარიბის და დეპრივაციის სხვადასხვა სხვადასხვა ასპექტები**

ცხრილი 4.20-ში მოყვანილია პროცენტული წილები შინამეურნეობებისა, რომლებიც განიცდიან ამ თავში აღწერილი სიღარიბის და დეპრივაციის ამა თუ იმ ასპექტს.

**ცხრილი 4.20: შინამეურნეობები და ინდივიდები, რომლებიც განიცდიან სოციალური გარიყულობის ამა თუ იმ ასპექტს**

ასპექტი	შინამეურნეობების % რომელიც განიცდის ამ პრობლემას	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ყველა ბავშვის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ყველა პენსიონერის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში
უკიდურესი სიღარიბე (< 61.1 ლარზე)	8.9	9.9	11.5	7.3
ოფიციალური სიღარიბე (< 89.7 ლარზე)	23.7	25.7	28.4	22.2
ზოგადი სიღარიბე (< 122.2 ლარზე)	41.5	44.8	49.0	41.7
მატერიალური დეპრივაცია	15.0	12.7	13.1	18.1
სუბიექტური სიღარიბე	39.4	37.1	36.4	44.7
სოციალური გარიყულობა	8.5	8.1	8.6	8.4
კომუნალური სერვისების ხელმიუწვდომლობა	63.2	62.0	61.1	70.5

ბევრი შინამეურნეობისათვის, სიღარიბესთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები ერთდროულად იჩენს თავს. მაგალითად, ოფიციალური სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების სამი მეოთხედისათვის მიუწვდომელია ერთი ან მეტი კომუნალური სერვისი. ეს შინამეურნეობები ასევე იმყოფებიან მატერიალური დეპრივაციის ორჯერ უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე ის შინამეურნეობები, რომლების ოფიციალურ ზღვარს ზემოთ არიან (ცხრილი 4.21).

**ცხრილი 4.21: ოფიციალური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და ზემოთ მყოფი შინამეურნეობების პროცენტული წილები, რომლებიც ღარიბები არიან სხვა ასპექტების მიხედვით.**

	შინამეურნეობის ექვივალენტური თვიური ხარჯები	
	< 89.7 ლარზე	≥ 89.7 ლარზე
კომუნალური სერვისების ხელმიუწვდომლობა	75.4	59.4
სუბიექტური სიღარიბე	57.6	33.7
მატერიალური დეპრივაცია	28.6	10.8
სოციალური გარიჟუნობა	12.7	7.2

## 5. სამომხმარებლო სიღარიბის აღბათობის მოდელირება

გარკვეული მახასიათებლების მქონე შინამეურნეობის სიღარიბის ამა თუ იმ ზღვარს ქვემოთ მოხვედრის აღბათობის შესაფასებლად შეიძლება მრავლობითი რეგრესიის სტატისტიკური მოდელები იქნეს გამოყენებული. ჩვენ ცალკე მოდელები შევქმენით ქალაქად და სოფლად მცხოვრები შინამეურნეობებისათვის, ვინაიდან სავარაუდოდ სიღარიბის აღბათობის განმსაზღვრელი მახასიათებლები ქალაქად და სოფლად განსხვავებულად ერთიერთქმედებენ. ამ მოდელებში გამოყენებულია შინამეურნეობის გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ, განათლების და დასაქმების მახასიათებლები.

### ქალაქები

ცხრილი 5.1. ასახავს საუკეთესო მოდელს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ქალაქად შინამეურნეობების ოფიციალური სიღარიბის ზღვარს (89.7 ლარი) მიღმა მოხვედრის აღბათობის შეფასება. დანარჩენი ცვლადების მუდმივობის პირობებში, შანსების თანაფარდობათა ფარდობა<sup>21</sup> გვიჩვენებს ცალკეული მახასიათებლების გავლენას შინამეურნეობის სიღარიბის და არასიღარიბის შანსების თანაფარდობაზე. მაგალითად, აჭარის ქალაქებში შინამეურნეობის სიღარიბის და არასიღარიბის შანსების თანაფარდობა ათჯერ უფრო დაბალია, ვიდრე თბილისში. შინამეურნეობები, რომლებიც მხოლოდ პენსიონერებისაგან შედგება, სიღარიბის უფრო ნაკლები რისკის ქვეშ არიან, ვიდრე სხვა ტიპის შინამეურნეობები. ეს ეთანხმება მეოთხე თავის შედეგებს და მიანიშნებს, რომ სავარაუდოდ მთავრობის მიერ პენსიებზე გაწეულ ხარჯებს დადებითი ეფექტი აქვს. ეს რომ მართლაც ასეა, მეექვსე თავში დავრწმუნდებით, როდესაც ვნახავთ, რომ პენსიების გარეშე ოფიციალური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების პროცენტული წილი 22-დან 55 პროცენტამდე გაიზარდებოდა.

განათლება სიღარიბის და არასიღარიბის შანსების თანაფარდობას საშუალოდ ერთი მესამედით ამცირებს, მაგრამ ეს მხოლოდ უმაღლეს განათლებას ეხება. სიღარიბის და არასიღარიბის შანსების თანაფარდობა სამი მეოთხედით მცირდება, თუ შინამეურნეობაში რომელიმე წევრი ან დასაქმებულია ან მიწას ფლობს. გარდა ამისა, შინამეურნეობაში შემოსავლის მქონე ყოველი დამატებითი წევრი სიღარიბის ამ თანაფარდობას ორი მესამედით ამცირებს. შინამეურნეობის უფროსის სქესს, ბავშვების რაოდენობას და შინამეურნეობის წევრი ქალების განათლების დონეს არავითარი დამატებითი წვლილი არ შეაქვს ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობების მოდელში.

<sup>21</sup> მოვლენის მოხდენის და არმოხდენის შანსთა თანაფარდობა =  $p/(1-p)$ , სადაც  $p$  მოვლენის აღბათობაა.

## სოფლები

სოფლად სიტუაცია საკმაოდ განსხვავებულია. სოფლად ოფიციალური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების პროცენტული წილი ყველაზე დაბალი აჭარაშია (18%). ცხრილ 5.2-ში წარმოდგენილი მოდელი გვიჩვენებს, რომ აჭარასთან შედარებით, სოფლის შინამეურნეობების სიღარიბის და არასიღარიბის შანსების თანაფარდობა ყველა რეგიონში უფრო მაღალია. მცხეთა-მთიანეთში ეს თანაფარდობა 3.7-ჯერ მეტია. ისევე, როგორც ქალაქად, მხოლოდ პენსიონერებისაგან შემდგარი შინამეურნეობები სიღარიბის უფრო დაბალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, ვიდრე დანარჩენი შინამეურნეობები. ერთ ან ორბავშიან შინამეურნეობებს სიღარიბის და არასიღარიბის შანსების უფრო მაღალი თანაფარდობა აქვთ, ვიდრე იმ შინამეურნეობებს, რომლებსაც ბავშვები არ ჰყავთ. განსაკუთრებით მოწვევადი არიან შინამეურნეობები, რომლებსაც სამი ან მეტი ბავშვი ჰყავთ – მათთვის ზემოსხენებული თანაფარდობა სამჯერ უფრო მაღალია.

ქალაქებისაგან განსხვავებით, სოფლად შინამეურნეობაში განათლების უმაღლესი დონეს არ შეაქვს რაიმე წვლილი მოდელში, მაგრამ თუ შინამეურნეობაში ქალს აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლება, სიღარიბის და არასიღარიბის შანსების თანაფარდობა მცირდება. ამავე დროს შინამეურნეობის უფროსის სქესს მნიშვნელოვანი ეფექტი არ აქვს.

სოფლის მოდელში, ისევე, როგორც ქალაქის მოდელში, შემოსავლის მქონე ყოველი დამატებითი წევრი შინამეურნეობის სიღარიბის და არასიღარიბის შანსების თანაფარდობას თითქმის ორი მესამედით ამცირებს. სამაგიეროდ სოფლის მოდელში დასაქმებას ან მიწის ფლობას დამატებითი ეფექტი არ აქვს.

**ცხრილი 5.1: შინამეურნეობის მახასიათებლების ლოგისტიკური რეგრესია ოფიციალურ სიღარიბეზე (შინამეურნეობის ექვივალენტური თვიური შემოსავალი 89.7 ლარზე ნაკლებია) საქალაქო დასახლებებისათვის.**

შინამეურნეობის მახასიათებელი	B კოეფიციენტი	შანსების თანაფარდობათა ფარდობა	გაღდის მნიშვნელოვნობის დონე
<i>რეგიონი (თბილისთან შედარებით)</i>			
აჭარა	-2.0	0.1	***
გურია	-0.6	0.5	არამნიშვნელოვანია
იმერეთი, რაჭა	-0.1	0.9	არამნიშვნელოვანია
კახეთი	-0.7	0.5	*
მცხეთა-მთიანეთი	0.3	1.4	არამნიშვნელოვანია
ქვემო ქართლი	-0.4	0.7	არამნიშვნელოვანია

სამცხე-ჯავახეთი	-0.2	0.8	არამნიშვნელოვანია
სამეგრელო	-0.3	0.8	არამნიშვნელოვანია
შიდა ქართლი	-1.3	0.3	***
შინამეურნეობაში პენსიონერის ყოფნა			
მხოლოდ პენსიონერ(ებ)ისაგან შემდგარი შინამეურნეობები (დანარჩენ შინამეურნეობებთან შედარებით)	-0.8	0.4	***
განათლების უმაღლესი დონე (საშუალოზე ნაკლებ განათლების დონესთან შედარებით)			
საშუალო	-0.1	0.9	არამნიშვნელოვანია
პროფესიული	-0.3	0.5	არამნიშვნელოვანია
უმაღლესი	-1.2	0.3	**
დასაქმება			
შინამეურნეობები, რომლებშიც ვინმე დასაქმებულია ან მიწას ფლობს (დანარჩენ შინამეურნეობებთან შედარებით)	-0.3	0.7	*
შინამეურნეობაში შემოსავლის მქონეთა რაოდენობა	-0.5	0.6	***
მუდმივი	0.2	1.2	არამნიშვნელოვანია

შემთხვევების რაოდენობა = 1507; Hosmer & Lemeshow  $< 0.5$ ; Nagelkerke  $R^2 = 0.165$

მნიშვნელოვნობის დონეები: \*  $p < 0.05$ ; \*\*  $p < 0.01$ ; \*\*\*  $p < 0.001$

**ცხრილი 5.2: შინამეურნეობების მახასიათებლების ლოგისტიკური რეგრესია ოფიციალურ სიღარიბეზე (შინამეურნეობის ექვივალენტური თვიური შემოსავალი 89.7 ლარზე ნაკლებია) სასოფლო დასახლებებისათვის**

შინამეურნეობის მახასიათებელი	B კოეფიციენტი	შანსების თანაფარდობათა ფარდობა	ვალდის მნიშვნელოვნობის დონე
<i>რეგიონი (აჭარასთან შედარებით)</i>			
გურია	0.7	2.0	*
იმერეთი, რაჭა	0.8	2.3	***

კახეთი	0.8	2.2	***
მცხეთა-მთიანეთი	1.3	3.7	***
ქვემო ქართლი	0.5	1.7	*
სამცხე-ჯავახეთი	0.5	1.7	*
სამეგრელო	0.6	1.8	*
შიდა ქართლი	0.5	1.7	*
ბავშვების რაოდენობა (უბავშვო შინამეურნეობებთან შედარებით )			
1	0.5	1.7	***
2	0.5	1.7	***
3 ან მეტი	1.1	3.0	***
შინამეურნეობაში პენსიონერის ყოფნა			
მხოლოდ პენსიონერ(ებ)ისაგან შემდგარი შინამეურნეობები (დანარჩენ შინამეურნეობებთან შედარებით)	-0.7	0.5	***
<i>შინამეურნეობაში ქალის განათლების უმაღლესი დონე (საშუალოზე ნაკლებ განათლების დონესთან შედარებით)</i>			
საშუალო	-0.3	0.7	არამნიშვნელოვანია
პროფესიული	-0.7	0.5	***
უმაღლესი	-1.1	0.3	***
<i>დასაქმება</i>			
შინამეურნეობაში შემოსავლის მქონეთა რაოდენობა	-0.5	0.6	***
<i>მუდმივი</i>	-1.1	0.3	***

შემთხვევების რაოდენობა = 2916; Hosmer & Lemeshow = 0.167; Nagelkerke R<sup>2</sup> = 0.116

მნიშვნელოვნობის დონეები: \* p < 0.05; \*\* p < 0.01; \*\*\* p < 0.001

შემუშავებული მოდელები გვაძლევენ შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას.

ქალაქად სიღარიბის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან შინამეურნეობები, რომლებიც: ცხოვრობენ მცხეთა-მთიანეთში, ჰყავთ არაპენსიონერი წევრი, არ ჰყავთ უმაღლესი განათლების მქონე წევრი, არ ჰყავთ დასაქმებული ან მიწის მფლობელი წევრი, არ ჰყავთ შემოსავლის მქონე წევრი.


სოფლად სიღარიბის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან შინამეურნეობები, რომლებიც: ცხოვრობენ მცხეთა-მთიანეთში, ჰყავთ არაპენსიონერი წევრი, ჰყავთ სამი ან მეტი ბავშვი, არ ჰყავთ საშუალოზე მეტი განათლების მქონე წევრი ქალი, არ ჰყავთ შემოსავლის მქონე წევრი.

## 6. სოციალური ტრანსფერები

სოციალურ დაცვაზე ხარჯები ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სიდიდით მეორე მუხლს წარმოადგენს. 2008 წელს მათ ცენტრალური სახელმწიფო ხარჯების 17.7 პროცენტი შეადგინეს (მშპ-ს 5.2%).<sup>22</sup>

საქართველოში, ისევე, როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებში, პენსიები სოციალური დაცვის სისტემის ყველაზე მსხვილ კომპონენტს წარმოადგენს. 2009 წელს სოციალური ხარჯების 72.6 პროცენტი სხვადასხვა სახის პენსიებზე მოდიოდა, რომლებსაც 838,493 ადამიანი იღებდა (მოსახლეობის 20.5%)<sup>23</sup>. პენსიები ოთხ კატეგორიად იყოფა – ხანდაზმულობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ობლების და მარჩენალდაკარგულების და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის (აგრეთვე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთათვის). ამას გარდა არსებობს პრივილეგირებული პენსიები, რომლებსაც კომპენსაციები და სტიპენდიები ეწოდება, ძირითადად ძალოვანი უწყებების და აკადემიის წევრებისათვის. კომპენსაციების და სტიპენდიების გაანგარიშება სტაჟის და ბოლო ხელფასის გათვალისწინებით ხდება.

დიაგრამა 6.1: სოციალური დაცვაზე ხარჯების პროცენტული განაწილება 2009 წ.



2004 წლიდან მოყოლებული ხელისუფლება საპენსიო სისტემის მნიშვნელოვან რეფორმას ატარებს. ხელისუფლებამ დაფარა დიდი მოცულობის საპენსიო დავალიანებები, რომელიც წინა ხელისუფლებისგან ერგო მემკვიდრეობად (2004 წ.), გააუქმა მინიმალური სტაჟის მოთხოვნა (2005 წ.), 84 სხვადასხვა ტიპის პენსია გააერთიანა ოთხ კატეგორიაში (2005 წ.) და დაიწყო პენსების მუდმივი

<sup>22</sup> ავტორის გაანგარიშებები ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის სახელმწიფო დანახარჯების მონაცემებზე დაყრდნობით, წყარო: “კანონი 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, [www.mof.ge](http://www.mof.ge)

<sup>23</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო (2010), *პენსიონერთა ერთიანი სააღრიცხვო ბაზა*, <http://www.ssa.gov.ge/index.php?id=820>

ზრდა. მაგალითად, ხანდაზმულობის პენსია 2004 წელს 14 ლარიდან (7 ა.შ.შ. დოლარი) 2009 წელს 80 ლარამდე (47 ა.შ.შ. დოლარი) გაიზარდა. შეიცვალა პენსიის გაცემის სისტემაც – კარდაკარ დარიგების ნაცვლად თანხის გადარიცხვა საბანკო სისტემის მეშვეობით ხორციელდება. გარდა ამისა, ამჟამად პენსიები საერთო გადასახადებიდან ფინანსდება და არა სპეციალური გადასახადებიდან. ამასთან ერთად, თბილისის მუნიციპალიტეტმა შემოიღო საპენსიო დანამატები სტაჟის გათვალისწინებით.

**მისამართული სოციალური დახმარება (მსდ) საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის მეორე ძირითად კომპონენტს წარმოადგენს.** 2006 წელს ხელისუფლებამ შემოიღო საჭიროებათა შეფასების პრინციპი, რათა უკეთ მოეხდინა მოსახლეობის ყველაზე ღარიბი სეგმენტის მოცვა. ამ მიზნით შეიქმნა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ბაზა. საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით შეფასებულ იქნა ბაზაში დარეგისტრირებული 540,000 შინამეურნეობის (1.7 მილიონი ადამიანი) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. შეფასებისას მიღებული სარეიტინგო ქულის შესაბამისად შინამეურნეობამ შეიძლება მიიღოს უფასო ჯანდაცვის პოლისი, ფულადი დახმარება და რამდენიმე სხვა ერთჯერადი ბენეფიტი. 2010 წლის იანვრის მონაცემებით ფულად დახმარებას 420,800 ადამიანი (მოსახლეობის 9.6 %) იღებდა.<sup>24</sup>

**2009 წელს მსდ-ს ოდენობა თითქმის გაორმაგდა.** მანამდე შინამეურნეობები იღებდნენ 30 ლარს ოჯახის პირველ წევრზე და 12 ლარს ყოველ დამატებით წევრზე. 2009 წლის მარტიდან მოყოლებული შინამეურნეობების დამატებითი წევრები 24 ლარს იღებენ. ხელისუფლება ასევე გეგმავდა მსდ-ით მოცვის 900,000 ადამიანამდე გაზრდას,<sup>25</sup> რომელთაგან 500,000 ადამიანი დახმარების უფრო დაბალ ოდენობას მიიღებდა. თუმცა ეს გეგმა არ განხორციელდა. ბენეფიციართა რაოდენობა მხოლოდ 25,000-ით გაიზარდა, რაც დაახლოებით შეესაბამება ახალი იძულებით გადაადგილებული პირების (იგპ) რაოდენობას, რომელთაც არ სჭირდებათ საცხოვრებელი პირობების შეფასება დახმარების მისაღებად.

**მესამე კომპონენტი, კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტები მოიცავს მოჭრილ ტრანსფერებს სპეციფიური მოწყველადი ან “დამსახურებების მქონე” ჯგუფებისათვის, იძულებით გადაადგილებული პირების, ობლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ჩათვლით. კატეგორიებზე დაფუძნებული ყველაზე დიდი ბენეფიტი იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებაა (ადამიანებისათვის, რომლებიც იძულებით იქნენ გადაადგილებულნი 1992-93 წლების შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად). თუმცა კატეგორიებზე დაფუძნებული ყველა ბენეფიტი გარკვეული დროის განმავლობაში გაუქმდება. ისინი დახურულია ახალი ბენეფიციარებისათვის და ჩანაცვლებული იქნება მსდ-ით.<sup>26</sup>**

<sup>24</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო (2010) *სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზა*, <http://ssa.gov.ge/index.php?id=32&lang=1>

<sup>25</sup> საქართველოს მთავრობა (2008) *ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე*, გვ.5, ასევე [http://government.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=68](http://government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=68)

<sup>26</sup> მსოფლიო ბანკი (2009) საქართველოს სიღარიბის შეფასება, გვ. 92

ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადმინისტრირებული სოციალური ტრანსფერების გარდა, მუნიციპალიტეტების უმეტესობა აგრეთვე გასცემს გარკვეული ფულად და არაფულად დახმარებებს, თუმცა მათი მოცვა და ოდენობა საკმაოდ დაბალია. მუნიციპალიტეტების მთლიანი სოციალური ხარჯები (62.1 მილიონი ლარი) მათი ნაერთი ბიუჯეტის 5 პროცენტს არ აღემატება.<sup>27</sup> მუნიციპალური ბენეფიტების უმეტესობა ერთჯერადია, ხოლო მისამართულობა კატეგორიებზეა დაფუძნებული, თუმცა ზოგიერთი მუნიციპალიტეტი, თბილისის ჩათვლით აქტიურად იყენებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზას საკუთარი სოციალური პროგრამების ბენეფიციართა განსასაზღვრად.

მოსახლეობის კეთილდღეობის 2009 წლის კვლევის ანალიზში განიხილება სოციალური ბენეფიტების სამი ძირითადი კლასი: პენსიები, მიზნობრივი სოციალური დახმარება (მსდ, იგივე “ღარიბთა შემწეობა”) და კატეგორიებზე დაფუძნებული და სხვა ბენეფიტები. ამ ანალიზში მუნიციპალური სოციალური ბენეფიტები “კატეგორიებზე დაფუძნებული და სხვა ბენეფიტების” კლასში არის შეტანილი. თითოეულ კლასში კვლევა მხოლოდ რეგულარული პირადი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ბენეფიტების შესახებ იძლევა მონაცემებს.

## სოციალური ტრანსფერებით მოცვა

სოციალური დაცვის ბენეფიტები შემოსავლების გადანაწილების გზით მოსახლეობის ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მთავარი საშუალებაა. შინამეურნეობების დაახლოებით 59 პროცენტი იღებს რაიმე სახის სოციალური ტრანსფერს, ხოლო 12 პროცენტზე მეტი – ერთზე მეტ ტრანსფერს (ცხრილი 6.1).

**ცხრილი 6.1. შინამეურნეობები, რომლებიც სხვადასხვა სახის სოციალურ ტრანსფერებს იღებენ (n=4646).**

მიღებული სოციალური ტრანსფერის სახეობა	შინამეურნეობების %	მთელი მოსახლეობის % რომელიც ამ შინამეურნეობებში ცხოვრობს	ბავშვების % რომლებიც ამ შინამეურნეობებში ცხოვრობენ	ეპენსიონერის % რომლებიც ამ შინამეურნეობებში ცხოვრობენ
მხოლოდ პენსია	4212	41.6	35.9	74.2
მხოლოდ მსდ	2.7	3.1	4.8	0.3
მხოლოდ კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტი	2.2	2.4	2.7	0.2

<sup>27</sup> საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (2009) *მუნიციპალური ბიუჯეტების ანალიზი*, იბეჭდება

პენსია და მსდ	7.3	6.2	5.8	11.8
პენსია და კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტი	3.4	2.7	2.2	6.1
მსდ და კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტი	0.4	0.5	0.8	0.1
პენსია, მსდ და კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტი	1.0	0.8	0.9	1.7
არცერთი	40.8	42.7	47.0	5.4

შინამეურნეობათა მოცვის მხრივ პირველ ადგილზე პენსიებია – მათ შინამეურნეობების 53.8 პროცენტი იღებს, რასაც მოსდევს მსდ (8.8%). კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტები ბოლო ადგილზეა (7.2%).

**ცხრილი 6.2.** სამი სხვადასხვა სახის სოციალური ტრანსფერის მიმღები შინამეურნეობები სიღარიბის სტატუსის მიხედვით

მიღებული სოციალური ტრანსფერის ტიპი	მიმღებთა % ყველა შინამეურნეობაში (n=4646)	მიმღებთა % უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებში (n=416)	მიმღებთა % ოფიციალურად ღარიბ შინამეურნეობებში (n=1102)	მიმღებთა % ზოგადად ღარიბ შინამეურნეობებში (n=1928)
პენსია	53.8	47.0	54.0	54.7
მსდ	11.5	19.8	20.0	17.3
კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტები	7.1	8.2	7.5	7.9
არც ერთი შემოჩამოთვლილთაგან	40.8	39.7	35.1	36.4

ოფიციალური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების ერთ მესამედზე მეტი არც ერთ სოციალურ ტრანსფერს არ იღებს. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სოციალური ტრანსფერის საერთოდ არ მიღების ალბათობა უკიდურესად ღარიბი შინამეურნეობებისათვის უფრო მაღალია, ვიდრე შედარებით ნაკლებად ღარიბი შინამეურნეობებისათვის. ცხრილი 6.2-დან ჩანს,

რომ მსდ-ს უფრო ხშირად ღარიბი შინამეურნეობები იღებენ, რასაც ვერ ვიტყვით კატეგორიებზე დაფუძნებულ ბენეფიტებზე. ამ ბენეფიტებს შინამეურნეობების 7-8 პროცენტი იღებს, მიუხედავად იმისა თუ სიღარიბის განსასაზღვრად რომელ ზღვარს გამოვიყენებთ.

თუ ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე შინამეურნეობის თვიურ მოხმარებას გამოვაკლებთ ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე პენსიებიდან მიღებულ შემოსავალს და შინამეურნეობებს მიღებული მანკვენბლის ზრდის მიხედვით დავაღაგებთ, მათი ერთობლიობა შეიძლება მეათედებად (დეცილებად) დაიყოს. ცხრილი 6.3 გვიჩვენებს ამ დეცილებში მოხმარების დონეებს. ცხრილი აგრეთვე გვიჩვენებს, თუ რა წილი უჭირავს პენსიების მიმღებ შინამეურნეობებს თითოეულ დეცილში.

**ცხრილი 6.3.: შინამეურნეობების მიერ პენსიების მიღება სხვადასხვა დეცილებში (დეცილები მიღებულია ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე პენსიების გამოკლების შემდეგ დარჩენილი მოხმარების მიხედვით ყველა შინამეურნეობის დალაგების შედეგად) (n =4646)**

დეცილი <sup>ა</sup>	დიაპაზონი (ლარი)	საშუალო თვიური მოხმარება ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე პენსიების გამოკლებით (ლარი)	2009 წელს პენსიის მიმღები შინამეურნეობების % დეცილში
1	(0.0-16.51)	3.2	95.2
2	(16.67-47.73)	34.7	78.9
3	(47.81-68.23)	58.0	65.3
4	(68.27-88.73)	78.5	53.2
5	(88.83-110.85)	99.7	50.5
6	(110.87-136.29)	122.6	42.8
7	(136.30-172.35)	153.3	43.7
8	(172.47-222.59)	195.4	39.9
9	(222.79-325.26)	263.6	38.2
10	(325.35-2804.82)	576.8	30.5
სულ	(0.00-2804.82)	158.5	53.8

თუ ჩვენ ზემომოყვანილ ანალიზს გავიმეორებთ მხოლოდ იმ შინამეურნეობებისათვის, რომლებშიც ერთი მაინც პენსიონერი ცხოვრობს (მინიმუმ ერთი 65 წლის ან მეტი ასაკის მამაკაცი, ან მინიმუმ ერთი 60 წლის ან მეტი ასაკის ქალი), ჩვენ დავინახავთ, რომ საშუალო მოხმარება თითოეულ “პენსიონერთა დეცილში” უფრო დაბალია, მაგრამ მაგრამ იმასაც დავინახავთ, რომ ამ შინამეურნეობების უმრავლესობა პენსიებს იღებს (ცხრილი 6.4).

**ცხრილი 6.4:** საპენსიო ასაკის წევრიან შინამეურნეობების პენსიებით შინამეურნეობების მოცვა (დეცილები მიღებულია ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე პენსიების გამოკლების შემდეგ დარჩენილი მოხმარების მიხედვით საპენსიო ასაკის წევრიანი შინამეურნეობის დალაგების შედეგად) (n=2387)

დეცილია	დიაპაზონი (ლარი)	საშუალო თვიური მოხმარება ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე პენსიების გამოკლებით (ლარი)	2009 წელს პენსიის მიმღები შინამეურნეობების % დეცილში
1	0.00-0.00	0.00	100.0
2	0.01-23.87	13.0	98.7
3	24.11-45.86	36.0	98.0
4	45.93-62.63	54.4	98.7
5	62.69-83.83	73.4	95.2
6	83.90-105.72	95.7	92.2
7	105.87-136.94	120.9	90.1
8	136.95-180.59	158.2	88.7
9	180.93-256.04	213.1	82.6
10	256.57-2244.32	413.3	88.9
სულ	0.00-224.32	117.5	93.3

ცხრილი 6.5 გვიჩვენებს, რომ მსდ-ს ღებულობს შინამეურნეობების თითქმის ორი მეხუთედი (41%) უღარიბეს დეცილში (მსდ-ს გამოკლებით ექვივალენტურ მოზრდილზე მოხმარების მიხედვით) და 20 პროცენტი შემდეგ დეცილში. იმ შინამეურნეობებიდან, რომელთა მოხმარება მსდ-ს გამოკლებით ექვივალენტურ მოზრდილზე 100 ლარს აღემატება, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იღებს მსდ-ს.

**ცხრილი 6.5:** შინამეურნეობების მიერ კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების მიღება (დეცილები მიღებულია ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების გამოკლების შემდეგ დარჩენილი მოხმარების მიხედვით ყველა შინამეურნეობის დალაგების შედეგად) (n=4646).

დეცილია	დიაპაზონი (ლარი)	საშუალო თვიური მოხმარება ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე მსდ-ს გამოკლებით (ლარი)	მსდ-ს მიმღები შინამეურნეობების % დეცილში
1	0.00-55.88	35.5	41.1
2	55.91-78.67	68.1	20.0

3	78.67-97.62	88.5	11.4
4	97.77-116.50	106.9	8.7
5	116.53-137.14	127.1	11.0
6	137.18-166.04	151.1	6.2
7	166.04-201.50	182.6	7.1
8	201.75-248.25	223.8	4.1
9	248.25-355.46	293.4	2.3
10	355.87-2804.82	599.0	2.9
Total	0.00-2804.82	187.6	11.5

კატეგორიებზე დაფუძნებულ ბენეფიტებს შინამეურნეობების 7 პროცენტი იღებს და ეს შინამეურნეობები უღარიბეს დეცილშია კონცენტრირებული. ამ დეცილში კატეგორიებზე დაფუძნებულ ბენეფიტებს შინამეურნეობების ერთი მეხუთედი იღებს (ცხრილი 6.6).

**ცხრილი 6.6:** შინამეურნეობების მიერ კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების მიღება (დეცილები მიღებულია ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების გამოკლების შემდეგ დარჩენილი მოსმარების მიხედვით ყველა შინამეურნეობის დალაგების შედეგად) (n=4646).

დეცილი <sup>ა</sup>	ღიაპაზონი (ლარი)	საშუალო თვიური მოსმარება ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების გამოკლებით (ლარი)	კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტის მიმღები შინამეურნეობების % დეცილში
1	0.00-60.44	39.7	20.8
2	60.49-81.46	71.2	7.6
3	81.50-98.40	89.8	7.8
4	98.42-116.93	107.7	4.5
5	116.94-137.38	127.5	6.2
6	137.40-165.22	150.7	5.7

7	165.28-201.75	182.8	4.4
8	201.80-245.93	223.4	5.2
9	246.02-349.88	291.2	6.9
10	350.74-2804.82	598.2	1.7
სულ	0.00-2804.82	188.1	7.1

### სოციალური ტრანსფერების გავლენა შინამეურნეობების სამომხმარებლო სიღარიბეზე

#### პენსიები

ბაშეების 45 პროცენტი ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომელშიც ერთი მაინც პენსიონერია (ცხრილი 6.1). ეს ასახავს შინამეურნეობების კომპლექსურ სტრუქტურას საქართველოში, სადაც ბევრ შინამეურნეობაში სამი თაობის წარმომადგენლები ცხოვრობენ. თუ შინამეურნეობის მოხმარების მაჩვენებელს, რომელიც გამოყენებული იქნა სიღარიბის დონის გასაანგარიშებლად, გამოვაკლებთ პენსიიდან მიღებულ შემოსავალს, სიღარიბის მაჩვენებლები მკვეთრად გაიზრდება (ცხრილი 6.7). პენსიონერების ერთი მეხუთედი (22.2%) ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომლებიც სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოყენებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან. რომ არ ასეობდეს პენსიები, ეს მაჩვენებელი ნახევარს გადააჭარბებდა (54.6%). გარდა ამისა, ბაშეების 9.2 პროცენტი იმის გამო არ ხვდება ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ, რომ მათი შინამეურნეობის წევრ(ებ)ი პენსიას იღებს.

ცხრილი 6.7: პენსიების ეფექტი შინამეურნეობების სიღარიბის დონეზე.

სიღარიბის ზღვარი	ღარიბი შინამეურნეობების % (n=4646)	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბაშეების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
უკიდურესი სიღარიბე (< 61.1 ლარზე)	8.9	9.9	11.5	7.3
პენსიების გარეშე	26.6	23.7	20.5	41.2
ოფიციალური სიღარიბე (< 89.7 ლარზე)	23.7	25.7	28.4	22.2
პენსიების გარეშე	40.4	39.1	37.6	54.6
ზოგადი სიღარიბე (< )	41.5	44.8	49.0	41.7

122.2 ლარზე )				
პენსიების გარეშე	55.1	55.2	56.0	67.2

*მისამართული სოციალური დახმარება*

პენსიებთან შედარებით, მისამართული სოციალური დახმარების (მსდ) ეფექტი სიღარიბის ეროვნულ მაჩვენებლებზე უფრო მცირეა, რადგან ამ ტიპის ტრანსფერს შინამეურნეობების 12 პროცენტზე ნაკლები იღებს. თუმცა, მისი მიმღები შინამეურნეობებისათვის მსდ-ს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს – იგი ბავშვთა უკიდურეს სიღარიბეს ერთი მესამედით ამცირებს. (ცხრილი 6.8).

**ცხრილი 6.8: მსდ-ს ეფექტი შინამეურნეობების სიღარიბის დონეზე**

სიღარიბის ზღვარი	ღარიბი შინამეურნეობების % (n=4646)	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
უკიდურესი სიღარიბე (< 61.1 ლარზე)	8.9	9.9	11.5	7.3
მსდ-ს გარეშე	12.4	13.6	16.4	10.9
ოფიციალური სიღარიბე (< 89.7 ლარზე)	23.7	25.7	28.4	22.2
მსდ-ს გარეშე	26.3	28.1	31.3	25.6
ზოგადი სიღარიბე (< 122.2 ლარზე)	41.5	44.8	49.0	41.7
მსდ-ს გარეშე	43.2	46.2	50.2	44.3

მსდ-ს ბენეფიციარების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია იმ შინამეურნეობებში, რომლებიც არ არიან მატერიალურად დეპრივირებულნი მეოთხე თავში გამოყენებული განსაზღვრების მიხედვით. მატერიალურად დეპრივირებული შინამეურნეობების 33 პროცენტი იღებს მსდ-ს, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი სხვა შინამეურნეობებისათვის 7.6 პროცენტია.

*კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტები*

მსდ, რომელიც შემოღებული იქნა 2006 წელს, დროთა განმავლობაში ჩაანაცვლებს კატეგორიებზე დაფუძნებულ ყველა ბენეფიტს (მსოფლიო ბანკი, 2009: გვ.108), მაგრამ მოსახლეობის კეთილდღეობის 2009 წლის კვლევა გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობების 7 პროცენტზე მეტი ჯერ კიდევ იღებს ამ

ბენეფიტებს. თუმცა მათი ეფექტი სიღარიბეზე უფრო მცირეა – კატეგორიული ბენეფიტები შინამეურნეობების სიღარიბის დონეს დაახლოებით 2 პროცენტით ამცირებს.

**ცხრილი 6.8: კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების ეფექტი შინამეურნეობის სიღარიბის დონეზე**

სიღარიბის ზღვარი	ღარიბი შინამეურნეობების % (n=4646)	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში	ბავშვების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში	პენსიონერების % რომლებიც ცხოვრობენ ამ შინამეურნეობებში
უკიდურესი სიღარიბე (< 61.1 ლარზე)	8.9	9.9	11.5	7.3
კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების გარეშე	10.3	11.3	13.1	8.6
ოფიციალური სიღარიბე (< 89.7 ლარზე)	23.7	25.7	28.4	22.2
კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების გარეშე	25.2	27.2	30.2	24.2
ზოგადი სიღარიბე (< 122.2 ლარზე)	41.5	44.8	40.9	41.7
კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების გარეშე	42.4	45.6	49.6	43.3

აღსანიშნავია, რომ კატეგორიებზე დაფუძნებულ ბენეფიტებს უფრო დიდი ეფექტი აქვთ მათ სამიზნე ჯგუფებზე, ვიდრე სიღარიბის ეროვნულ მაჩვენებლებზე. მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში შეზღუდული შესაძლებლობების პირიან შინამეურნეობად განიხილება შინამეურნეობა, რომლის ერთი წევრი მაინც ვერ მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ან რომელიც იღებს სოციალურ დახმარებას პირველი ჯგუფის ინვალიდობის ან უსინათლოობისათვის, ან იღებს სოციალურ დახმარებას მრავალშვილიანობის ან ინვალიდი ბავშვისათვის. თუ მხოლოდ ამ შინამეურნეობებით შემოვიფარგლებით, კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების გავლენა უფრო მაღალი იქნება. კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების მიღება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

პირიან შინამეურნეობებში ოფიციალური სიღარიბის დონეს 6 პროცენტით ამცირებს (ცხრილი 6.10).

**ცხრილი 6.10:** კატეგორიული ბენეფიტების ეფექტი იმ შინამეურნეობების სიღარიბის დონეებზე, რომლებსაც ჰყავთ ერთი მაინც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, იძულებით გადაადგილებული პირი ან ობოლი ბავშვი.

სიღარიბის ზღვარი	ღარიბი შინამეურნეობების % (მათ შორის, რომელშიც არის შეზღუდული შესაძლებლობის პირი) (n=173)	ღარიბი შინამეურნეობების % (მათ შორის, რომელშიც არის იძულებით გადაადგილებული პირი) (n=116)	ღარიბი შინამეურნეობების % (მათ შორის, რომელშიც არის ობოლი) (n=25)
უკიდურესი სიღარიბე (< 61.1 ლარზე)	13.4	8.0	11.0
კატეგორიულ დაფუძნებული ბენეფიტების გარეშე	17.3	24.0	45.3
ოფიციალური სიღარიბე (< 89.7 ლარზე)	32.2	21.3	29.5
კატეგორიულ დაფუძნებული ბენეფიტების გარეშე	38.6	39.7	51.2
ზოგადი სიღარიბე (< 122.2 ლარზე)	52.8	42.2	51.2
კატეგორიულ დაფუძნებული ბენეფიტების გარეშე	56.3	54.7	57.1

შინამეურნეობის კეთილდღეობის კვლევაში იძულებით გადაადგილებული პირების (იგპ) იდენტიფიცირება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იღებენ იგპ დახმარებას. ამ დახმარების ეფექტი სიღარიბის დონეზე, მაგალითად ოფიციალური სიღარიბის თითქმის ორჯერ შემცირება (ცხრილი 6.10), ალბათ გადაჭარბებულია, რადგან გაანგარიშებისას არ ხდება იმ შინამეურნეობების გათვალისწინება, რომლებშიც არიან იგპ-ები, მაგრამ არ იღებენ იგპ დახმარებას. სიტუაცია მსგავსია ობლებთან მიმართებაში. კვლევის ფარგლებში ობლების იდენტიფიცირებაც იმ შემთხვევაში ხდება, თუ ისინი ობოლთათვის განკუთვნილ სოციალურ დახმარებას იღებენ. ცხრილ 6.10-ში მითითებული რიცხვები სოციალური დახმარების მაღალ ეფექტზე მიუთითებენ, მაგრამ არ არის

გათვალისწინებული ის შინამეურნეობები ობლებით, რომლებიც არ ამ დახმარებას იღებენ.

*სოციალური ტრანსფერების ეფექტი სიღარიბის სიღრმეზე<sup>28</sup>*

სიღარიბის დონეზე ზემოქმედების გარდა, სოციალურ ტრანსფერებს შინამეურნეობების სიღარიბიდან ამისაყვანად საჭირო მოხმარების მოცულობაც შეუძლიათ შეამცირონ. ცხრილი 6.11 გვიჩვენებს პენსიების, მსდ-ს და კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების გავლენას სიღარიბის სიღრმეზე იმ შინამეურნეობებისათვის, რომლებიც ამ ბენეფიტებს იღებენ.

**ცხრილი 6.11: სოციალური ტრანსფერების გავლენა სიღარიბის სიღრმეზე**

სიღარიბის ზღვარი	შინამეურნეობები, რომლებიც იღებენ პენსიას		შინამეურნეობები, რომლებიც იღებენ მსდ-ს		შინამეურნეობები, რომლებიც იღებენ კატეგორიებზე დაფუძნებულ ბენეფიტებს	
	სიღარიბის სიღრმე	ეფექტი (პროცენტული ერთეული)	სიღარიბის სიღრმე	ეფექტი (პროცენტული ერთეული)	სიღარიბის სიღრმე	ეფექტი (პროცენტული ერთეული)
უკიდურესი სიღარიბე (< 61.1 ლარზე)	30.4	87.4 (n=195)	26.6	46.5 (n=83)	35.1	62.4 (n=34)
ტრანსფერის გარეშე	117.8		73.1		97.5	
ოფიციალური სიღარიბე (< 89.7 ლარზე)	27.1	61.4 (n=595)	27.8	37.7 (n=244)	33.8	38.4 (n=83)
ტრანსფერის გარეშე	88.5		59.8		72.2	
ზოგადი სიღარიბე (< 122.2 ლარზე)	32.4	46.8 (n=1055)	36.0	22.6 (n=379)	34.9	28.3 (n=152)
ტრანსფერის გარეშე	79.2		58.6		63.2	

<sup>28</sup> სიღარიბის სიღრმე არის სიღარიბის ზღვრის საშუალო პროცენტული წილი, რომლითაც უნდა გაიზარდოს მოხმარება, რათა ღარიბი შინამეურნეობები სიღარიბის ზღვარს ზემოთ აღმოჩნდნენ.

მაგალითად, უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებში პენსიები სიღარიბის საშუალო სიღრმეს 87.4 პროცენტული ერთეულით ამცირებს. მაგრამ პენსიებს იღებს იმ 414 შინამეურნეობის ნახევარზე ნაკლები, რომელიც ამ ჯგუფშია (ცხრილი 6.2). ეს პრობლემა უფრო მკაფიოა მსდ-სთან მიმართებაში. მსდ სიღარიბის სიღრმეს 46.5 პროცენტული ერთეულით ამცირებს იმ უკიდურესად ღარიბი შინამეურნეობებისათვის, რომლებიც ამ დახმარებას იღებენ; მაგრამ ეს შინამეურნეობები ყველა უკიდურესად ღარიბი შინამეურნეობის 20 პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ. ანალოგიურად, კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტები სიღარიბის სიღრმეს 62 პროცენტული ერთეულით ამცირებენ, მაგრამ მათ ღარიბი შინამეურნეობების მხოლოდ 7-8 პროცენტი იღებს.

## 7. სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა

1990-ანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლებამ მრავალჯერ სცადა საბჭოთა მეკვიდრეობით გადმოცემული სემაშეოს ჯანდაცვის მოდელის ჩანაცვლება ფართომასშტაბიანი ჯანდაცვის რეფორმა 2006 წელს დაიწყო. მიმდინარე რეფორმის ძირითადი მიმართულებებია კოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაცია, სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საავადმყოფოების და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სრულმასშტაბიანი პრივატიზაცია და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობისათვის უფასო ჯანმრთელობის დახვეწის შემოღება. ხელისუფლება მოელოდა, რომ ამ რეფორმების შედეგად ჯანდაცვის სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ოფიციალური მონაცემების მიხედვით მცირდება დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები და იზრდება სიცოხლის ხანგრძლივობა.<sup>29</sup>

ჯანმრთელობის ინდიკატორების გაუმჯობესების მიუხედავად, მოსახლეობის საგრძნობი ნაწილისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ბარიერები მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯები (მშპ-ს 1.5%) დაბალია, ხოლო კერძო ხარჯების წილი ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში (73%) ყველაზე მაღალია ევროპაში.<sup>30</sup> რისკების გადანაწილების ფორმების განუვითარებლობის გამო ჯიბიდან გადახდა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მთავარი წყაროა – მასზე მოდის მთლიანი კერძო ხარჯების 72 პროცენტი, რაც ასევე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპაში.<sup>31</sup> შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ სამედიცინო მომსახურების მოხმარება ძალიან დაბალია – ერთ სულ მოსახლეზე ორ ამბულატორიულ ვიზიტზე ნაკლები წელიწადში.<sup>32</sup>

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში მიმდინარე კრიზისის კონტექსტში განხილულია სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ხუთი ასპექტი: შინამეურნეობების სამედიცინო ხარჯების სტრუქტურა; ჯანდაცვაზე კატასტროფული ხარჯები; ჯანმრთელობის დახვეწის განაწილება; სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ბარიერები; ჯანდაცვაზე ხარჯების გამაღარიბებელი ეფექტები.

<sup>29</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო (2009)

*ჯანდაცვის ეროვნული მოხსენება*, [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)

<sup>30</sup> ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო (2009) *საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება*, გვ.33,

<sup>31</sup> მსოფლიო ბანკი (2009) *საქართველოში სიღარიბის შეფასება*, გვ. 109

<sup>32</sup> შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, ოქსფორდ პოლისი მენეჯმენტი და საერთაშორისო ფონდი კურაციო (2007) *საქართველოში ჯანდაცვის მომსახურების გამოყენების და დანახარჯების კვლევა*, გვ.62, <http://www.curatiofoundation.org/curatio/index.jsp?id=2&act=3&documentid=221>

## შინამეურნეობების წლიური სამედიცინო ხარჯების სტრუქტურა

შინამეურნეობის საშუალო წლიური სამედიცინო ხარჯები კვლევის წინა ერთი წლის განმავლობაში ოდნავ აღემატება 250 ლარს ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე, რაც მთლიანი ხარჯების 11 პროცენტს შეესაბამება. სამედიცინო ხარჯები მოიცავს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას (ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით), ექიმთან ვიზიტებს, სამედიცინო პროცედურებს, ქირურგიულ ოპერაციებს, საავადმყოფოს ხარჯებს, მშობიარობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ქალთა კონსულტაციებს, პროფილაქტიკურ შემოწმებებს, იმუნიზაციის ხარჯებს, ავადმყოფის მომვლელის ან ძიძის ანაზღაურებას, მედიკამენტების შეძენას, სამედიცინო დაზღვევის პრემიებს და სხვა არაფორმალურ ხარჯებს.

შინამეურნეობების მხოლოდ 12.3 პროცენტს არ ჰქონია არავითარი სამედიცინო ხარჯი. როგორც მეოთხე თავშია მითითებული, მედიკამენტების შეძენა და სამედიცინო მომსახურების საფასურის დაფარვა ძირითადი პრობლემას წარმოადგენდა შინამეურნეობების შესაბამისად 17.5 და 14.3 პროცენტისათვის (ცხრილი 4.15). პენსიონერების მეოთხედზე მეტი და ბავშვების თითქმის 10 პროცენტი ცხოვრობს შინამეურნეობებში, სადაც მედიკამენტების შეძენა შინამეურნეობის ძირითად პრობლემად დასახელდა. შინამეურნეობებში, სადაც სამედიცინო მომსახურების საფასურის დაფარვა ძირითად პრობლემას წარმოადგენს, პენსიონერთა ერთი მეხუთედი და ბავშვების ერთი მეათედი ცხოვრობს.

ცხრილ 7.1-ის მე-2 და მე-3 სვეტები გვიჩვენებს, რომ საშუალოდ სამედიცინო ხარჯების მთავარ კომპონენტს მედიკამენტების შეძენა წარმოადგენს, როგორც აბსოლუტურ გამოხატულებაში, ისე მთლიანი სამედიცინო ხარჯების პროცენტული მაჩვენებლის კუთხით. თუმცა ეს საშუალო მაჩვენებლები არ ასახავს სამედიცინო ხარჯების დიდ ცვალებადობას. მაგალითად, ცხრილის მე-4 სვეტი გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობების 82-მა პროცენტმა შეიძინა გასული მედიკამენტები ერთი წლის განმავლობაში და ამ მიზნით საშუალოდ 171 ლარი დახარჯა (მე-5 სვეტი). შინამეურნეობების დაახლოებით 6-მა პროცენტმა გასწია ხარჯი ქირურგიულ ოპერაციაზე, რისთვისაც მათ საშუალოდ 628 ლარი დახარჯეს. დარჩენილ 94 პროცენტს კი არავითარი ხარჯი არ ჰქონია ქირურგიულ ოპერაციაზე, შესაბამისად ამ კომპონენტზე ყველა შინამეურნეობის საშუალო ხარჯი გაცილებით უფრო დაბალი გამოდის (36 ლარი).

**ცხრილი 7.1: სამედიცინო მომსახურების გამოყენება და შინამეურნეობების წლიური სამედიცინო ხარჯების საშუალო სტრუქტურა გასული ერთი წლის განმავლობაში (n=4646).**

	საშუალო წლიური ხარჯები (ლარი ექვივალენტურ მონეტაზე)	მთლიანი სამედიცინო ხარჯების საშუალო %	შინამეურნეობათა %, რომელთაც გამოიყენეს ამ სახის სამედიცინო მომსახურება	მომსახურების მომხმარებლების მიერ გაწეული საშუალო ხარჯები
მედიკამენტების შეძენა	140.93	63.99	82.3	171.3
ქირურგიული ოპერაცია	36.56	3.39	5.8	628.1
ექიმთან ვიზიტი	29.11	8.99	29.8	97.7
ჰოსპიტალური მომსახურება	13.25	1.52	4.2	314.0
პროფილაქტიკური შემოწმება	7.92	2.51	10.8	73.6
მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები	7.56	2.23	4.0	189.0
გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	6.14	1.96	5.9	105.0
ჯანმრთელობის დაზღვევის პრემიუმები	3.70	1.04	2.7	136.2
ქალთა კონსულტაციები	2.80	1.10	4.6	61.3
სხვა ხარჯები	2.12	0.72	2.3	94.9
იმუნიზაცია	0.18	0.16	1.2	15.4
ავადმყოფის მომვლელის ძიძის ანაზღაურება	0.38	0.08	0.3	138.0
სულ	250.72			

ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე სამედიცინო ხარჯები ქალაქად გაცილებით მაღალია (285 ლარი), ვიდრე სოფლად (215 ლარი). ეს განსხვავება განსაკუთრებით მკაფიოა ქალთა კონსულტაციების, იმუნიზაციის და მშობიარობასთან დაკავშირებულ ხარჯების შემთხვევაში, მაგრამ ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობები ასევე უფრო მეტს ხარჯავენ ჯანმრთელობის დაზღვევაზე, მედიკამენტებზე და ექიმებთან ვიზიტებზე (ცხრილი 7.2).

**ცხრილი 7.2: ჯანდაცვაზე საშუალო წლიური ხარჯების სტრუქტურა (ლარი ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე) ქალაქად და სოფლად (n=4646).**

	საშუალო წლიური ხარჯები (ლარი ექვივალენტურ მოზრდილზე)		
	ქალაქად	სოფლად	მნიშვნელობის დონე
მედიკამენტების შეძენა	153.60	127.84	**
ქირურგიული ოპერაცია	43.89	29.00	არამნიშვნელოვანია
ექიმთან ვიზიტი	27.99	30.27	არამნიშვნელოვანია
პოსპიტალური მომსახურება	19.12	7.92	**
პროფილაქტიკური შემოწმება	8.67	7.12	არამნიშვნელოვანია
მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები	11.00	4.01	***
გადაუღებელი სამედიცინო დახმარება	6.84	5.42	არამნიშვნელოვანია
ჯანმრთელობის დაზღვევის პრემიუმები	6.18	1.13	***
ქალთა კონსულტაციები	4.31	1.23	***
სხვა ხარჯები	2.40	1.95	არამნიშვნელოვანია
იმუნიზაცია	0.32	0.04	***
ავადმყოფის მომვლელის ან ძიძის ანაზღაურება	0.65	0.11	*
<b>სულ</b>	<b>284.96</b>	<b>215.34</b>	<b>***</b>

ჯანდაცვის მომსახურებების უმეტეს კომპონენტებზე ხარჯები უფრო მაღალია თბილისში, ვიდრე სხვა რეგიონებში, მაგრამ არის გამონაკლისებიც.

შინამეურნეობის ხარჯები ქირურგიულ ოპერაციებზე ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გაცილებით უფრო მაღალია იმერეთსა და რაჭაში, ვიდრე ნებისმიერ სხვა რეგიონში, ხოლო ექიმთან ვიზიტზე გაწეული ხარჯები განსაკუთრებით მაღალია მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოსა და შიდა ქართლში. ხარჯები გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე ყველაზე მაღალია სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში და მცხეთა-მთიანეთში (ცხრილი 7.3). კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი არ არის იმის განსაზღვრა, გარკვეულ რეგიონებში უფრო მაღალი ხარჯები გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე, ოპერაციებსა და ექიმთან ვიზიტებზე ამ რეგიონებში მომსახურების უფრო მაღალ ღირებულებას უკავშირდება თუ ამ მომსახურებების გამოყენების უფრო ხშირ საჭიროებას.

**მთლიანი მოხმარების მიხედვით შინამეურნეობათა უმდიდრესი მეხუთედი ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით სამედიცინო მომსახურებაზე თითქმის ათჯერ მეტს ხარჯავს, ვიდრე უღარიბესი მეხუთედი.** ჯანდაცვის ყოველ კომპონენტზე ხარჯები იზრდება კვინტილის ნომრის ზრდასთან ერთად (ცხრილი 7.4).

**ცხრილი 7.3: ჯანდაცვაზე საშუალო წლიური ხარჯების სტრუქტურა (ლარი ექვივალენტურ მოზრდილზე) რეგიონების მიხედვით (n=4646)**

	საშუალო წლიური დანახარჯი (ლარი ექვივალენტურ ზრდასრულზე)										
	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი, რაჭა	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	სამეგრელო	შიდა ქართლი	სუბკარფი
მედიკამენტების შეძენა	162.03	150.30	138.62	142.29	145.49	138.73	77.04	106.64	146.84	145.12	144.84
ქირურგიული ოპერაცია	32.39	7.22	30.02	76.65	34.95	44.07	16.20	32.17	24.48	26.97	36.20
ექიმთან ვიზიტი	33.84	11.20	22.86	22.94	25.10	52.80	25.29	38.31	35.27	38.49	29.10
ჰოსპიტალური მომსახურება	25.97	0.99	0.68	11.71	8.52	15.22	1.35	3.02	14.93	15.47	13.20
პროფილაქტიკური შემოწმება	11.14	0.76	4.30	10.55	7.54	3.75	0.58	3.20	9.93	10.52	7.90
მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები	14.67	4.10	4.32	3.19	5.43	6.25	9.76	2.60	4.78	5.35	7.50
გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	8.82	13.27	6.75	3.57	7.68	9.48	1.75	14.12	0.71	0.47	6.10
ჯანმრთელობის დაზღვევის პრემიუმები	11.21	0.59	0.39	0.13	1.51	2.41	0.17	0.36	3.04	1.51	3.70
ქალთა კონსულტაციები	6.53	1.83	2.08	1.31	1.67	2.54	1.69	0.65	0.38	2.17	2.80
სხვა ხარჯები	3.05	0.64	0.60	0.41	8.69	3.30	0.00	5.28	0.00	0.48	2.10
იმუნიზაცია	0.56	0.00	0.00	0.05	0.05	0.07	0.11	0.00	0.00	0.10	0.10
ავადმყოფის მომვლელის ან ძიძის ანაზღაურება	1.01	0.00	0.00	0.00	0.70	0.00	0.21	0.00	0.28	0.00	0.30
<b>სულ</b>	<b>311.21</b>	<b>190.90</b>	<b>210.60</b>	<b>272.80</b>	<b>247.31</b>	<b>278.63</b>	<b>134.16</b>	<b>206.35</b>	<b>240.63</b>	<b>246.67</b>	<b>250.80</b>

**ცხრილი 7.4: ჯანდაცვაზე საშუალო წლიური ხარჯების სტრუქტურა (ლარი ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე) მოხმარების კენტილებს მიხედვით (1 ყველაზე დაბალია) (n=4646)**

	საშუალო წლიური დანახარჯი (ლარი ერთ ექვივალენტურ ზრდასრულზე)					სულ
	1	2	3	4	5	
მედიკამენტების შექენა	48.11	79.79	122.45	171.22	283.19	140.93
ქირურგიული ოპერაცია	2.39	5.29	14.79	33.87	126.56	36.57
ექიმთან ვიზიტი	6.80	10.73	23.38	39.29	65.39	29.11
ჰოსპიტალური მომსახურება	1.08	2.46	4.52	17.71	40.53	13.25
პროფილაქტიკური შემოწმება	1.31	3.04	4.76	8.25	22.25	7.92
მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები	1.12	6.54	7.75	8.39	14.00	7.56
გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	2.81	4.78	5.60	5.62	11.90	6.14
ჯანმრთელობის დაზღვევის პრემიუმები	0.24	0.55	1.51	3.27	12.92	3.70
ქალთა კონსულტაციები	0.62	1.38	2.02	2.50	7.47	2.80
სხვა დანახარჯი	0.65	0.44	1.48	0.85	7.47	2.18
იმუნიზაცია	0.04	0.02	0.36	0.08	0.41	0.18
ავადმყოფის მომვლელის ან ძიძის ანაზღაურება	0.00	0.00	0.00	1.14	0.79	0.38
<b>სულ</b>	<b>65.17</b>	<b>115.03</b>	<b>188.61</b>	<b>292.18</b>	<b>592.89</b>	<b>250.72</b>

**კატასტროფული სამედიცინო ხარჯები**

ზოგიერთი შინამეურნეობისათვის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების საფასურის ჯიბიდან გადახდა შესაძლოა კატასტროფული იყოს. შინამეურნეობების 54 პროცენტისათვის ჯიბიდან გადახდილი სამედიცინო ხარჯები მთლიანი ხარჯების 10 პროცენტს, ხოლო შინამეურნეობების 31 პროცენტისათვის არასასურსათო ხარჯების 25 პროცენტს აღემატება.

**ჯანმრთელობის დაზღვევა**

საქართველოში სამედიცინო მომსახურებისათვის ჯიბიდან გადახდის ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იმიტომ არის, რომ უფასო სახელმწიფო სამედიცინო მომსახურება მოსახლეობის მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას მოიცავს, ხოლო სადაზღვევო ბაზარი განუვითარებელია. საქართველოს მოსახლეობის ერთ მეოთხედზე

ნაკლებს აქვს რაიმე სახის სამედიცინო დაზღვევა და ეს მაჩვენებელი ქალაქად ერთ მესუთედამდე ეცემა. ქალაქად უფრო მეტ ხალხს აქვს სამსახურთან დაკავშირებული სამედიცინო დაზღვევა, ხოლო სოფლად შინამეურნეობების უფრო მაღალი პროცენტია დაზღვეული უფასო ან იაფი დაზღვევით (ცხრილი 7.5).

**ცხრილი 7.5: ინდივიდების მოცვა სამედიცინო დაზღვევის სხვადასხვა ტიპებით ადგილმდებარეობის მიხედვით (n= 16,932)**

სამედიცინო დაზღვევის ტიპი	%		
	ქალაქი	სოფელი	სულ
არცერთი	80.5	72.6	76.6
მოწვევლადი ოჯახების დაზღვევა	7.1	18.5	12.8
იაფი (5 ლარიანი) დაზღვევის პროგრამა	4.1	6.8	5.4
დამქირავებლის მიერ დაფინანსებული კორპორატიული დაზღვევა	3.2	1.4	2.3
დაზღვევა საკუთარი სახსრებით	2.5	0.4	1.4
თვით-დაფინანსებული დაზღვევა სამუშაოზე	1.1	0.3	0.7
სხვა	1.4	0.2	0.8

უფასო სამედიცინო დაზღვევა, რომელიც მოწვევლადი შინამეურნეობებისათვისაა განკუთვნილი, შინამეურნეობების უღარიბეს კვინტილშია კონცენტრირებული, მაგრამ ამ შინამეურნეობებში მცხოვრებ ადამიანებს შორისაც კი დაზღვევით მხოლოდ ერთ მესუთედზე ოდნავ მეტი (21.3%) არის მოცული (ცხრილი 7.6).

**ცხრილი 7.6: სხვადასხვა სახის სამედიცინო დაზღვევით მოცვა (N=16 932) ექვივალენტურ ზრდასრულზე მოხმარების კვინტილების მიხედვით**

სამედიცინო დაზღვევის ტიპი	ინდივიდების % შინამეურნეობის მოხმარების კვინტილების მიხედვით					სულ
	1	2	3	4	5	
არცერთი	70.8	74.0	79.2	81.1	79.0	76.6
მოწვევლადი ოჯახების დაზღვევა	21.3	17.2	11.6	7.7	3.5	12.8
იაფი (5 ლარიანი) დაზღვევის პროგრამა	6.5	6.6	5.6	4.1	3.9	5.4
დამქირავებლის მიერ დაფინანსებული კორპორატიული დაზღვევა	0.6	1.0	1.4	3.8	5.3	2.3

დაზღვევა საკუთარი სახსრებით	0.3	0.7	1.3	1.8	3.5	1.4
თვით-დაფინანსებული დაზღვევა სამუშაოზე	0.4	0.3	0.7	0.9	1.3	0.7
სხვა	0.1	0.2	0.2	0.6	3.5	0.8

უფასო სამედიცინო დაზღვევით მოცული მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი (36.2%) შინამეურნეობების უღარიბეს (ექვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით). კვინტილში ცხოვრობს თითქმის ხუთი პროცენტი ცხოვრობს ყველაზე მდიდარ კვინტილში (ცხრილი 7.7)

**ცხრილი 7.7: უფასო სამედიცინო დაზღვევის მიმღებთა განაწილება ექვივალენტურ მოზრდილზე მოსხმარების კვინტილების მიხედვით**

კვინტილი	უფასო სამედიცინო დაზღვევის ყველა მიმღების %
1	36.2
2	28.9
3	18.9
4	11.2
5	4.8
სულ (n=2160)	100.0

ანალოგიურად, ცხრილი 7.8 გვიჩვენებს, რომ უფასო დაზღვევის მიმღებები კონცენტრირებული არიან ექვივალენტურ ზრდასრულზე მოსხმარების მიხედვით ყველაზე დაბალ დეცილებში.

**ცხრილი 7.8: უფასო სამედიცინო დაზღვევის მიმღებთა განაწილება ექვივალენტურ მოზრდილზე მოსხმარების დეცილების მიხედვით**

დეცილი	უფასო სამედიცინო დაზღვევის ყველა მიმღების %
1	17.6
2	18.7
3	14.1
4	14.8
5	11.8
6	7.0

7	6.5
8	4.7
9	2.5
10	2.4
სულ (n= 2159)	100.0

**ფინანსური ბარიერები სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე**

2008-2009 წლებში შინამეურნეობების თითქმის 60 პროცენტში ერთ ადამიანს მაინც დასჭირდა სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები, რომლის საფასურის გადახდაც შინამეურნეობამ ვერ შეძლო. საჭიროების ორივე ტიპისათვის იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთაც ფინანსების გამო ვერ შეძლეს მისი დაკმაყოფილება, სოფლად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად (ცხრილი 7.9).

**ცხრილი 7.9: ფინანსური ბარიერები სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ქალაქად და სოფლად**

შინამეურნეობების %, რომელთაც დასჭირდა სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები, მაგრამ ეს მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი იყო				
	სამედიცინო მომსახურება	მედიკამენტები	სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები	n
ქალაქად	44.8	42.0	48.6	2361
სოფლად	52.6	54.3	48.0	2285
სულ	48.6	48.0	59.1	4646

რეგიონები, სადაც სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ფინანსურ ბარიერებს შინამეურნეობების ყველაზე მაღალი პროცენტული წილი განიცდის, არის შიდა ქართლი და გურია. გასულ წელს ქვემო ქართლში შინამეურნეობების თითქმის სამ მეოთხედს დასჭირდა გარკვეული სახის სამედიცინო მომსახურება ან/და მედიკამენტები, რისი შეძენაც მათ ვერ შეძლეს (ცხრილი 7.10).

**ცხრილი 7.10: ფინანსური ბარიერები სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე რეგიონების მიხედვით**

	შინამეურნეობების %, რომელთაც დასჭირდათ სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები, მაგრამ ეს მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი იყო			
	სამედიცინო მომსახურება	მედიკამენტები	სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები	n
თბილისი	49.6	45.2	58.1	1227
აჭარა	37.1	47.3	53.4	353
გურია	58.9	60.9	67.5	151
იმერეთი, რაჭა	51.1	47.0	58.5	880
კახეთი	36.0	39.1	52.1	470
მცხეთა-მთიანეთი	41.4	39.7	50.9	116
ქვემო ქართლი	62.6	65.1	74.7	455
სამცხე-ჯავახეთი	36.5	37.9	48.5	203
სამეგრელო	49.1	52.5	60.7	464
შიდა ქართლი	54.4	47.7	62.1	327
<b>სულ</b>	<b>48.6</b>	<b>48.0</b>	<b>59.1</b>	<b>4646</b>

სავსებით ბუნებრივია, რომ დაბალი მოხმარების მქონე შინამეურნეობებს შორის უფრო მაღალია მათი პროცენტული წილი, რომლებიც სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ფინანსურ ბარიერებს განიცდის. გასული ერთი წლის განმავლობაში ყველაზე ღარიბ კვინტილში შინამეურნეობების თითქმის სამმა მეხუთედმა ვერ შეიძინა გარკვეული სახის სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები ფინანსური ბარიერების გამო (ცხრილი 7.11)

**7.11: ფინანსური ბარიერები სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ექვივალენტურ ზრდასრულზე მოხმარების კინტილების მიხედვით.**

	n	შინამეურნეობების %, რომელთაც დასჭირდათ სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები, მაგრამ ეს მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი იყო			
		სამედიცინო მომსახურება	მედიკამენტები	სამედიცინო მომსახურება	მედიკამენტები
კვინტილი (უღარიბესი)	1	64.1	67.9	76.3	930
2		57.7	61.5	72.7	929
3		50.3	47.9	60.3	929
4		44.1	38.3	52.9	929
5		27.0	24.5	33.3	929
<b>სულ</b>		<b>48.6</b>	<b>48.0</b>	<b>59.1</b>	<b>4646</b>

**ჩანართი 7.1 ჯანდაცვაზე ხარჯების მაჩვენებლები**

შინამეურნეობის ხარჯები ჯანდაცვაზე ითვლება კატასტროფულად, თუ:

1. ისინი შეადგენს შინამეურნეობის მთლიანი მოხმარების 10 პროცენტზე მეტს.
2. ისინი შეადგენს შინამეურნეობის არასასურსათო მოხმარების 25 პროცენტზე მეტს.

ჯანდაცვაზე ხარჯების გამაღარიბებელი ეფექტი ფასდება შემდეგი მაჩვენებლებით:

3. სიღარიბის დონის შემცირება, რომელიც მოხდებოდა, თუ შინამეურნეობებს სრულად აუნაზღაურებდნენ ჯანდაცვაზე მათ მიერ გაწეულ ხარჯებს.
4. სიღარიბის მაჩვენებლის მატება, რომელიც მოხდებოდა, თუ სიღარიბეს გაინგარიშებდნენ შინამეურნეობის მთლიანი ხარჯებიდან ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

## სამედიცინო მომსახურებისათვის ჯიბიდან გადახდების გამაღარიბებელი ეფექტი

ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდილი ხარჯების გამაღარიბებელი ეფექტი შეიძლება თვალსაჩინოდ დაეინახოს, თუ გამოვთვლით იმ შინამეურნეობების პროცენტულ წილს, რომლებიც სამომხმარებლო სიღარიბის სხვადასხვა ზღვრებს მიღმა აღმოჩნდებოდნენ იმ შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება უფასო რომ იყოს. თითოეული შინამეურნეობის სრული ხარჯებისათვის ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების მიმატება ახდენს უფასო სამედიცინო მომსახურების ეფექტის სიმუღირებას შინამეურნეობებისათვის ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების კომპენსირებით გზით.

ამ სცენარის მიხედვით სიღარიბეში მცხოვრები შინამეურნეობების რაოდენობა შემცირდება. ცხრილი 7.12 გვიჩვენებს, რომ თუ შინამეურნეობების ბიუჯეტებს დავამატებთ ჯანდაცვაზე მათ მიერ გაწეულ ხარჯებს, უკიდურესი სიღარიბე 1.3 პროცენტული ერთეულით, ოფიციალური სიღარიბე 3.6 პროცენტული ერთეულით, ხოლო ზოგადი სიღარიბე 5 პროცენტული ერთეულით შემცირდება. სიღარიბის დონის ასეთი შემცირება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს კეთილდღეობის ზრდად, თუ მიღებული სამედიცინო მომსახურების მოცულობა არ მცირდება.

**ცხრილი 7.12: უფასო სამედიცინო მომსახურების ეფექტი სიღარიბის დონეებზე**

სიღარიბის ზღვარი	შინამეურნეობების % (n=4646)	მთელი მოსახლეობის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში (n=16972)	ყველა ბავშვის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში (n=3240)	ყველა პენსიონერის % რომელიც ცხოვრობს ამ შინამეურნეობებში (n=3185)
უკიდურესი სიღარიბე (< 61.1 ლარზე)	8.9	9.9	11.5	7.3
ჯანდაცვაზე ხარჯების გარეშე	7.6	8.6	10.3	6.3
ოფიციალური სიღარიბე (< 89.7 ლარზე)	23.7	25.7	28.4	22.2
ჯანდაცვაზე ხარჯების გარეშე	20.1	22.1	24.7	18.0
ზოგადი სიღარიბე (< 122.2 ლარი)	41.5	44.8	49.0	41.7
ჯანდაცვაზე ხარჯების გარეშე	36.5	39.3	42.9	36.0

სიღარიბის დონე სოფლად უფრო მეტი პროცენტული ერთეულით იკლებს, ვიდრე ქალაქად, განსაკუთრებით სიღარიბის უფრო მაღალ ზღვრების მიმართ (ცხრილი 7.13).

**ცხრილი 7.13: შინამეურნეობების სიღარიბის დონეების კლება ჯანდაცვაზე ხარჯების კომპენსირების შემთხვევაში**

	შინამეურნეობების სიღარიბის დონის კლება პროცენტულ ერთეულებში		
	ქალაქი	სოფელი	სულ
უკიდურესი სიღარიბე (61.1 ლარი)	1.2	1.4	1.3
ოფიციალური სიღარიბე (89.7 ლარი)	2.7	4.6	3.6
ზოგადი სიღარიბე (122.2 ლარი)	3.9	6.0	5.0

ალტერნატიული მიდგომა, რომელიც გამოიყენა მსოფლიო ბანკმა 2008 წელს ჩატარებულ კვლევაში, მდგომარეობს იმაში, რომ დავაკვირდეთ სიღარიბის დონეების ცვლილებას შინამეურნეობების მთლიანი ხარჯებიდან ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გამოკლების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში შინამეურნეობების მთლიანი მოხმარების მაჩვენებელი მცირდება, შესაბამისად იზრდება სიღარიბის დონეები (ცხრილი 7.14).

**ცხრილი 7.14: სიღარიბის დონეების ზრდა შინამეურნეობების მთლიანი მოხმარებიდან ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გამოკლების შემთხვევაში**

	ღარიბი შინამეურნეობების %		
	ჯანდაცვაზე ხარჯების გამოკლებამდე	ჯანდაცვაზე ხარჯების გამოკლების შემდეგ	ზრდა პროცენტულ ერთეულებში
უკიდურესი სიღარიბე (61.1 ლარი)	8.9	12.6	3.7
ოფიციალური სიღარიბე (89.7 ლარი)	23.7	30.4	6.7
ზოგადი სიღარიბე (122.2 ლარი)	41.5	49.9	8.4

## 8. კრიზისთან გამკლავების შინამეურნეობების უფლები სტრატეგიები

მოსახლეობის კეთილდღეობის 2009 წლის კვლევა ითვალისწინებდა საქართველოს შინამეურნეობების ფინანსური პრობლემების იდენტიფიცირებას. კვლევის ფარგლებში მიღებულ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ შინამეურნეობები საკუთარ მდგომარეობას და როგორ შეიცვალა მათი მდგომარეობა გასული ერთი წლის განმავლობაში. იმ შინამეურნეობებს, რომელთაც განაცხადეს, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, დაესვათ დამატებითი კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ გაუმკლავდნენ ამ პრობლემებს და მათი აზრით როგორ შეიცვლებოდა მათი მდგომარეობა მომავალში.

მეოთხე თავში ჩვენ ვნახეთ, რომ 4808 შინამეურნეობიდან 4624-მა (96%-მა) დაასახელა თავისი ძირითადი პრობლემა (ცხრილი 4.15). ეს პრობლემები მოიცავდა შემდეგს:

- უმუშევრობა
- მედიკამენტების შექენა
- სამედიცინო მომსახურების მიღება
- კომუნალური პირობები
- შიმშილი ან არასაკმარისი კვება
- საბანკო კრედიტის ან ვალის გადახდა
- კომუნალური გადასახადების გადახდა
- დასვენება და გართობა
- ტანსაცმლის შექენა
- ავეჯის შექენა
- სასკოლო ნივთების შექენა

4624 შინამეურნეობიდან, რომელთაც განაცხადეს, რომ გასული ერთი წლის განმავლობაში პრობლემები ჰქონდათ, თითქმის ნახევარს (49.3%) ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. ცხრილი 8.1 გვიჩვენებს, რომ ეს მაჩვენებელი ოდნავ უფრო მაღალია ქალაქად (51.3%), ვიდრე სოფლად (47.1%).

**ცხრილი 8.1: რესპონდენტების შეხედულება მათი შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შესახებ ქალაქად და სოფლად**

ცვლილება წინა წელთან შედარებით	ქალაქის შინამეურნეობების %	სოფლის შინამეურნეობების %	შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის %
მნიშვნელოვნად გაუარესდა	16.7	21.2	19.0
გაუარესდა	34.6	25.9	30.3
პრაქტიკულად არ შეცვლილა	43.3	48.8	46.0
გაუმჯობესდა	2.3	1.9	2.1
მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა	0.1	0.0	0.1
არ ვიცი	2.7	2.1	2.4
უარი პასუხზე	0.1	0.1	0.1
შინამეურნეობების რაოდენობა (n)	2317	2307	4624

4507 შინამეურნეობიდან, რომლებმაც უპასუხეს შეკითხვას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შესახებ, 4350-მა ასევე უპასუხა კითხვებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდა ექვივალენტურ მოზრდილზე შინამეურნეობის მთლიანი მოხმარების აგრეგატული მაჩვენებლის გაანგარიშება.<sup>33</sup> სრულად შევსებული კითხვარებისათვის განკუთნილი წონების გამოყენებით (იხილეთ მეთოდოლოგია მეორე თავში) ამ კატეგორიაში მოხდა 4358 შინამეურნეობა. ეს შინამეურნეობები დალაგებულ იქნა ექვივალენტურ მოზრდილზე მათი მოხმარების მიხედვით და დაყოფილ იქნა ოცპროცენტიან ჯგუფებად (კვინტილებად).

მოხმარების მიხედვით უღარიბეს კვინტილში ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება ორჯერ უფრო ხშირად დაფიქსირდა (28%), ვიდრე უმდიდრეს კვინტილში (15%) (ცხრილი 8.2).

**ცხრილი 8.2: რესპონდენტების შეხედულება მათი შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შესახებ ექვივალენტურ მოზრდილზე მომხმარების კვინტილების მიხედვით (პირველი კვინტილი ყველაზე ღარიბია).**

ცვლილება წინა წელთან მიმართებაში	კვინტილის %				
	1	2	3	4	5
მნიშვნელოვნად გაუარესდა	27.9	19.9	18.7	19.2	14.5
გაუარესდა	28.1	30.3	31.3	32.4	33.1

<sup>33</sup> ექვივალენტურ მოზრდილზე მოხმარება განმარტებულია მეორე თავში - მეთოდოლოგია

პრაქტიკულად არ შეცვლილა	42.2	48.7	47.7	46.0	49.0
გაუმჯობესდა	1.7	1.0	2.3	2.3	3.4
მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა	0.1	0.1	0.1	0.0	0.0
შინამეურნეობების რაოდენობა (n=4360 <sup>ა</sup> )	872	871	873	873	871

<sup>ა</sup> უჯრებში რაოდენობების დამრგვალების გამო გამოყენებული შემთხვევების რაოდენობა განსხვავდება კროს-ტაბულაციის ცხრილში მოყვანილი მთლიანი რაოდენობისაგან.

*ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზები*

შინამეურნეობებში, რომლებშიც ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, ან მნიშვნელოვნად გაუარესდა ბოლო 12 თვის განმავლობაში, რესპონდენტებს სთხოვეს დაესახელებინათ მაქსიმუმ სამი ძირითადი მიზეზი. თუმცა ზოგიერთმა რესპონდენტმა უფრო მეტი მიზეზი დაასახელა. შესაბამისად 2185 შინამეურნეობამ 3646 მიზეზი დაასახელა.

**შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზად ყველაზე ხშირად დასახელდა ვალების გადახდის საჭიროება.** ეს მოიცავს საბანკო კრედიტებს, ლომბარდის და ინდივიდუალური გამსესხებლების ვალებს. ვალების გადახდა ყველა დასახელებული მიზეზის 38 პროცენტს შეადგენს და შინამეურნეობების თითქმის ორ მესამედში დასახელდა. სხვა ხშირად დასახელებული მიზეზებს შორის არის შინამეურნეობის წევრის სერიოზული ავადმყოფობა, სამუშაოს დაკარგვა და შემოსავლების შემცირება (მიზეზის მიუთითებლად). სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირების ქვეშ მოიაზრება საკუთარი მოხმარებისათვის ან გასაყიდად წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რაოდენობის შემცირება როგორც ზოგადი მიზეზების, ისე პირუტყვის ან მოსავლის დაკარგვა/დაღუპვის გამო (ცხრილი 8.3).

**ცხრილი 8.3: შინამეურნეობების წევრების მიერ დასახელებული გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზები (ნაჩვენებია მიზეზის დასახელების პროცენტული წილი დასახელებათა მთლიან რაოდენობაში და იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებშიც ეს მიზეზი დასახელდა).**

	პასუხები		შინამეურნეობების %
	n	%	(n=2185)
ვალების გასტუმრება	1396	38.3	63.9
სერიოზული ავადმყოფობა	638	17.5	29.2
შინამეურნეობის შემოსავლის შემცირება	501	13.8	22.9
სამუშაო(ებ)ის დაკარგვა	430	11.8	19.7
სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება	226	6.2	10.3

საზღვარგარეთიდან გზავნილების შემცირება	199	5.5	9.1
მარჩენალის დაკარგვა	157	4.3	7.2
ფასების ზრდა	51	1.4	2.3
ბავშვების განათლების ხარჯები	28	0.8	1.3
ოჯახის წევრ(ებ)ის დაკარგვა	10	0.3	0.4
დანაზოგების ამოწურვა	8	0.2	0.3
საცხოვრებლის დანგრევა	2	0.0	0.1
ოჯახის ზომის ზრდა	2	0.0	0.1
<b>სულ</b>	<b>3646</b>	<b>100.0</b>	<b>166.8</b>

*დამატებითი სახსრების წყაროები*

შინამეურნეობებს დაესვათ კითხვა იმის შესახებ, თუ დამატებით რა სახსრები იყო მათთვის ხელმისაწვდომი მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების დროს. ეს ნაჩვენებია 8.4 ცხრილში, რომელშიც გამუქებული უჯრები ასახავენ სახსრებს, რომლებიც არ იყო შეტანილი კითხვარში, მაგრამ დასახელდა რესპონდენტების მიერ.

შინამეურნეობების უმეტესობას (62%), რომელთაც გაუუარესდათ ეკონომიკური მდგომარეობა, არ ჰქონდათ არავითარი დამატებითი სახსრები. ერთმა მეხუთედმა მიიღო დახმარება ნათესავებისგან ან მეგობრებისგან, ხოლო დანარჩენებმა სხვადასხვა წყაროებიდან ფული ისესხეს (ცხრილი 8.4).

**ცხრილი 8.4: გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობების წევრების მიერ დასახელებული დამატებითი სახსრების წყაროები**

	პასუხები		შინამეურნეობების% (N=2093)
	#	%	
არ ჰქონდა არავითარი დამატებითი სახსრები	1300	56.5	62.1
დახმარება ნათესავისგან ან მეგობრისგან	426	18.5	20.3
სესხის აგება ბანკიდან ან სხვა ფინანსური დაწესებულებიდან	107	4.7	5.1
მისამართული სოციალური დახმარება	103	4.5	4.9
სესხის აღება ნათესავისგან ან მეგობრისგან	96	4.2	4.6
დანაზოგების დახარჯვა	94	4.1	4.5

ქონების გაყიდვა (მიწა, სახლი, პირუტყვი, მანქანა, ა.შ.)	54	2.3	2.6
დახმარება არა-ნათესავისაგან ან არა-მეგობრისგან	41	1.8	1.9
სესხის აღება არა-ნათესავისაგან ან არა-მეგობრისგან	19	0.8	0.9
სხვა სოციალური დახმარება	25	1.1	1.2
დახმარება არასამთავრობო ორგანიზაციისგან (საქველმოქმედო ორგანიზაციისგან)	16	0.7	0.7
დახმარება მუნიციპალიტეტიდან	8	0.3	0.4
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის პენსია	3	0.1	0.2
დახმარება რელიგიური ორგანიზაციებიდან	3	0.1	0.1
ქსოვა	3	0.1	0.1
ფიქსირებული პენსია	3	0.1	0.1
გაქირავება	1	0.0	0.0
იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება	1	0.0	0.0
<b>სულ</b>	<b>2300</b>	<b>100.0</b>	<b>109.9</b>

დახმარება ნათესავებისგან, მეგობრებისგან ან სხვა ადამიანებისგან უფრო ხშირად გვხვდება ქალაქად, ვიდრე სოფლად. ანალოგიური მდგომარეობაა სესხის აღებასთან დაკავშირებითაც. სოფლის შინამეურნეობები უფრო ხშირად იყვნენ დამოკიდებული სოციალურ დახმარებაზე ან არ ჰქონდათ არავითარი დამატებითი სახსრები (ცხრილი 8.5).

**ცხრილი 8.5: გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობების წევრების მიერ დასახელებული დამატებითი სახსრების წყაროები, ქალაქად და სოფლად**

	ქალაქის შინამეურნეობების %	სოფლის შინამეურნეობების %
არაფულადი დახმარება	26.4	17.0
სესხება ან დანაზოგების ხარჯვა	17.6	12.0
ქონების გაქირავება ან გაყიდვა	2.4	3.3
საქველმოქმედო დახმარება	0.5	1.3

სოციალური დახმარება ან პენსია	4.3	9.6
არავითარი	58.2	67.2
სულ	1121	990

ძირითადად უფრო მდიდარ შინამეურნეობებს აქვს დამატებითი სახსრების ალტერნატიული წყაროები (ცხრილი 8.6). უღარიბესი კვინტილის შინამეურნეობების ორ მესამედს დამატებითი სახსრების არავითარი წყარო არ აქვს, ხოლო ათი პროცენტი სოციალურ დახმარებაზეა დამოკიდებული.

**ცხრილი 8.6: გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობების წევრების მიერ დასახელებული დამატებითი სახსრების წყაროები, ექვივალენტურ მოზრდილზე მოხმარების კვინტილური ჯგუფების მიხედვით (1 უღარიბესი კვინტილია).**

	თითოეულ კვინტილში შინამეურნეობის %				
	1	2	3	4	5
არაფულადი დახმარება	19.1	16.4	24.2	22.9	28.7
სესხება ან დანაზოგების ხარჯვა	11.1	12.1	17.3	12.4	23.4
ქონების გაქირავება ან გაყიდვა	1.6	3.3	2.0	2.3	5.5
საქველმოქმედო დახმარება	1.6	0.9	0.4	0.4	0.9
სოციალური დახმარება ან პენსია	9.5	8.5	8.5	4.2	2.4
არავითარი	66.3	67.4	59.6	66.4	50.4
სულ	492	426	409	406	378

*გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგების შემსუბუქება*

კრიზისთან გამკლავების სტრატეგიების გასარკვევად, კვლევის რესპონდენტებს დაესვთ კითხვა, თუ რა მოიმოქმედეს გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგების შესამსუბუქებლად. ყველაზე ხშირი პასუხი იყო უფრო იაფი სურსათის მოხმარება (დასახელდა შინამეურნეობების 40 პროცენტში) ან ნაკლები სურსათის მოხმარება (დასახელდა შინამეურნეობის ერთ მესამედში). შინამეურნეობების ერთმა მესუთედმა შეწყვიტა გარკვეული არასასურსათო პროდუქტების შეძენა და ხშირ შემთხვევაში შინამეურნეობებმა უფრო იაფი ან მეორადი მოხმარების არასასურსათო პროდუქტების შეძენა დაიწყეს. პროფილაქტიკური მიზნით ექიმთან ვიზიტების რაოდენობის შემცირება დასახელდა შინამეურნეობების 12 პროცენტში. შინამეურნეობების ერთ მესამედში კრიზისის ეფექტების შემსუბუქებისათვის არავითარი ქმედება არ დასახელებულა (ცხრილი 8.7).

**ცხრილი 8.7: გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობების მიერ მდგომარეობის შემსუბუქებისათვის განხორციელებული ქმედებები**

	პასუხები		შინამეურნეობების % (N=2109)
	n	%	
უფრო იაფი სურსათის მოხმარება დაიწვეს	869	21.5	41.2
არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებიათ	714	17.4	33.9
შეამცირეს სურსათის მოხმარება	705	17.5	33.4
შეწყვიტეს გარკვეული არასასურსათო პროდუქტების ყიდვა	397	9.9	18.8
დაიწვეს უფრო იაფი არასასურსათო პროდუქტების ყიდვა	331	8.2	15.7
შეამცირეს ექიმთან პროფილაქტიკური ვიზიტების რაოდენობა	258	6.4	12.2
დაიწვეს მეორადი მომხარების ნივთების შექმნა	250	6.2	11.9
ნაკლებს ხარჯავენ გართობაზე	172	4.3	8.2
საკუთარი მოხმარებისთვის მეტი სურსათის წარმოება დაიწვეს	94	2.3	4.5
ნაკლებს ხარჯავენ მედიაზე (გაზეთები, ინტერნეტი)	87	2.2	4.1
უფრო ხშირად იყენებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ან ფეხით დადიან	65	1.6	3.1
შინამეურნეობის წევრი სხვაგან წავიდა სეზონურ სამუშაოზე	57	1.4	2.7
ოჯახის წევრმა თავი დაანება სასწავლო კურსებზე სიარულს	11	0.3	0.5
უფრო ხშირად სარგებლობენ სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემით	10	0.2	0.5
გამოიყვანეს ბავშვი საბავშვო ბაღიდან, სკოლიდან ან კოლეჯიდან	4	0.1	0.2
ბავშვები კერძოდან საჯარო სკოლაში გადაიყვანეს	2	0.1	0.1
გადადეს ბავშვის შეყვანა საბავშვო ბაღში, სკოლაში ან კოლეჯში	3	0.1	0.1
გააუქმეს სამედიცინო ან ავტომობილის დაზღვევა	1	0.0	0.1
გადადეს ჩაბარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში	1	0.0	0.0
დაიწვეს პირუტყვის მოშენება	1	0.0	0.0
<b>სულ</b>	<b>4032</b>	<b>100.0</b>	<b>191.2</b>

ქალაქის შინამეურნეობებმა უფრო ხშირ შემთხვევებში შეამცირეს არასასურსათო მოხმარება, სამედიცინო მომსახურება და კერძო ტრანსპორტის მოხმარება და დაიწყეს უფრო იაფი და მეორადი მოხმარების პროდუქტების შექენა. მეორეს მხრივ, სოფლის შინამეურნეობებმა უფრო ხშირ შემთხვევებში გაზარდეს სურსათის წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის, ან არ ჰქონდათ არავითარი შესაძლებლობა გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად (ცხრილი 8.8)

**ცხრილი 8.8: გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობების მიერ მდგომარეობის შემსუბუქებისათვის განხორციელებული ქმედებები ქალაქად და სოფლად.**

	ქალაქის შინამეურნეობების %	სოფლის შინამეურნეობების %
სასურსათო მოხმარების ცვლილება	73.8	75.6
სამუშაოს მოსაძებნად სხვაგან წასვლა	2.0	3.5
საკუთარი მოხმარებისათვის სურსათის წარმოების გაზრდა	1.4	8.0
არასასურსათო მოხმარების ცვლილება	65.0	51.6
საგანმანათლებლო მომსახურების მოხმარების ცვლილება	1.5	0.4
სამედიცინო მომსახურების მოხმარების ცვლილება	15.6	9.3
კერძო ტრანსპორტის მოხმარების შემცირება	4.5	1.5
არავითარი	29.9	38.4
შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობა	1125	983

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისის შემსუბუქებისათვის განხორციელებული ქმედებები ძირითადად დიდად არ განსხვავდება მოხმარების კვინტილების მიხედვით, არის ერთი მკაფიო განსხვავება საკვებთან მიმართებაში. უღარიბესი კვინტილის თითქმის 95 პროცენტმა შეამცირა საკვების მოხმარება, ან დაიწყო უფრო იაფი სურსათის შექენა, მაშინ როცა ანალოგიურ ქმედებებს უმდიდრესი კვინტილის შინამეურნეობების მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტმა მიმართა (ცხრილი 8.9).

**ცხრილი 8.9: გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობების მიერ მდგომარეობის შემსუბუქებისათვის განხორციელებული ქმედებები ექვივალენტურ მოზრდილზე მოხმარების კვინტილების მიხედვით (1 უღარიბესი კვინტილია).**

	კვინტილი				
	1	2	3	4	5
სასურსათო მოხმარების ცვლილება	94.8	77.0	75.4	67.9	53.6
სამუშაოს მოსაძებნად სხვაგან წასვლა	1.7	2.2	3.4	3.1	3.2
საკუთარი მოხმარებისათვის სურსათის წარმოების გაზრდა	3.7	3.2	6.1	5.6	3.8
არასასურსათო მოხმარების ცვლილება	58.3	59.0	60.9	55.8	60.0
საგანმანათლებლო მომსახურების მოხმარების ცვლილება	1.2	0.9	1.4	0.9	0.5
სამედიცინო მომსახურების მოხმარების ცვლილება	10.0	17.2	12.7	11.7	12.2
კერძო ტრანსპორტის მოხმარების შემცირება	2.5	2.7	2.5	4.7	3.2
არავითარი	27.7	36.9	31.5	38.4	35.8
შინამეურნეობების მთლიანი როდენობა	478	417	411	417	385

*ვალი და სესხება*

ბედის ირონიით, მიუხედავად იმისა, რომ ვალების გასტუმრება შინამეურნეობების თითქმის ორ მესამედში დასახელდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზად (იხ. ცხრილი 8.3), დამატებითი სესხის აღება გახდა რთულ ეკონომიკურ პირობებში თავის გატანის ერთ-ერთი საშუალება, განსაკუთრებით ქალაქის შინამეურნეობებისათვის. გასული ერთი წლის განმავლობაში შინამეურნეობების 36-მა პროცენტმა ისესხა ფული. მთლიანობაში, 1667-მა შინამეურნეობამ აიღო სხვადასხვა სახის 1990 სესხი. ეს შინამეურნეობები ყველაზე ხშირად სესხულობდნენ ბანკიდან ან ლომბარდიდან (48.7%), ან ნათესავებისა და მეგობრებისაგან (36.8%). შინამეურნეობების ერთი მეოთხედმა ვალად აიღო პროდუქტები მაღაზიიდან ან აფთიაქიდან (ცხრილი 8.10).

**ცხრილი 8.10: სესხების წყაროები გასული ერთი წლის განმავლობაში იმ შინამეურნეობებისათვის, რომელთაც კრიზისი შეეხოთ**

წყარო	სესხების რაოდენობა	სესხების %	შინამეურნეობების %
ნათესავი ან მეგობარი	612	30.7	36.8
კერძო პირი ან გამსესხებელი	109	5.5	6.6
ბანკი ან ლომბარდი	809	40.7	48.7
საკრედიტო ასოციაცია	51	2.6	3.1
მაღაზია ან აფთიაქი	409	20.5	24.6
სულ	1990	100.0	119.7

ქალაქის შინამეურნეობები უფრო ხშირად სესხულობდნენ ბანკიდან ან ლომბარდიდან, ხოლო სოფლის შინამეურნეობები არაფორმალური წყაროებიდან, როგორცაა მეგობრები, ნათესავები ან მაღაზიები (ცხრილი 8.11).

**ცხრილი 8.11: სესხების წყაროები გასული ერთი წლის განმავლობაში ქალაქის და სოფლის შინამეურნეობებისათვის, რომელთაც კრიზისი შეეხოთ**

წყარო	ქალაქის შინამეურნეობების %	სოფლის შინამეურნეობების %
ნათესავი ან მეგობარი	20.9	52.4
კერძო პირი ან გამსესხებელი	6.5	6.7
ბანკი ან ლომბარდი	64.1	33.5
საკრედიტო ასოციაცია	6.1	0.1
მაღაზია ან აფთიაქი	12.9	36.1
შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობა	824	839

ანალოგიურად, ბანკებით და ლომბარდებით უფრო შეძლებული შინამეურნეობები სარგებლობდნენ. უფრო ღარიბი შინამეურნეობები უფრო ხშირად სესხულობდნენ მეგობრებისგან, ნათესავებისგან და მაღაზიებიდან.

შინამეურნეობების მეოთხედზე მეტს ვალი ნაწილობრივაც კი არ გაუსტუმრებია. ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია ქალაქის შინამეურნეობებისათვის (17.6%), ვიდრე სოფლის შინამეურნეობებისათვის (35.6%). უღარიბეს მოსხმარების კვინტილში, შინამეურნეობების 38.9 პროცენტს, რომელსაც ნასესხები ჰქონდა ფული, ვალის ნაწილიც კი არ ჰქონდა გასტუმრებული კვლევის ჩატარების დროისათვის. ეს მაჩვენებელი მხოლოდ 19

პროცენტს შეადგენს უმდიდრესი კვინტილისათვის. თუმცა, არ არსებობს ინფორმაცია სესხების ხანგრძლივობის შესახებ. სესხება შეიძლება მოხდარიყო როგორც გამოკითხვის წინა დღეს, ასევე მანამდე ერთი წლით ადრე.

*სამომავლო პერსპექტივები*

შინამეურნეობების დაახლოებით ერთ მესამედში რესპონდენტებმა არ იცოდნენ, თუ როგორ შეიცვლებოდა მათი ეკონომიკური მდგომარეობა შემდეგი 12 თვის მანძილზე. იმათ შორის, ვინც გამოხატა საკუთარი აზრი, 16.8 პროცენტი მიიჩნევს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება. უფრო დიდი რაოდენობა (45.6%) არ მოეწონა მნიშვნელოვან ცვლილებებს და ერთ მესამედზე მეტი მდგომარეობის გაუარესებას მოეწონა. ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების მოლოდინი ორჯერ უფრო მაღალი იყო სოფლად (12.4%), ვიდრე ქალაქად (6.6%) და პესიმისტური განწყობილებები მკვეთრად უფრო მაღალი იყო უფრო დაბალი მოხმარების მქონე კვინტილებში (ცხრილი 8.12).

**ცხრილი 8.12: შინამეურნეობების პროგნოზი მომდევნო 12 თვის განმავლობაში მათი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ექვივალენტურ ზრდასრულზე მოხმარების კვინტილების მიხედვით (n=3036<sup>ა</sup>).**

	ექვივალენტურ ზრდასრულზე მოხმარების კვინტილის %					
ეკონომიკური მდგომარეობა	1	2	3	4	5	სულ
მნიშვნელოვნად გაუარესდება	19.0	11.3	6.9	7.1	4.1	9.7
გაუარესდება	32.7	34.3	26.9	25.0	20.0	27.9
არსებითად არ შეიცვლება	39.2	41.1	44.9	50.6	52.2	45.6
გაუმჯობესდება	8.7	13.2	20.4	16.6	23.5	16.4
მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება	0.5	0.0	0.9	0.6	0.2	0.4
სულ	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

<sup>ა</sup> არ მოიცავს მათ, ვინც უპასუხა “არ ვიცი”.

უღარიბესი კვინტილის შინამეურნეობების ნახევარზე მეტის აზრით მაღალია ან ძალიან მაღალია იმის რისკი, რომ შინამეურნეობა ვერ შეძლებს მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებასაც კი (ცხრილი 8.13)

**ცხრილი 8.13: შინამეურნეობების მიერ შეფასება რისკისა, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში ვერ შეძლებენ საკუთარი მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას, ექვივალენტურ მოზრდილზე მოხმარების კვინტილების მიხედვით (n=3464<sup>ა</sup>).**

რისკის სიდიდე	ექვივალენტურ მოზრდილზე მოხმარების კვინტილის %					სულ
	1	2	3	4	5	
ბალიან მაღალი	35.9	26.3	23.9	16.8	12.0	23.1
საშუალოზე მაღალი	26.0	23.2	20.8	25.0	15.7	22.2
საშუალო	27.1	34.6	35.6	37.2	35.9	34.0
საშუალოზე ნაკლები	9.7	11.8	13.3	9.8	14.1	11.7
ჩვენს შინამეურნეობას არ დაემუქრება ეს რისკი	1.3	4.1	6.4	11.1	22.4	9.0
სულ	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

<sup>ა</sup> არ მოიცავს მათ, ვინც უპასუხა “არ ვიცი”.

## 9. შედეგების შეჯამება

### შემოსავლები და ხარჯები

საქართველოში შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი 322 ლარს შედგენს, მაგრამ შემოსავლები მნიშვნელოვნად ვარირებს ადგილმდებარეობის მიხედვით. საშუალო თვიური შემოსავალი ორჯერ უფრო მაღალია ქალაქად (428 ლარი), ვიდრე სოფლად (212 ლარი). ქალაქის შინამეურნეობებს თითქმის ორჯერ უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ ერთ ექვივალენტურ მოზრდილზეც, ვიდრე სოფლის შინამეურნეობებს. თბილისში ექვივალენტურ მოზრდილზე შემოსავალი 211 ლარს შეადგენს, რაც ორჯერ უფრო მაღალია ანალოგიურ მაჩვენებელზე ორ ყველაზე ღარიბ რეგიონში, გურიასა (90 ლარი) და სამეგრელოში (94 ლარი). უთანასწორობა განსაკუთრებით მაღალია თბილისში (ჯინის კოეფიციენტი = 0.50).

შინამეურნეობის მთლიანი საშუალო თვიური მოხმარება საქართველოში 442 ლარს შეადგენს და უფრო მაღალია ქალაქად (515 ლარი), ვიდრე სოფლად (365 ლარი). თუმცა, უთანასწორობა ხარჯებში მნიშვნელოვნად ( $p < 0.05$ ) უფრო მაღალია ქალაქად (ჯინის კოეფიციენტი = 0.40), ვიდრე სოფლად (ჯინის კოეფიციენტი = 0.36). არაფულადი მოხმარების გამო, განსაკუთრებით სოფლად, მოხმარების მაჩვენებლები ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე შემოსავლისა. საშუალო თვიური შემოსავალი - 322 ლარი შინამეურნეობის მთლიანი მოხმარების 73 პროცენტს შეადგენს. ქალაქად შემოსავალი საშუალოდ მოხმარების 83 პროცენტს შეადგენს, სოფლად კი 58 პროცენტს. მსოფლიო ბანკის ანგარიში (2008: 48) აჩვენებს, რომ 2007 წელს შემოსავლები მოხმარების 77 პროცენტს შეადგენდა, 85 პროცენტს ქალაქად და 65 პროცენტს სოფლად. ეს მიანიშნებს, რომ არაფულადი მოხმარების წილი მთლიან მოხმარებაში იზრდება, უფრო მეტად სოფლად, ვიდრე ქალაქად. ექვივალენტურ მოზრდილზე მოხმარების კუთხით, სოფლის შინამეურნეობები ყოველთვის უფრო მეტს ხარჯავენ შინ კვებაზე (80 ლარი), ვიდრე ქალაქის შინამეურნეობები (74 ლარი), მაგრამ გაცილებით ნაკლებს განათლებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, გარეთ კვებაზე და არასასურსათო პროდუქტებზე.

### სამომხმარებლო სიღარიბე

შინამეურნეობების სამომხმარებლო სიღარიბე საქართველოში ძალიან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სამომხმარებლო სიღარიბის დონე ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში მნიშვნელოვნად განსხვავდება. სიღარიბის სამივე ზღვრის მიმართ შინამეურნეობების სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მცხეთა-მთიანეთშია, ხოლო ყველაზე დაბალი - აჭარაში. ოფიციალური და ზოგადი სიღარიბე უფრო მაღალია სოფლად, და სიღარიბის ზღვრის მატებსთან ერთად ეს განსხვავება უფრო მკაფიო ხდება. შინამეურნეობების თითქმის ერთი მეოთხედი, რომლებშიც ბავშვთა 28 პროცენტი ცხოვრობს, სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს (89.7 ლარი) ქვემოთ იმყოფება. ყველაზე დაბალი ზღვრის (61.1 ლარი) მიმართ შინამეურნეობების თითქმის 9 პროცენტი ღარიბია, რაც მოსახლეობის თითქმის 10 პროცენტს შეესაბამება. უფრო რეალისტური ზოგადი სიღარიბის ზღვრის (122.2 ლარი) მიმართ შინამეურნეობების 41 პროცენტი და ბავშვების თითქმის ნახევარი ღარიბია. ნებისმიერი ზღვრის მიმართ შინამეურნეობების სიღარიბის და მოსახლეობის სიღარიბის დონეები მნიშვნელოვნად იზრდება, თუ შინამეურნეობაში 16 წელზე უმცროსი წევრები არიან.

სიღარიბის დონე უფრო მაღალია იმ შინამეურნეობებში, სადაც ქალებს განათლების უფრო დაბალი დონე აქვთ, განსაკუთრებით სოფლად. იმ შინამეურნეობების ერთი მესამედი, რომლებშიც არცერთ ქალს არ აქვს საშუალო სკოლის განათლებაზე მეტი, ოფიციალური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ნებისმიერი სახის დასაქმება ამცირებს სიღარიბის რისკს. შინამეურნეობაში შემოსავლის მქონე ყოველი დამატებითი პირი სიღარიბის და არასიღარიბის შანსების თანაფარდობას ორი მესამედით ამცირებს.

### მატერიალური დეპრივაცია

მატერიალური დეპრივაცია ხანგრძლივი მოხმარების საგანთაგან ხუთი ან მეტი საგნის არქონით განისაზღვრება. ეს საგნებია: მტკვრსასრუტი, ავტომობილი, სარეცხი მანქანა, მაცივარი, მობილური ტელეფონი, უთო და ტელევიზორი. ამ კრიტერიუმის მიხედვით შინამეურნეობების მეოთხედზე მეტი მატერიალურ დეპრივაციას განიცდის. ეს შინამეურნეობები პენსიონერთა 32.6 პროცენტს და ბავშვთა 20.9 პროცენტს მოიცავს. საცხოვრებელი პირობების მხრივ დეპრივაცია განისაზღვრება, როგორც საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული მინიმუმ ორი პრობლემის ქონა. შინამეურნეობები, რომლებიც განიცდიან საცხოვრებელი პირობების მხრივ დეპრივაციას, მოიცავენ ბავშვების 27.5 პროცენტს და პენსიონერების 28.9 პროცენტს. შინამეურნეობების 15 პროცენტი ორმაგ დეპრივაციას განიცდის, რაც გულისხმობს ხანგრძლივი მოხმარების საგნების არქონას და ცუდ საცხოვრებელ პირობებს. ეს შინამეურნეობები მოიცავს მოსახლეობის 12.7 პროცენტს, ბავშვების 13 პროცენტს და პენსიონერების 17.7 პროცენტს.

### სუბიექტური სიღარიბე

სიღარიბე ასევე შეიძლება შეფასდეს იმ ადამიანების შეხედულების გათვალისწინებით, ვინც სიღარიბეს განიცდის. კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების 40 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ მათ არ შეუძლიათ საკუთარი თავის საკმარისი საკვებით უზრუნველყოფა, ან ისე ცუდად იკვებებიან, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ეს შინამეურნეობები მოიცავენ ბავშვების 37 პროცენტს და პენსიონერების 45 პროცენტს. მოსახლეობის მხოლოდ ერთ მეოთხედთან ერთ მესუთედამდე ცხოვრობს შინამეურნეობებში, სადაც ყოველდღიურ სასურსათო და არასასურსათო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ.

შინამეურნეობის მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემა შინამეურნეობების წევრების უმუშევრობაა (36%). სიხშირის მიხედვით შემდეგ ადგილზეა მედიკამენტების შეძენასა და სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც მთლიანობაში შინამეურნეობების 32-მა პროცენტმა დაასახელა. მხოლოდ პენსიონერებისაგან შემდგარი შინამეურნეობების 70-მა პროცენტმა ძირითად პრობლემად სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენა დაასახელა.

ვალების ან საბანკო კრედიტების გადახდა, როგორც ძირითად პრობლემა, ორჯერ უფრო ხშირად დასახელდა ბავშვიან შინამეურნეობებში (9%), ვიდრე იმ შინამეურნეობებში, რომელთაც ბავშვები არ ჰყავთ (4%).

### სოციალური გარიყულობა

შინამეურნეობების 8 პროცენტი განიცდის სოციალური გარიყულობის სულ ცოტა სამ მახასიათებელს ქვემოჩამოთვლილი ხუთიდან: განათლების, დასაქმების, სამედიცინო მომსახურების, ფინანსური მომსახურების ან სოციალური დახმარების ხელმიუწვდომლობა. შინამეურნეობების ერთი მეოთხედს არ აწუხებს არცერთი ამ პრობლემათაგანი.

### კომუნალური სერვისების ხელმიწვდომლობა

სუფთა წყლის და სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობა აუცილებელი წინაპირობაა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და კეთილდღეობისათვის. საქართველოს მსგავს ქვეყნებში, სადაც ზამთრის პირობები მკაცრია, სახლის გათბობა ასევე საბაზისო საჭიროებას წარმოადგენს. შინამეურნეობების 10 პროცენტისათვის წყალი, სანიტარული პირობები და გათბობა ხელმიწვდომელია, ხოლო 63 პროცენტისათვის – ამ სამი კომუნალური სერვისიდან ერთ-ერთი. ოფიციალური სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების სამ მეოთხედს ასევე არ მიუწვდება ხელი ამ სერვისებიდან ერთ-ერთზე. ეს შინამეურნეობები აგრეთვე მატერიალური დეპრივაციის ორჯერ უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, ვიდრე ის შინამეურნეობები, რომლებიც ოფიციალური სიღარიბის ზღვარს ზემოთ იმყოფებიან.

ზოგადად, ოფიციალური სამომხმარებლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობებისათვის უფრო მაღალია რისკი სიღარიბის სხვა ასპექტების მხრივაც ჰქონდეთ პრობლემები, ვიდრე დანარჩენი შინამეურნეობებისათვის.

### სოციალური ტრანსფერები

საქართველოში შინამეურნეობების 59 პროცენტი იღებს რაიმე სახის სოციალურ ტრანსფერს. პენსიებს შინამეურნეობების 53.8 პროცენტი იღებს, მსდ-ს – 11.5 პროცენტი, ხოლო კატეგორიებზე დაფუძნებულ ბენეფიტებს – 7.1 პროცენტი. ბავშვიანი შინამეურნეობების 53 პროცენტი იღებს რაიმე სახის სოციალურ ტრანსფერს. ოფიციალური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების ერთ მესამედზე მეტი და უკიდურესად ღარიბი შინამეურნეობების 40 პროცენტი არავითარი სახის სოციალურ ტრანსფერს არ იღებს (ცხრილი 9.1).

**ცხრილი 9.1: შინამეურნეობები, რომლებიც სხვადასხვა სახის სოციალურ დახმარებას იღებენ**

სოციალური ტრანსფერის სახეობა	შინამეურნეობების % (n=4646)	უკიდურესად ღარიბი შინამეურნეობების % (n=414)	ოფიციალურად ღარიბი შინამეურნეობების (n=1178)	ზოგადად ღარიბი შინამეურნეობების (n=2067)
პენსია	53.8	47.0	54.0	54.7
მსდ	11.5	19.8	20.0	17.3
კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტები	7.1	8.2	7.5	7.9
არცერთი ზემონაშთოვლილთაგან	40.8	39.7	35.1	36.4

პენსიონერების მესუთედზე მეტი (22.2%) ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომლებიც სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან. პენსიების არარსებობის შემთხვევაში ამ ზღვარს ქვემოთ პენსიონერების ნახევარზე მეტი (54.6%) აღმოჩნდებოდა.

ამასთან ერთად ბავშვების 9.2 პროცენტი ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომლებიც პენსიების წყალობით სიღარიბის ზღვარს ზემოთ ხვდებიან.

მისამართული სოციალური დახმარება (მსდ) შინამეურნეობების 11.5 პროცენტს მოიცავს და შინამეურნეობების უკიდურეს სიღარიბეს 3.5 პროცენტული ერთეულით ამცირებს. კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების ეფექტი უფრო მცირეა – ისინი სიღარიბეს ორ პროცენტულ ერთეულზე ნაკლებით ამცირებს. შინამეურნეობების უღარიბესი მეთედის<sup>34</sup> დაახლოებით 41 პროცენტი იღებს მსდ-ს, ხოლო 21 პროცენტი – კატეგორიულ ბენეფიტებს.

სოციალური ტრანსფერები ასევე სიღარიბის სიღრმესაც მნიშვნელოვნად ამცირებს, მაგრამ ღარიბთა მნიშვნელოვანი ნაწილი ტრანსფერებს არ იღებს. უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებში პენსიების მიღება სიღარიბის საშუალო სიღრმეს 87.4 პროცენტული ერთეულით ამცირებს, მაგრამ პენსიებს ამ შინამეურნეობების ნახევარზე ნაკლები იღებს. მსდ მისი მიმღები უკიდურესად ღარიბი შინამეურნეობების სიღარიბის სიღრმეს 46.5 პროცენტული ერთეულით ამცირებს; მაგრამ ასეთი შინამეურნეობები უკიდურესად ღარიბი ყველა შინამეურნეობების მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენს. ანალოგიურად, კატეგორიებზე დაფუძნებული ბენეფიტების მიღება სიღარიბის სიღრმეს 62 პროცენტული ერთეულით ამცირებს, მაგრამ მათ ღარიბი შინამეურნეობების მხოლოდ 7-8 პროცენტი იღებს.

## ჯანდაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობა

საშუალოდ, შინამეურნეობის მთლიანი წლიური ხარჯების 11 პროცენტი სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების შეძენას ხმარდება. შინამეურნეობების მხოლოდ 12.3 პროცენტს არ აქვს არავითარი სამედიცინო ხარჯი. მედიკამენტების შეძენა და სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდა ძირითად პრობლემად დასახელდა შინამეურნეობების 17.5 და 14.3 პროცენტის მიერ, შესაბამისად. ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე სამედიცინო ხარჯები გაცილებით მაღალია ქალაქად (285 ლარი), ვიდრე სოფლად (215 ლარი). ეს განსხვავება განსაკუთრებით მკაფიოა ქალთა კონსულტაციების, მშობიარობის და იმუნოზაციისთან შემთხვევაში, მაგრამ ქალაქის შინამეურნეობები ასევე მეტს ხარჯავენ სამედიცინო დაზღვევაზე, მედიკამენტებზე და ექიმთან ვიზიტებზე. მოხმარების მიხედვით შინამეურნეობების უმდიდრესი მეხუთედი ექვივალენტური მოზრდილის სამედიცინო მომსახურებაზე დაახლოებით ათჯერ უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე უღარიბესი მეხუთედი. სამედიცინო მომსახურების ნებისმიერი კატეგორიისათვის სამედიცინო ხარჯები იზრდება მოხმარების კვინტილების ნომრის ზრდასთან ერთად.

ზოგიერთი შინამეურნეობისათვის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების საფასურის ჯიბიდან გადახდა შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს. ჯიბიდან გადახდები შინამეურნეობების 54 პროცენტში მთლიანი ხარჯების 10 პროცენტს აღემატება. შინამეურნეობების 31 პროცენტში სამედიცინო ხარჯები არასასურსათო

<sup>34</sup> დეცილებად რანჟირებისთვის გამოყენებულია შინამეურნეობების მოხმარება ექვივალენტურ მოზრდილზე ბენეფიტების გამოკლებით.

ხარჯების 25 პროცენტს აღემატება. ყველა შინამეურნეობის თითქმის 60 პროცენტში 2008-2009 წლების განმავლობაში ერთ ადამიანს მაინც დასჭირდა სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები, რომლის საფასურის გადახდაც შინამეურნეობამ ვერ შეძლო. შინამეურნეობების უღარიბესი მეხუთედისათვის ეს მაჩვენებელი 75 პროცენტს აღემატება. ფინანსურ ბარიერებს სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენასთან დაკავშირებით სოფლის შინამეურნეობების უფრო მაღალი პროცენტი განიცდიდა, ვიდრე ქალაქის.

საქართველოს მოსახლეობის მეოთხედზე ნაკლებს აქვს რაიმე სახის სამედიცინო დაზღვევა, ხოლო ქალაქის შინამეურნეობებისათვის და ეს მაჩვენებელი ერთ მეხუთედზე ქვემოთ ეცემა. უფასო სამედიცინო დაზღვევა შინამეურნეობების უღარიბეს კვინტილშია კონცენტრირებული, მაგრამ ამ კატეგორიის შინამეურნეობების შემთხვევაშიც კი მხოლოდ ერთ მეხუთედზე ოდნავ მეტი (21,3%) არის მოცული. ეს მიუთითებს დამიზნების კარგ ხარისხზე, მაგრამ შეზღუდულ მოცვაზე.

### **შინამეურნეობების მიერ კრიზისთან გამკლავების სტრატეგიები**

ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესება ორჯერ უფრო ხშირად აღინიშნა შინამეურნეობების უღარიბეს მეხუთედში, ვიდრე უმდიდრეს მეხუთედში. მდგომარეობის გაუარესების მიზეზად შინამეურნეობების მიერ ყველაზე ხშირად ვალის გადახდის საჭიროება დასახელდა. ეს ვალები მოიცავს როგორც საბანკო კრედიტებს, ისე ლომბარდის და ინდივიდუალური გამსესხებლებისგან აღებულ სესხებს.

შინამეურნეობების უმეტესობას (62%), რომლებსაც გაუუარესდათ ეკონომიკური მდგომარეობა, შემოსავლის დამატებითი არანაირი წყარო არ ჰქონდათ. ერთმა მეხუთედმა მიიღო დახმარება ნათესავებისგან ან მეგობრებისგან, ხოლო დანარჩენებმა ისესხეს სხვადასხვა წყაროებიდან. შინამეურნეობების ერთმა მესამედმა საკვების მოხმარება შეამცირა, ხოლო 40 პროცენტმა უფრო იაფი საკვების შეძენა დაიწყო. საკვების რაოდენობის შემცირება ან უფრო იაფი საკვების მოხმარება აღინიშნა უღარიბესი კვინტილის შინამეურნეობების 95 პროცენტში, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი უმდიდრესი კვინტილის შინამეურნეობებში 50 პროცენტს ოდნავ აღემატება.

ბედის ირონიით, მიუხედავად იმისა, რომ ვალების გასტუმრება ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზად შინამეურნეობების თითქმის ორ მესამედში დასახელდა, ვალის აღება კვლავაც იქცა რთულ პერიოდში თავის გატანის ერთ-ერთ საშუალებად. გასული ერთი წლის განმავლობაში შინამეურნეობების 36-მა პროცენტმა აიღო ვალი.

უღარიბესი კვინტილის შინამეურნეობების ნახევარზე მეტში აცხადებენ, რომ მაღალია ან ძალიან მაღალია იმის რისკი, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ისინი ვერ შეძლებენ მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებასაც კი. პესიმისტური განწყობა მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ აშკარად უფრო მაღალია უფრო ღარიბ შინამეურნეობებში.